The New ECONOMIST

DOI suffix: 10.36962/NEC17022022

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL, PRECISE AND REVIEWED

N2-4, 2022, VOL 17, ISSUE 2

Economy is the basis of everything!

ISSN 2667-9752 (ONLINE)

ISSN 1512-4649 (PRINT)

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

ეკონომიკა ყველაფრის საფუძველია!

ახალი ეკონომისტი

The Magazine "The New Economist"
HAS BEEN REVIEWED:
In "Georgian Reviewed Magazine" –
P.L.L.E. Institute of Techinform.
Identifiable in the **Google Scholar**
and **Research Gate** bases.
ACKNOWLEDGED TO BE REVIEWED BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;

- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robakidze University;
- Tbilisi Free University, (Business School ESM);
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Samtskhe-Javakheti State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;

- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia;

- East European University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucassus (Baku, Azerbaijan);
- State University of Belarus (Minsk);
- University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade (Nursultan).

ADDRESS: 5 A. Jorjadze str.,
0105, Tbilisi, Georgia.
Tel.: +995 (32) 2 990 576;
Mob.: +995 55 277 554; +995 (58) 944 800.

ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"
რეფერირებულია:
სსიპ ინსტიტუტ ტექინფორმის ელექტრონულ გამოცემებში „ქართულ რეფერატულ ჟურნალში".
იდენტიფიცირებადია **გუგლ სქოლარსა** და **რისერჩ გეიტსის** ბაზებში.

რეფერირებულად აღიარებულია:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, (ბიზნესის სკოლა ESM);
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტი (ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (მინსკი);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (ნურსულტანი).

მისამართი: საქართველო,
0105, თბილისი, ა. ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 2 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (58) 944 800.

E-mail: editor@neweconomist.com.ge; loidk@yahoo.com
web-site: www.neweconomist.com.ge; www.loi.com. ge

The New ECONOMIST

INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL QUARTERLY JOURNAL,

PRECISE AND REVIEWED N2-4(65-67), 2022, VOL.17, ISSUE 2.

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board;
Doctor of Business Administration,
Professor of Georgian Technical University;
Head of the Council of Scientists of Georgia;
Academician of the Georgian Academy of Business Sciences;
Academician of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

GIORGI ABASHISHVILI; RAMAZ ABESADZE; NINO ABESADZE; ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; GIVI BEDIANASHVILI; ROSTOM BERIDZE; SIMON GELASHVILI; RAMAZ GERLIANI; REVAZ GVELESIANI; VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Belarusia State University); WOLFGANG WENG (Berlin, Garmany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE (Rector of Kutaisi University); NATIA TURNAVA (Minister of Economy and Sustainable Development of Georgia); SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); NAMIG YSAZADE; MERAB KAKULIA; REVAZ KVATASHIDZE; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Scool of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE (Head of Budget and Finance Committee of Parliament of Georgia); KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Garmany); ENVER LAGVILAVA; The Rt Hon STEVEN LORD LLOYD-BAGRATIONI (University of Oxford, England); REVAZ LORDKIPANIDZE; SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidenrt of Caucasus University in sciens field); LASHA MGELADZE; ELGUJA MEQVABISHVILI; DAVID NARMANIA (Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (GNERC), Chairman); SOLOMON PAVLIASHVILI (Deputy Minister of Environmental Protection and Agriculture of Georgia); VAKHTANG SARTANIA; ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA; GELA SVIRAVA; LASHA TABATADZE (Risponsible Secretary); DAMETKEN TUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan); SLAVA FETELAVA; LEVAN KISTAURI (Dean of the School of Business, Computing and Social Sciences of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; DAVID CHERKEZISHVILI (Rector of East European University); MICHAEL CHIKVILADZE; NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; VASIL KHIZANISHVILI; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Sukhumi State University); IVANE JAGODNISHVILI (Professro of Georgian Technical University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); DIMITRI JAPARIDZE (Ilia State University, Dean of the Faculty Business, Technology and Education); MICHAEL JIBUTI (Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NANA JGHARKAVA.

ახალი ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველკვარტალური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №2-4 (65-67), 2022, ტ. 17, გამოც.2

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

გიორგი აბაშიშვილი; რამაზ აბესაძე; ნინო აბესაძე; ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; გივი ბედიანაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის შ. რუსთაველის სახელმფიფო უნივერსიტეტი); სიმონ გელაშვილი; რამაზ გერლიანი; რევაზ გველესიანი; ვლადიმერ გრიგოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი); ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოდუა; გოჩა თუთბერიძე (ქუთაისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ნათია თურნავა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი); სერგეი იაკუბოვსკი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ნამიგ ისაზადე; მერაბ კაკულია; რევაზ კვატაშიძე (მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორი); გია კვაშილავა; მურთაზ კვირკვაია (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე); კახა კორძაია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი); პაატა კოღუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ენვერ ლაგვილავა; ლორდი სტივენ ლორდ ლოიდ-გაგრატიონი (ოქსფორდის უნივერსიტეტი, ინგლისი); რევაზ ლორთქიფანიძე; შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი); ლაშა მგელაძე; ელგუჯა მექვაბიშვილი; დავით ნარმანია (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე); სოლომონ პავლიაშვილი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე); ვახტანგ სართანია; ეთერ სარჯველაძე; ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა; გელა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); ლაშა ტაბატაძე (პასუხისმგებელი მდივანი); დამეტკენ ტურეკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ფეტელავა; ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); ეკატერინე შაკიაშვილი; თეიმურაზ შენგელია; გიორგი შიხაშვილი; ფაია შულენგაევა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაგელიშვილი; დავით ჩერქეზიშვილი (აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი); მიხეილ ჩიკვილაძე; ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ელენე ხარაბაძე; ეთერ ხარაიშვილი; რევაზ ხარებავა; ვასილ ხიზანიშვილი (თელავის უნივერსიტეტი); დავით ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ივანე ჯაგოდნიშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი); ჯამლეტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); დიმიტრი ჯაფარიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი); მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნანა ჯღარკავა.

სტატიაზე, მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

© ჟურნალი „The New Economist“, „ახალი ეკონომისტი“, 2022წ.
© გამომცემლობა „ლოი“

ფასი 10 ლარი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

INTERVIEW

Interview with the Chairman of the National Energy and Water Supply Regulatory Commission of Georgia, **Mr. Davit Narmania.** ---------- 7

SCIENCE

LASHA TABATADZE
Post-pandemic Economics, Reality, Real Prospects ---------- 11

VASIL KHIZANISHVILI
Germany's Economic Miracle: the Dominance of Ordoliberalism and its End (1948-1966) ---------- 16

LASHA MGELADZE
Competition in the fuel market myth or reality ---------- 23

GIA KVASHILAVA
On the History of Some Problems of Economic Security According to Ancient Greek and Latin Sources ---------- 46

IRMA LANG
Retrospective analysis of exports and imports between Georgia and the United States ---------- 53

ZURAB GEGENAVA
Tips to Increase Employee's Motivation ---------- 59

DEMUR CHOMAKHIDZE, LIA GVAZAVA
The Role of Investment in The Energy Sector ---------- 66

SOFIKO TEVDORADZE, NINO BAKRADZE
Branding in Tourism by using Digital Marketing ---------- 71

GELA ALADASHVILI
Aspects of improving waste management in the European Union ---------- 76

NEW BOOKS

Fundamentals of economics ---------- 85

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ

ინტერვიუ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარესთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, ბატონ **დავით ნარმანიასთან** ---------- 7

მეცნიერება

ლაშა ტაბატაძე
პოსტ-პანდემიური ეკონომიკა, რეალობა რეალური პერსპექტივები ---------- 11

ვასილ ხიზანიშვილი
გერმანიის ეკონომიკური სასწაული: ორდოლიბერალიზმის დომინაცია და მისი დასასრული (1948-1966 წწ.) ---------- 16

ლაშა მგელაძე
კონკურენცია საწვავის ბაზარზე, მითი თუ რეალობა ---------- 23

გია კვაშილავა
ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ისტორიის შესახებ ძველი ბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით ---------- 46

ირმა ლენგ
საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი ---------- 53

ზურაბ გეგენავა
რჩევები დასაქმებულთა მოტივაციის გასაძლიერებლად ---------- 5

დემურ ჩომახიძე, ლია გვაზავა
ინვესტიციების როლი ენერგეტიკის სექტორში ---------- 66

სოფიკო თევდორაძე, ნინო ბაქრაძე
ბრენდინგი ტურიზმში ციფრული მარკეტინგის გამოყენებით ---------- 71

გელა ალადაშვილი
ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ასპექტები ევროკავშირში ---------- 76

ახალი წიგნები

ეკონომიკის საფუძვლები ---------- 85

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინტერვიუ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარესთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან, ბატონ დავით ნარმანიასთან

ბატონ დავით ნარმანიას წარდგენა არ სჭირდება ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის და არც ქართული საზოგადოებისათვის, რადგან ის უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი პოლიტიკოსია. იგი 2012-2014 წლებში იყო საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი. 2014 წლის 2 აგვისტოდან 2017 წლის 13 ნოემბრამდე ქალაქ თბილისის მერი.

2019 წლის 1 ოქტომბრიდან არის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე. ბატონი დავითი არაერთხელ გახლდათ ჩვენი ჟურნალის სტუმარი მინისტრისა და თბილისის მერის რანგში. დღეს, კვლავ გვაქვს პატივი, ვუმასპინძლოთ მას და მოვისმინოთ მისგან მეტად საინტერესო ხედვები და რეკომენდაციები მისი დღევანდელი პოზიციიდან. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

- მოგესალმებით ბატონო დავით, მოხარული ვართ, რომ მიუხედავად მძიმე და გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა დაგვთანხმდით ინტერვიუზე.

- მოგესალმებით ბატონო ლაშა, მივესალმები თქვენს მკითხველს.

- ბატონო დავით, უკვე სამი წელი გახდა, რაც თქვენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) თავმჯდომარე ბრძანდებით. როგორც ცნობილია, სემეკის რეგულაციების სფეროში შედის ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება. ხსენებული სამივე სექტორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობისთვის. მისი მიწოდება და ტარიფები ძალიან მგრძნობიარეა თითოეული მოქალაქისთვის და მით უმეტეს, სოციალურად დაუცველი ფენისთვის.

- მოგესალმებით კიდევ ერთხელ. დიახ, სემეკი ამ სამი მიმართულებით მუშაობს. თუმცა, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ჩვენს რეგულირების სფეროს მომდევნო წლიდან ემატება მელიორაციის რეგულირება.

- თუ შეიძლება დღევანდელი ჩვენი საუბარი დავიწყოთ ზოგადი გამოწვევების შესახებ, ხოლო შემდეგ მოკლედ მიმოვიხილოთ სამივე სექტორი, განხორციელებული და დაგეგმილი ცვლილებები.

- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორები მუდმივი გამოწვევებით ხასიათდება, თუმცა ბოლო პერიოდში ხაზგასასმელია რუსეთ-უკრაინის საომარი მოქმედებიდან გამომდინარე, ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების ზრდა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები. სწორედ ეს გახდა საფუძველი საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის გახსნის გადავადებისა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მომდევნო წელს ბაზარი აუცილებლად გაიხსნება.

- გთხოვთ, გვიამბოთ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რამდენად არის დაცული მათი უფლებები.

- მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სე-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მეკი ძალიან აქტიურად მუშაობს. ამ თვალსაზრისით ჩვენ რამდენიმე კუთხით ვართ ჩართული აქტიურად: ჩვენთან იხილება მომხმარებელთა მიერ შემოტანილი განცხადებები და ხდება არასწორად დარიცხული, ასევე ხანდაზმული დავალიანებების ჩამოწერა. მაგ. 2021 წელს ასეთი ფორმით დარიცხული 3,5 მლნ ლარი ჩამოვაწერეთ მომხმარებლებს, ხოლო ახალი აბონენტების მიერთების სერვისების დაგვიანებით მიწოდების გამო 400 ათას ლარზე მეტი კომპენსაციის სახით დაუბრუნდათ. ამასთან, ჩვენ მუდმივად ვაკონტროლებთ ავარიებს და მათი აღდგენის დროებს, რათა სერვისების მიწოდების წყვეტა იყოს რაც შეიძლება მინიმალური. ასევე, აქტიურად ვმუშაობთ ახალი სერვისების მიწოდებაზე, რამაც უნდა გაადვილოს მომსახურება. მაგალითად, ჩვენ შევიმუშავეთ *303# ელექტრონული სერვისი, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ 15-მდე სხვადასხვა ოპერაციის განხორციელება (მაგ. დავალიანების გაგება, ელექტრონული ქვითრის გამოთხოვა, ბაზაში ტელეფონის ნომრის ცვლილება და სხვა). ამასთან, იუსტიციის სახლთან მჭიდრო თანამშრომლობით გავაკეთეთ კომუნალური სერვისების გადაფორმება ერთი ფანჯრის პრინციპით (ბინის ან სახლის გაყიდვა-გაქირავებისას შესაძლებელია იუსტიციის სახლში სამივე კომუნალური სერვისის გადაფორმება ერთიანად ისე, რომ მოქალაქეს არ უწევს სამივე კომპანიაში ცალ-ცალკე მისვლა და გადაფორმება).

- როგორია ენერგოომბუცმენის ინსტიტუტის მუშაობის ეფექტიანობა, რა გამოწვევები იკვეთება?

- ენერგოომბუდსმენის ინსტიტუტი აქტიურად მუშაობს, ვინაიდან წლიდან წლამდე ასეულობით განცხადებას და საჩივარს განიხილავს. ასევე, კონსულტაციებს უწევს მოქალაქეებს და გარკვეულ შემთხვევებში გამოდის კიდეც მათ უფლებადამცველად. ენერგოომბუდსმენის საქმიანობა საჯაროა, ის ყოველწლიურად აქვეყნებს საქმიანობის წლიურ ანგარიშებს. ამდენად, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეს ანგარიში ნახონ შესაბამის ვებ-გვერდზე. ენერგოომბუდსმენის 2021 წლის ანგარიში საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტზე უკვე მოისმინეს კიდეც და მოწონებული იქნა, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ აღნიშნული ინსტიტუტცია აქტიურად მუშაობს.

- გთხოვთ, გვესაუბროთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შესახებ.

- სემეკმა 2020 წელს დაიწყო ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა, რისთვისაც მიმართვა TUV Austria-ს წარმომადგენლობას საქართველოში, გააკეთა შესაბამისი განაცხადი და ამის საფუძველზე ჩატარდა სემეკის შიდა მენეჯმენტის, ასევე პროცედურების გამართულობის ევროპული აუდიტი. აღნიშნულის საფუძველზე 2021 წელს სემეკს მიენიჭა ISO 9001-2015 და გაიცა ხარისხის მართვის სერტიფიკატი. დამტკიცდა ყველა სამსახურის საქმიანობის სტანდარტები და ინსტრუქციები. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს სემეკი გამართული მენეჯმენტის პირობებში მუშაობს.

- ბატონო დავით, ჩვენი შემდეგი შეკითხვა ეხება ენერგო უსაფრთხოებას, რამდენად დივერსიფიცირებულია სექტორი? რომელ პრიორიტეტებზე გააკეთებდით აქცენტებს?

- საქართველოს ენერგეტიკის სექტორი დივერსიფიცირებულია, რაც ხელს უწყობს რისკების მინიმიზაციას, თუმცა სექტორში რისკები მუდმივად რჩება. ელექტროენერგეტიკის მუდმივად მზარდი მოხმარების პირობებში, ადგილობრივი გენერაცია ამას ვერ ეწევა, რაც იმპორტდამოკიდებულებას ზრდის. აღნიშნული კი არასასურველია როგორც მაკროეკონომკური, ასევე საფასო თვალსაზრისით. რაც შეეხება ბუნებრივი გაზის სექტორს, ჩვენ გაზის 90%-ზე მეტს აზერბაიჯანიდან ფიქსირებულ ფასად ვიღებთ, რაც გარკვეულწილად ამცირებს რისკებს, არ ვართ რუსეთზე დამოკიდებული და შესაბამისად, ფასების ზრდის რისკი არ არსებობს. თუმცა, ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები სენსიტიურია ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის აშშ დოლარის მიმართ.

- რას იტყვით თქვენ მიერ ინიცირებულ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებსა და კომისიის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტების შესახებ.

- 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „ენერგეტიკის და წყალ-

მომარაგების“ შესახებ, რომლის შემდეგაც მარეგულირებელმა კომისიამ 30-ზე მეტი ახალი კანონქვემდებარე აქტი შეიმუშავა და დაამტკიცა. აღნიშნული ცვლილებებით ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის მართვა სრულად ევროპულ ყაიდაზე გადადის, რაც ასოცირების შეთანხმების მნიშვნელოვანი დამსახურება და ამ ვალდებულებების შესრულების დადასტურებაა. საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ პრაქტიკაში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები და დამატებით დასარეგულირებელი საკითხები, რაზეც მომზადებული და ინიცირებულია ზემოაღნიშნულ კანონში ცვლილება, რაც მიღებული იქნება საქართველოს პარლამენტის მიერ.

- ბატონო დავით, ხომ არ იგეგმება ტარიფების ცვლილებები?

მიმდინარე შემოდგომა-ზამთრის სეზონზე ტარიფების რაიმე სახის ზრდა მოსალოდნელი არაა. ჩვენ მ. წ. აგვისტოში ელექტროენერგეტიკის დროებითი ტარიფების ვადა გავაგრძელეთ მომდევნო წლის მარტამდე, ვიდრე ელექტროენერგიის ბაზარი არ გაიხსნება. რაც შეეხება ბუნებრივ აირზე ტარიფებს, ის უნდა დადგინდეს დეკემბრის ბოლოს, ვინაიდან ჩვენს მიერ დადგენილ 3-წლიან ტარიფებს ვადა სწორედ ამ დროს ეწურება. თუმცა, არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნების პირიბებში, ტარიფების ზრდას აქაც არ ველოდებით. წყალმომარაგების ტარიფები კი მომდევნო წლის ბოლომდეა დადგენილი და აქაც რაიმე გადახედვა არ იგეგმება.

- როგორია მარეგულირებელი კომისიის პოლიტიკა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველ ოჯახებთან მიმართებით?

- რამდენიმე თვის წინ მარეგულირებელმა კომისიამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რომლის საფუძველზეც კომუნალური გადასახდელების გადახდის ბოლო ვადა დაამთხვია პენსიონერთა პენსიებისა და სოციალურად დაუცველთა შესაბამისი შემწობების გაცემის თარიღს. ამდენად, მათ შეუძლიათ შესაბამისი თანხების სახელმწიფოდან მიღების შემდეგ გადაიხადონ კომუნალური თანხები და მანამდე მათ კომუნალური კომპანიები დენს, გაზსა და წყალს ვერ გამოურთავენ.

- რამდენად ხშირია ენერგომიმწოდებელი კომპანიების მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანად შესრულების შემთხვევები და ამისთვის რეგულაციის რა ბერკეტები არსებობს?

- ენერგომიმწოდებელი კომპანიები ხანდახან არღვევენ კანონმდებლობას თუ პროცედურებს, რის საფუძველზეც მარეგულირებელი კომისია იყენებს სანქციერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას - დაჯარიმებას. შედარებით მცირე გადაცდომების შემთხვევაში კი გამოიყენება წერილობითი მითითება/შენიშვნა. ახალი კანონის შესაბამისად, მაქსიმალური ჯარიმის მოცულობა გაიზარდა 75 ათას ლარამდე, რამაც კომპანიების უფრო მეტად მობილიზება უზრუნველყო.

- კომისიისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ურთიერთობები, რა სიახლეებია აღნიშნული მიმართულებით?

- საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილში კომისია ძალიან აქტიურია. უკვე მეორე ვადით ევროპის მარეგულირებელთა რეგიონულ ასოციაციას (ERRA) ხელმძღვანელობს ჩვენი კომისიის წევრი - მაია მელიქიძე. ამასთან, სულ რამდენიმე დღის წინ თბილისში პირველად გაიმართა განახლებადი ენერგიების საინვესტიციო ეროპული კონფერენცია, რომელსაც სწორედ ჩვენმა მარეგულირებელმა კომისიამ უმასპინძლა და 200-ზე მეტმა დელეგატმა მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნებიდან. გარდა ამისა, ჩვენი კომისიის თანამშრომლები სხვადასხვა საერთაშრისო ენერგეტიკული ორგანიზაციების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები არიან და არაერთ ქვეყანას ვუზიარებთ ჩვენს გამოცდილებას.

- დღეს თანამედროვე მსოფლიოში უაღრესად აქტუალურია საკითხი განახლებადი ენერგიის შესახებ, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენთან, რამდენად ხდება ყურადღების ფოკუსირება მოცემულ საკითხთან მიმართებით?

- საქართველოს პარლამენტმა 2 წლის წინ მიიღო განახლებადი ენერგიების შესახებ კანონი, რომლის შემდეგაც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა განახლებადი ენერგიის მხარდამჭერი მექანიზმები ინვესტორებისთვის. ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღნიშნული მექანიზმების კიდევ უფრო სრულყოფა, რამაც მომავალში კიდევ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

უფრო მეტი ინვესტორის დაინტერესება უნდა უზრუნველყოს. სემეკმა თავის მხრივ დაამტიკა განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოშობის სერტიფიკატის ფორმა, რაც ევროპული წესების შესაბამისი ცვლილებაა.

- ორიოდ სიტყვით რომ შევეხოთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და მარეგულირებლის მიერ აღებულ ვალდებულებებს, რა ვითარებაა ამ მხრივ?

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახალი კანონის საფუძველზე 30-ზე მეტი ახალი მარეგულირებელი ნორმა იქნა მიღებული, რაც სწორედ ასოცირების დღის წესრიგიდან გამომდინარეობს. ამასთან, მარეგულირებელი კომისიის მიერ მოხდა ელექტროენერგეტიკის სექტორში განაწილებისა და მიწოდების გაყოფა, ჩამოყალიბდა ცალკე მიმწოდებელი კომპანიები. ახალი წესების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაზე და ახალდაფუძნებულ ენერგეტიკულ ბირჟაზე გაიცა საქმიანობის ლიცენზიები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის სექტორში განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების გაყოფა. აღნიშნული რეფორმები ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების პატრონაჟით მიმდინარეობს და გასული წლის ანგარიშში საქართველოში მიმდინარე რეფორმებს მაღალი შეფასება მიეცა.

- რამდენად ღია და გამჭირვალეა მარეგულირებლის ურთიერთობა მედიასთან?

- მარეგულირებელი კომისია ღია და გამჭვირვალე უწყებაა, რაც დადასტურებულია ყოველწლიური ანგარიშებით, სხდომების საჯაროობითა და საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშებით. მედიასთან კომისიას აქტიური თანამშრომლობა აქვს, მონაწილეობს გადაცემებში, აძლევს შესაბამის სააგენტოებს ინტერვიუებს და მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თაობაზე დაუყოვნებლივ ავრცელებს ინფორმაციას სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებით.

- დაბოლოს, რა არის ისეთი, რომელიც ჩვენ შეიძლება გამოგვრჩა და თქვენ გსურთ დაამატოთ?

- მარეგულირებელი კომისიის ამოცანაა სწორი ბალანსის დაცვა მომხმარებლებსა და კომუნალური სერვისის მიმწოდებლებს შორის. ამ პრინციპის დაცვას კომისია მომავალშიც გააგრძელებს და აქტიურად შეუწყობს ხელს როგორც ენერგეტიკული სექტორის განვითარებას, ასევე მომხმარებელთა ინტერესების დაცვას.

- ბატონო დავით, მადლობას გიხდით საინტერესო და კომპეტენტური განმარტებებისათვის. იმედს ვიტოვებთ, რომ ყველა ის გამოწვევა, რომელიც დღეს მარეგულირებლის წინაშე დგას, უახლოეს პერიოდში დაიძლევა და, ასევე, უზრუნველყოფილი იქნება მაღალეფექტური მომსახურება ქვეყნისა და მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით.

ესაუბრა და ინტერვიუ ჩაწერა,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებულმა პროფესორმა,
ჟურნალ **„ახალი ეკონომისტის“**
პასუხისმგებელმა მდივანმა
ლაშა ტაბატაძემ
07.10.2022

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

POST-PANDEMIC ECONOMICS, REALITY, REAL PROSPECTS

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 15, 2022
Published: October 04, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-11

Lasha Tabatadze,
PhD in Business Administration,
As. Professor, Ilia State University,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-5059-7536
E.mail: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

ABSTRACT

In 2020, the spread of the COVID-19 pandemic caused huge social and economic upheavals around the world, at a time when the global economy has not yet fully recovered from the economic shocks caused by the effects of the 2008-2009 global financial crisis. Existing fundamental structural weaknesses have made the countries of Central Asia particularly vulnerable. The pandemic and the upheavals it caused have been catastrophic: many businesses have closed, global trade has been threatened, transportation and logistics have been disrupted, and more.

The article describes the results of post-pandemic economic research, such as: changes in real GDP growth and its impact on economic growth, economic activity, balance of payments, unemployment, and more. analyzed the depth and severity of the problems caused by economic stagnation. The barriers that act as a kind of obstacles to the policy of resuscitation of the economy are identified. Effective ways of solving existing problems are proposed. Important conclusions and recommendations are presented.

***Keywords**: Post-pandemic, pandemic economy.*

REFERENCES/ DIGITAL RESOURCE:

1.https://news.un.org – Last checked 9 October, 2022;
2.https://www.oecd.org – Last checked 9 October, 2022;
3.https://www.worldbank.org - Last checked 9 October, 2022;
4.https://www.ebrd.com, Report -2022, Last checked 9 October, 2022;
5https://www.wto.org, Report -2022, Last checked 9 October, 2022;
6.https://www.europarl.europa.eu, Report - 2022, Last checked 9 October, 2022;
7.https://www.europa.eu, Report - 2022, Last checked 9 October, 2022;
8.https://www.nytimes.com, Articles and Report, 2022, Last checked 9 October, 2022;
9.https://bm.ge - Last checked 9 October, 2022.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

პოსტ-პანდემიური ეკონომიკა, რეალობა, რეალური პერსპექტივები

ლაშა ტაბატაძე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ელ.ფოსტა: lasha.tabatadze@iliauni.edu.ge

აბსტრაქტი

2020 წლის დასაწყისში COVID-19 პანდემიის გავრცელებამ, გამოიწვია უ ზარმა ზარი სოციალური და ეკონომიკური რყევები მთელს მსოფლიოში, იმ დროს როდესაც მსოფლიო ეკონომიკა, ჯერ კიდევ სრულად არ იყო გამოსული 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის შედეგებით გამოწვეული ეკონომიკური შოკებიდან. არსებულმა ფუნდამენტურმა სტრუქტურულმა სისუსტეებმა ქვეყნები განსაკუთრებით დაუცველი გახადა ცენტრალურ აზიაში. პანდემია და მის მიერ გამოწვეული შოკები კატასტროფული იყო, დაიხურა უამრავი ბიზნესი, საფრთხის ქვეშ დადგა მსოფლიო ვაჭრობა, შეფერხდა ტვირთბრუნვა და ლოჯისტიკა და სხვა. სტატიაში აღწერილია პოსტ-პანდემიური ეკონომიკის კვლევის შედეგები, როგორიც არის: რეალურიო მშპ-ის ზრდის ცვლილებები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური აქტივობა, საგადამხდელო ბალანსი, უმუშევრობა და სხვა. გაანალიზებულია ეკონომიკური სტაგნაციით გამოწვეული პრობლემათა სიღრმე და სიმწვავე. იდენტიფიცირებულია ის წინაღობები, რომელიც ერთგვარ დაბრკოლებებად ევლინება ეკონომიკური რეანიმაციის პოლიტიკას. შემოთავაზებულია არსებულ პრობლემათა გადაწყვეტის ეფექტიანი გ ზები. წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: *პოსტ-პანდემია, პანდემიური ეკონომიკა.*

შესავალი

მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონების ეკონომიკური მიმოხილვა, რომელშიც წარმოდგენილია რეგიონებისა და მასში შემავალი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზები, უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და პანდემიის შედეგების ზემოქმედების პირობებში. ანგარიშის თანახმად, 2022 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის პროგნოზი მოსალოდნელი 5.5 პროცენტის ნაცვლად, 8.8 პროცენტამდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. აღნიშნულს ხელი შეუწყო შიდა მოთხოვნის აღდგენამ და ფულადი გზავნილების წმინდა მაჩვენებლის ზრდამ.

ასევე წარმოდგენილი ანგარიშით, სამხრეთ კავკასიაში 2022 წელს წარმოებული პროდუქციის მოცულობა 5.6 პროცენტით გაიზრდება, რაც უსწრაფესია ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვერეგიონებს შორის. 2023 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა შენელდება სავარაუდოდ 4.2 პროცენტამდე, რაც ასახავს 2022 წელს მძლავრი აღდგენის სტიმულის შესუსტებას, ევროკავშირში ეკონომიკური ზრდის შემცირებას და 2023 წელს რუსეთში წარმოებული პროდუქციის მოცულობის მოსალოდნელზე მკვეთრ ვარდნას.[3]

2023 წელს მოსალოდნელია ფასების ზრდის ტენდენციის კლება, რადგან მოთხოვნა შემცირდება და გრძელვადიანი ფიქსირებული ფასის კონტრაქტები, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს საქართველოში ენერგომატარებლების ფასით გამოწვეული შოკების შერბილებას. ანალიზით ირკვევა, რომ 2022 წელს რეგიონში წარმოებული პროდუქციის მოცულობის შემცირება 0.2 პროცენტის ოდენობით, რეალურია და ძირითადად რუსეთის უკრაინაში შეჭრით გამოწვეული შედეგებს უკავშირდება. ზოგადად, რეგიონში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაბალ – დაახლოებით 0.3 პროცენტის დონეზე შენარჩუნდება, მიმდინარე ინფლაციის მაღალი დონის, გლობალური საფინანსო ბაზრების გამკაცრებისა და რეგიონში არსებული გამოწვევებით სავსე ფისკალური მდგომარეობის პირობებში.

ამ ფონზე მოსალოდნელია, რომ სამხრეთ კავკასიის ქვერეგიონში დაფიქსირდეს საკმაოდ ძლიერი ეკონომიკური ზრდა და 2022 წელს პროდუქციის მოცულობის 5.6 პროცენტით ზრდის ცვლილება,

რაც საუკეთესო მაჩვენებელია ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონების მასშტაბით.

საინტერესოა ჩვენი ქვეყნის მაგალითიც კერძოდ, საქართველოს შემთხვევაში 8.8-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა მეტწილად განპირობებულია ადგილობრივი მოთხოვნისა და ფულადი გადარიცხვების მატებით, ისევე, როგორც ტურიზმიდან და ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის ზრდით. როგორც ვხედავთ ეკონომიკური ზრდის 8.8-პროცენტიან მაჩვენებელს, რომელიც ამ მომენტისთვის ყველაზე მაღალია მთლიანად ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ ეროვნულმა ბანკმა უნდა შეინარჩუნოს სიფხიზლე იმ შემთხვევაში, თუ ინფლაცია გაიზრდება. იგულისხმება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება.[2]

მსოფლიო ბანკის ახალ ეკონომიკურ მიმოხილვაში აქცენტი გამახვილებულია სოციალური დაცვის ღონისძიებებზე, რომლებიც უმნიშვნელოვანესია კრიზისის დროს სიღარიბის დონის ზრდაზე რეაგირებისთვის კერძოდ, ქვეყანამ უნდა განაახლოს სოციალური დაცვის სისტემები და უზრუნველყოს მიზნობრივი სოციალური დახმარების მექანიზმის არსებობა, რომელიც დახმარებას გაუწევს იმ ადამიანებს, რომლებსაც ის ყველაზე მეტად სჭირდებათ არსებული კრიზისის პირობებში.

კვლევის შედეგები

აღსანიშნავია, რომ პოსტ-პანდემიური ეკონომიკის რეაბილიტაციის პროცესში სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ტურიზმის სექტორმა, მისმა რეანიმაციამ. როგორც ტურიზმის ადმინისტრაციის ანგარიშის ანალიზით ირკვევა, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში ტურიზმისა და ავიაციის ინდუსტრიის აღდგენის დინამიკა სტაბილურად დადებითია, საკმაოდ წარმატებული აღდგენაა ორივე სექტორში, განსაკუთრებით, გამოკვეთილია ის შემოსავლები, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ მიიღო ტურიზმის ინდუსტრიიდან, რომელიც დაახლოებით 2,1 მილიარდი ამერიკული დოლარს შეადგენს, რაც ჯამში, ნიშნავს 94%-იან აღდგენას, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. [9] კარგი მონაცემებია 2022 წლის აგვისტოსა და ივლისში, როდესაც არამხოლოდ აღდგა შემოსავლები 2019 წელთან ანუ იმ წელთან შედარებით, როცა ტურიზმი იყო ყველაზე მაღალ ნიშნულზე, არამედ გაუმჯობესდა ორივე თვის მაჩვენებლები საშუალოდ 20%-ით.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავიაციის კუთხით, ფაქტობრივად, თითქმის სრულად აღდგა ავიაციის ინდუსტრია საქართველოში. წარმოდგენილ სტატისტიკას, 2019 წლის მონაცემებს, თუ შევადარებთ, მზარდია ახალი კომპანიების შემოსვლა ქვეყანაში და განსაკუთრებით მზარდია პირდაპირი საჰაერო მიმოსვლა ევროპის მიმართულებით, ასევე სპარსეთის ყურის მიმართულებით, რასაც თავისი პირდაპირი დადებითი გავლენა აქვს ტურიზმის შემოსავლებსა და ტურიზმის აღდგენის დინამიკაზე. პოზიტიურია მოლოდინებიც, ეს დამყარებულია იმ არსებულ ციფრებზე და იმ ჯავშნებზე, რომელიც კერძო სექტორის ანალიზით იკვეთება.

დიაგრამა 1. რეალური მშპ-ის ცვლილების დინამიკა - წ-წ. [1]



ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

დიაგრამა 2. ეკონომიკური აქტივობა, სფეროების მიხედვით - წ-წ. [1]

(შენიშვნა: ---------საცალო ვაჭრობა/დასვენება; - - - - სასურსათო მარკეტები; -------- პარკები -------- ტრანზიტი; --------სამუშაო ადგილები; ----------საცხოვრებელი ფართები.



დიაგრამა 3. საექსპორტო კალათები -

(HHI - ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მიხედვით) – 2019-2021წ. [1]



მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების უახლესი ანგარიშის თანახმად, COVID-19-ის მიერ გამოწვეულ ზიანთან ერთად, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში გლობალური ეკონომიკის განვითარება კიდევ უფრო შეანელა, რომელიც სუსტი ზრდისა და მზარდი ინფლაციის გაჭიანურებულ ფაზაში შედის. აღნიშნული სავარაუდო უარყოფითი შედეგებით როგორც საშუალო, ისე დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის სტაგფლაციის რისკს ზრდის. მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელება 5.7%-დან (2021) 2.9%-მდე (2022), რაც იანვარში პროგ-

ნოზირებულ 4.1%-თან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელია. [9] ეს მაჩვენებელი, სავარაუდოდ, ამ დონეზე 2023–2024 წლების განმავლობაში დარჩება, რამდენადაც ომი უკრაინაში ახლო მომავალში შეაფერხებს საქმიანობას, ინვესტიციებსა და ვაჭრობას, შესუსტდება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, ხოლო ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ღონისძიებები შეწყდება. შედეგად, პანდემიით და ომით გამოწვეული ზიანის გამო, განვითარებად ქვეყნებში, შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე წელს პანდემიამდელ დონესთან შედარებით თითქმის 5%-ით ნაკლები იქნება. ომი უკრაინაში, „ლოკდაუნი" ჩინეთში, მიწოდების ჯაჭვის წყვეტა და სტაგფლაციის რისკი აფერხებს ეკონომიკურ ზრდას. ბევრი ქვეყნისთვის რთული იქნება ეკონომიკური ვარდნის თავიდან აცილება. ამდენად მნიშვნელოვანია წარმოების წახალისება და სავაჭრო შეზღუდვების თავიდან არიდება. საჭიროა ფისკალური, მონეტარული, კლიმატისა და სავალო პოლიტიკის ცვლილება კაპიტალის არარაციონალური გამოყენებისა და უთანასწორობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გლობალური ეკონომიკური პერსპექტივების ივნისის ანგარიში, 70-იანი წლების სტაგფლაციასთან შედარებით, მიმდინარე გლობალური ეკონომიკური პირობების პირველ სისტემურ შეფასებას გვთავაზობს. კერძოდ, ანგარიში მიუთითებს, თუ როგორი გავლენის მოხდენა შეუძლია სტაგფლაციას განვითარებად ქვეყნებზე. 70-იანი წლების სტაგფლაციის შემდგომ აღდგენას საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა დასჭირდა წამყვანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ფინანსური კრიზისების სერიაში ფორმირებადი ბაზრების მქონე და განვითარებად ქვეყნებში. „განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა დააბალანსონ ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფის საჭიროება დღევანდელი ურთიერთგადამფარავი კრიზისების უღარიბეს მოსახლეობაზე ზემოქმედების შერბილების საჭიროებით. მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებების მკაფიო კომუნიკაციას, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სანდო საფუძვლების გამოყენებითა და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის დაცვით, ინფლაციის მოლოდინის ეფექტური განსაზღვრა და პოლიტიკის გამკაცრების საჭიროების შემცირება შეუძლია ინფლაციასა და საქმიანობაზე სასურველი შედეგების მისაღწევად.

დასკვნა

• მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის მკვეთრი ვარდნა 5.1%-დან (2021) 2.6%-მდე (2022), რაც იანვარში გაკეთებულ პროგნოზზე 1.2%-ით ნაკლებია;

• 2023 წლისთვის მოსალოდნელია ზრდის ზომიერი ნიშნულის - 2.2%-ის მიღწევა, რაც ძირითადად ასახავს ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდგომ მხარდაჭერას პანდემიის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ ფორმირებადი ბაზრების მქონე და განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა 6.6 %-დან (2021) 3.4%-მდე (2022) შემცირდება, რაც 4.8%-იან (2011 – 2019) წლიურ საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია;

• ომის უარყოფითი ზემოქმედება ენერგორესურსების მაღალი ფასის გამო გაანეიტრალებს საქონლის ექსპორტიორების მიერ მოკლევადიან პერიოდში მიღებულ ნებისმიერ სარგებელს;

• 2022 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი გადაისინჯა დაღმავალი მიმართულებით ფორმირებადი ბაზრებისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების დაახლოებით 70%-სთვის, იმპორტიორი ქვეყნების უმეტესობისა და დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ოთხი მეხუთედის ჩათვლით;

• ანგარიში ხაზს უსვამს გლობალური და ეროვნული გადამწყვეტი პოლიტიკის საჭიროებას გლობალური ეკონომიკისთვის უკრაინაში ომის ყველაზე უარესი შედეგების თავიდან ასაცილებლად;

• მაღალი ინფლაციის გამოწვევის, სუსტი ზრდის, გამკაცრებული ფინანსური პირობებისა და შეზღუდული ფისკალური სივრცის გათვალისწინებით, მთავრობებს დასჭირდებათ ხარჯვის პრიორიტეტების ხელახლა განსაზღვრა მოწყვლადი მოსახლეობისთვის მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

GERMANY'S ECONOMIC MIRACLE: THE DOMINANCE OF ORDOLIBERALISM AND ITS END (1948-1966)

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 17, 2022
Published: October 02, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-16

Vasil Khizanishvili,
Doctor of Social Sciences in Economics,
Invited Professor of Iakob Gogebasgvili Telavi State University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-7179-8967
E-mail: vasil.khizanishvili@tesau.edu.ge

ABSTRACT

Germany's economic miracle had a theoretical basis with the ordoliberal view of the so-called 'Freiburg School', which was definitely not simple and rectilinear. Oiken's conceptions of economic development were in clear contradiction with Müller-Armakis approaches, which were characterized by the opposition between free market relations and state interventions and which ultimately led to the end of the ordoliberal course.

Keywords: *Economic Miracle, germany's Economic Miracle*

REFERENCES:

1. Abelshauser, Werner.: Deutsche Wirtschaftsgeschichte. Von 1945 bis zur Gegenwart. München, 2011, S. 70 f

2. Altmann, Georg.: Aktive Arbeitsmarktpolitik: Entstehung und Wirkung eines Reformkonzepts in der Bundesrepublik Deutschland. Franz Steiner Verlag, 2004, S.194.

3. Berndt, Arnold/Goldschmidt, Nils.: Wettbewerb als Aufgabe. Leonhard Mikschs Beitrag zur Ordungstheorie und –politik. In: ORDO. Jahrbuch für die Ordnung von Wirtschaft und Gesellschaft, 51, 2000, S.40.

4. Biedenkopf Kurt H.: Ludwig Erhards Ringen um eine politische Gesamtordnung. In: Karl Hohmann: Grundtexte zur Sozialen Marktwirtschaft. Band 2: Das Soziale in der Sozialen Marktwirtschaft. 1. Auflage. Gustav Fischer, 1988, S. 460

5. Cassel, Dieter/Apolte, Thomas (Hrsg.): 50 Jahre soziale Marktwirtschaft: ordnungstheorethische Grundlagen, Realisierungsprobleme und Zukunftsperspektiven einer wirtschaftspolitischen Konzeption. Lucius und Lucius, Stuttgart, 1998, S.105

6. Diez,Willi.: Die international Wettbewerbsfähigkeit der deutschen Automobilindustrie: Herausforderungen und Perspektiven. Oldenbourg Verlag, 2012, S.77.

7. Die Währungsreform 1948 [Westdeutschland]. https://de.wikipedia.org/wiki/W%C3%A4hrungsreform_1948_(Westdeutschland)).

8. Fuhrmann, Uwe.: Die Entstehung der "Sozialen Marktwirtschaft" 1948/49. Eine historische Dispositivanalyse. UVK Verlagsgesellschaft, Konstanz und München, 2017, S.145.

9. Löffler, Bernhard.: Soziale Marktwirtschaft und administrative Praxis. Frantz Steiner Verlag, 2002, S. 95.

10. Leisering, Lutz.: Der deutsche Nachkriegssozialstaat – Entfaltung und Krise eines zentristischen Sozialmodells. In: Hans-Peter Schwarz (Hrsg.): Die Bundesrepublik Deutschland: eine Bilanz nach 60 Jahren. Böhlau, Köln/Weimar, 2008, S.425.

11. Leaman, Jeremy.: The Political Economy of Ger-

many under chancellors Kohl and Schröder. Berghahn Books, 2009, S.33.

12. Müller-Armack, Alfred: Soziale Marktwirtschaft. In: Erwin von Beckerath, Hermann Bente, Carl Brinkmann u.a. (Hrsg.): Handwörterbuch der Sozialwissenschaften: Zugleich Neuauflage des Handwörterbuch der Staatswissenschaften. Fischer, Stuttgart 1956 (Band 9), S.390

13. Müller-Jentsch, Walter.: Arbeit und Bürgerstatus: Studien zur sozialen und industriellen Demokratie. VS Verlag, Wiebaden, 2008, S.196.

14. Lindlar, Ludger.: Das Missverstandene Wirtschaftswunder. 1 Auflage, Mohr Siebeck, 1997, S.32

15. Nützenadel Alexander.: Stunde der Ökonomen, Vandenhoeck & Ruprecht, 2011, S.244-245.

16. Pätzold, Jürgen.: Soziale Marktwirtschaft: Konzeption – Entwicklung – Zukunftsaufgaben. 6., überab. Auflage, Verlag Wiss. Und Praxis, Ludvigsburg 1994.

17. Hochkerts, Hans Günter.: Der deutsche Sozialstaat: Entfaltung und Gefährdung seit 1945. Vandenhoeck & Ruprecht, 2011, S.12.

18. Osswalt, Walter.: Offene Fragen zur Rezeption der Freiburger Schule. In: Nils Goldschmidt, Michael Wohlgemuth: Grundtexte zur Freiburger Tradition der Ordnungsökonomik. Mohr Siebeck, Tübingen, 2008, S.131 f.

19. Reichel, Richard.: Soziale Marktwirtschaft, Sozialstaat und liberale Wirtschaftsordnung. In: Gesellschaft für kritische Philosophie Nürnberg (Hrsg.): Zeitschrift für freies Denken und humanistische Philosophie. Sonderheft 2 (1988), S. 83-92. Online: Soziale Marktwirtschaft, Sozialstaat und liberale Wirtschaftsordnung (PDF; 43 kB), S. 7.

20. Schlecht, Otto.: Leitbild oder Alibi ? Zur Rolle der Konzeption der Sozialen Marktwirtschaft in der praktischen Wirtschaftspolitik. In: Dieter Cassel (Hrsg.): 50 Jahre soziale Marktwirtschaft: ordnungstheorethische Grundlagen, Realisierungsprobleme und Zukunftsperspektiven einer wirtschaftspolitischen Konzeption. Lucius und Lucius, Stuttgart, 1998, S. 41.

21. Temin, Peter.: The Golden Age of European growth: A review essay. In: European Review of Economic History . Band 1, Nr. 1, April, 1997, S.127-149.

გერმანიის ეკონომიკური სასწაული: ორდოლიბერალიზმის დომინაცია და მისი დასასრული (1948-1966 წწ.)

ვასილ ხიზანიშვილი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული პროფესორი
ელ.ფოსტა: vasil.khizanishvili@tesau.edu.ge

აბსტრაქტი

გერმანიის ეკონომიკურ სასწაულს გააჩნდა თეორიული საფუძველი ე.წ. „ფრაიბურგის სკოლის“ რდოლიბერალური ხედვით, რაც ნამდვილად არ იყო მარტივი და სწორხა ზოვანი. ეკონომიკური განვითარების ოიკენისეული წარმოდგენები აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა მიულერ-არმაკისეულ მიდგომებთან, რაც თავისუფალი საბაზრო ურთიერთოებისა და სახელმწიფო ჩარევებს შორის არსებული შეპირისპირებით ხასიათდებოდა და რამაც, საბოლოოდ ორდოლიბერალური კურსის დასარულება გამოიწვია.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური სასწაული, გერმანიის ეკონომიკური სასწაული*

შესავალი

გერმანიის ეკონომიკური სასწაულის იდეა დაკავშირებულია „სოციალური საბაზრო ეკონომიკის„ კონცეფციასთან, რაც თავის მხრივ ეფუძნება ე.წ. ფრაიბურგის სკოლის სამეცნიერო შრომებს, რომელთა მნიშვნელოვანი წარმომამდგენლები იყვნენ (პოლიტ)ეკონომისტი ვალტერ ოიკენი და იურისტი ფრანც ბიომი. მათთან ერთად სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია თეორიულად შემუშავებული იქნა ვილჰელმ რიოპკეს, ალექსანდერ რიუსტოვის, ლეონარდ მიკშის(რომელიც ფრაიბურგის უნივერსიტეტში დასახელდა ოიკენის ინსტიტუციონალურ მემკვიდრედ, რომელმაც განახორციელა ენობრივ- ტერმინოლოგიური ცვლილება „თავისუფალიდან“ „სოციალური საბაზრო ეკონომიკისკენ’)**[1]** და რომელიც გახდა “სავალუტო რეფორმის საფასო პოლიტიკის მხარდაჭერის პიო-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნერი და იდეების გენერატორი ერჰარდისთვ**ის**"[2], ალფრედ მიულერ-არმაკისა და სხვათა მიერ, რისი პოლიტიკური აღსრულება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში წარიმართა ეკონომიკის მინისტრის, ლუდვიგ ერჰარდის ხელმძღვანელობით.

ოიკენმა შეიმუშავა კონკურენციული წესრიგის ძირითადი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს ეფექტიანობასა და თავისუფლებას კონკურენციული პროცესის თავისუფალი/შეუფერხებელი მოძრაობის (ე.ი. შეუზღუდავი ფუნქციონირების) გზით. ოიკენისთვის, კონკურენციული წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები არის ქმედუნარიანი ფასების სისტემა (ფასების ფუნქციონირების სისტემა), მონეტარული პოლიტიკის პრიორიტეტი, ბაზრებზე თავისუფალი დაშვება, წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, კონტრაქტის თავისუფლება, პასუხისმგებლობის პრინციპი და ეკონომიკური და პოლიტიკის თანმიმდევრულობა. ამ საკითხებზე ფოკუსირებული პოლიტიკა ყურადღებას უნდა აქცევდეს მსგავსი კონკურენციული წესრიგის ურთიერთდამოკიდებულებას ცხოვრების სხვა სფეროებთან.

ოიკენის თანახმად, არსებობს სფეროები, სადაც კონკურენციული წესრიგის ფუძემდებლური პრინციპები საკმარისი არ არის, კონკურენტული წესრიგის ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად. ის ასახელებს სოციალური პოლიტიკის, ეფექტიანობით შეპირობებულ მონოპოლიურ მდგომარეობათა, შემოსავლების განაწილების, შრომის ბაზრებისა და გარემოსდაცვითი პრობლემატიკის საკითხებს. აღნიშნული ბოლო ოთხი სფერო ემთხვევა ოიკენის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ პრინციპებს. ამასთან, მარეგულირებელი პრინციპების განსახორციელებლად საჭირო ზომები არ უნდა ეფუძნებოდეს ცალმხრივ ეკონომიკურ პოლიტიკას, არამედ უნდა ხელმძღვანელობდეს ეკონომიკური კონსტიტუციის (რაშიც იგულისხმება „საერთო გადაწყვეტილება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების წესრიგის შესახებ") პრინციპებით.

ვალტერ ოიკენისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის სახელმწიფოს უმთავრესი ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა იყო მონოპოლიებით, კარტელებითა და ძალაუფლების ფლობის სხვა ფორმებით, ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის თავიდან აცილება/ხელის შეშლა. მისთვის ასევე პრობლემატური იყო სახელმწიფოს მონოპოლიური ძალაუფლება. ოიკენის მსგავსად, ფრანც ბიომის მოთხოვნაც იყო სწორედ ბრძოლა მონოპოლიების წინააღმდეგ და კონკურენციული წესრიგის ჩამოყალიბება სახელწიფოს ხელშეწყობით. ლუდვიგ ერჰარდისთვის, თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნება, ფულადი ღირებულების დაცვა და ფასების დონის სტაბილურობა მთავრობის თანმიმდევრული პოლიტიკის უზრუნველყოფით, ლიბერალურ საზოგადოებრივ წესრიგზე დაფუძნებული სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. თუმცა, ფაქტობრივმა პოლიტიკურმა განვითარებამ ერჰარდის სურვილის საპირისპიროდ, ჯერ კიდევ გერმანიის ქრისტეან-დემოკრატიული კავშირის (Christlich Demokratische Union Deutschlands / CDU) მმართველობის დროს, ყველა ასპექტში შეიძინა განსხვავებული მიმართულება; ერჰარდის მიერ პროპაგანდირებული/დეკლალირებული სახელმწიფოს შეზღუდვა პოლიტიკურად ვერ განხორციელდა.

ძირითადი ნაწილი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სამხედრო/ომის ეკონომიკიდან (Die Kriegswirtschaft) აღმოცენებული სამეურნო მართვის სისტემა, თითქმის უცვლელი სახით აგრძელებდა ფუნქციონირებას. იმ დროს, დაგეგმარება და მართვა გამოყენებული იქნა როგორც დროებთი საშუალება, ეკონომიკური ცხოვრების კვლავ გამოსაცოცხლებლად. ამდენად, „1000 კალორიის დროებაში" ("Die Zeit der 1000 Kalorien"), სასურსათო პოლიტიკის მართვა, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის იყო გადარჩენის საშუალება.

1948 წლამდე, მთლიანი ძირითადი ფონდები/აქტივები გაუთანაბრდა 1936 წლის დონეს.**[3]** ეს მაშინ, როდესაც სამრეწველო წარმოება 1936 წლის ნახევარზე ოდნავ ნაკლებს შეადგენდა. (იხ. [**1**], S. 107) 1947 წელს, ამერიკისა და ბრიტანეთის საოკუპაციო ზონებში გატარდა ღონისძიებები, ომის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღსადგენად.**(**იხ.[3], S. 115 ff.) 1947 წლის შემოდგომაზე გაიზარდა წარმოება, თუმცა მოსახლეობის მომარაგება-უზრუნველყოფა მაინც არ გაუმჯობესდა, ვინაიდან სავალუტო რეფორმების მოლოდინში, წარმოიქმნა მარაგების დიდი მოცულობა.**(**იხ.[3].S.119) 1948 წლის 20 ივნისს დაიწყო სავალუტო რეფორმა, რაც უშუალო კავშირში იყო ორი ზონის ეკონომიკური საბჭოს დირექტორის, ლუდვიგ ერჰარდის მიერ ფასების გათავისუფლების დადგენილებასთან[4], და რომელიც განეკუთვნება, გერმანიის ომისშემდგომი ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ღონისძიებათა რიცხვს**[5]**(Die Währungsreform

1948 [Westdeutschland]. https://de.wikipedia.org/wiki/W%C3%A4hrungsreform_1948_(Westdeutschland)). ორდოლიბერალი ლეონარდ მიკშის მიერ შემუშავებული "სახელმძღვანელო პრინციპთა კანონის/წესების" თანახმად, პირველ რიგში გათავისუფლდა ფასები სამომხმარებლო საქონელზე, ხოლო მოგვიანებით კი მნიშვნელოვან სამრეწველო პროდუქციაზე, გათბობისა და სასურსათო საშუალებებზე(სურსათ-სანოვაგე).(იხ.[4], S.95) სავალუტო რეფორმა ნამდვილად დროული და საჭირო იყო.

ეკონომიკური აღმავლობა უკვე 1947 წელს იწყება (1947 იანვრიდან 1948 წლის ივლისამდე სამრეწველო პროდუქცია 1936 წლის არსებული 34%-იანი დონიდან გაიზარდა 57%-მდე, ხოლო სავალუტო რეფორმიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაფუძნებამდე მისმა მოცულობამ 86%-ს მიაღწია).(იხ.[3], S.107) ფასების გათავისუფლებისას თავი იჩინა ე.წ. Die Durchbruchskrise (გარღვევის/თავის დაღწევის კრიზისი). სურსათზე ღირებულება უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე საათობრივი ხელფასები. რაც შეეხება უმუშევრობას, მისი დონე 3,2%-დან 1950 წლის დასაწყისამდე 12,2%-მდე გაიზარდა.(იხ. [3], S.153) ამ დროისთვის სოციალური საბაზრო ეკონომიკის საზოგადოებრივი კომპონენტი არსებითად შედგებოდა სოციალური უზრუნველყოფის უკვე არსებული სისტემიდან, რომელიც, ჰენრი ც. ვალიხის(Henry C. Wallich) დაკვირვებით, მდგომარეობა "საზოგადოებრივად ჯერ კიდევ ასატანად მოჩანდა".(იხ.[3], S.160)

კორეის ომის(1950 - 1953) შედეგად, გლობალური ეკონომიკური ბუმის ფონზე, შრომის ბაზარზე არსებული ვითარება დამშვიდდა (და გაუმჯობესდა). რასაკვირველია, მოკავშირეების დიდი კომისია (Die Alliierte Hohe Kommission) ხელს უწყობდა, რომ გერმანიას თავისი წვლილი შეეტანა დასავლური თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში იმით, რომ უპირატესობა მიენიჭებინა კვლავაც თავისუფალ შესაძლებლობებზე დამყარებულ საქმიანობისთვის, ფოლადის წარმოების მიმართულებით. ამან ლუდვიგ ერჰარდი ძალზე შეაშფოთა, რომელმაც საგეგმო შტაბები ფედერაციული ეკონომიკის სამინისტროში დროებით გააუქმა.(იხ.[3], S.164-165) ამ სიტუაციაში ეკონომიკის მთავარმა გაერთიანებებმა და პროფ.კავშირებმა აიღეს ინიციატივა და დააფუძნეს (ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის თანხმობით) შემსყიდველი კარტელი, რათა ნედლეული სამომხმარებლო საქონლის ინდუსტრიიდან მძიმე მრეწველობაში გადანაცვლებულიყო. ამგვარად, მათ აღმოფხვრეს მართვის ის ხარვეზები (ამოავსეს მართვის ხვრელები), რომელიც ერჰარდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ შეგნებულად დატოვა და მნიშვნელოვნად გააძლიერა მათი გავლენა. ამრიგად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ჩარჩო-პირობები ფუნდამენტურად შეიცვალა. კორეის კრიზისმა დააჩქარა კორპორატიული საბაზრო ეკონომიკის რენესანსი. (იხ.[3], S.168, 170)

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის(1949) დაფუძნების შემდეგ, მნიშვნელოვანი მარეგულირებელი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ასე მაგალითად, სატარიფო ავტონომიის გამტკიცება 1949 წლის სატარიფო ხელშეკრულების კანონის (Das Tarifvertragsgesetz (TVG) vom 9. April 1949) საშუალებით, და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაქმებულთა(მუშაკთა/თანამშრომელთა) პარიტეტულ საფუძველზე მონაწილეობის რეგულაციით/მოწესრიგებით(Die Regelung der betrieblichen Mitbestimmung; Mitbestimmung - მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში/მონაწილეობა მართვაში) [საზოგადოებრივ და კერძო საკითხებში], და დასაქმებულთა თანამშრომლობა [ეკონომიკურ საკითხებში], თანამშრომელთა საწარმოს წარმომადგენლობით ორგანოებში კანონის საშუალებით [კანონი თანამშრომელთა მდგომარეობის შესახებ საწარმოში] (Das Betriebsverfassungsgesetz, 1952).[6] ეკონომიკის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროფ.კავშირული კონცეფცია, მისი ეკონომიკური თანხმობის(Die wirtschaftlichen Mitbestimmung) ძირითადი ელემენტითა და სოციალური საბაზრო ეკონომიკის ორდოლიბერალური კონცეფცია, ფედერაციული რესპუბლიკის პირველ დეკადაში დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს. [7] 1957 წლის ბუნდესბანკის აქტის(Das Bundesbanksgesetz) თანახმად, Deutsche Bundesbank-მა ფასების დონის სტაბილურობა უმნიშვნელოვანეს მიზნად დაისახა(იხ.[6]) რასაკვირველია, 1949 წლიდან 1973 წლამდე ბრეტონ-ვუდსის სისტემაში(Bretton-Woods-System) მონაწილეობა იმას ნიშნავდა, რომ Deutsche Bundesbank-ს ფიქსირებული(მყარი) გაცვლითი კურსის მხარდასაჭერად ხშირად უნდა გაეკეთებინა სავალუტო (უცხოური ვალუტის) შესყიდვები, რაც ზრდიდა ფულის მასის მოცულობასა და ინფლაციას, და ამავე დროს, იწვევდა DM-ის კურსის შემცირებას, რითაც ხელს უწყობდა ხელსაყრელი ექსპორტის პირობების შექმნას. ფასების დონის სტაბილურობა მხოლოდ 1973 წელს გახდა რეალური პრიორიტეტი.[8] D-Mark-ის კურსის ქრონიკული შემცირება 1973 წლამდე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ძლიერ უწყობდა ხელს გერმანიის საავტომობილო ინდუსტრიის ზრდას.[9]

გადაწყვეტილებამ სოციალური საბაზრო ეკონომიკის სოციალური დიმენსიის (საზოგადოებრივი განზომილების) ფორმირების შესახებ, საპენსიო რეფორმის საკითხის ინიცირება გამოიწვია. სრული დაფინანსების ნორმატიული საპენსიო დაზღვევა დიდწილად დევალვირებული(გაუფასურებული) იქნა ჰიპერინფლაციითა და ომის ფარული დაფინანსებით. პენსიონერების საარსებო წყაროს /საშუალებების უზრუნველსაყოფად, საპენსიო უზრუნველყოფა ახალ ბაზისზე უნდა დაფუძნებულიყო.(იხ.[3] S.195) განიხილებოდა სახალხო კაპიტალიზმი, ბრიტანულ-სკანდინავიური მოდელის მიხედვით კეთილდღეობის სახელმწიფოზე გადასვლა და ბისმარკისეულ სოციალურ უზრუნველყოფათა უფრო ეფექტური ფორმირება, თანამედროვე სოციალური სახელმწიფოსთვის.(იხ.[3], S.190) 1957 წლის საპენსიო რეფორმამ აჩვენა, რომ გერმანიის ბისმარკისეული სოციალური დაზღვევის ტრადიცია აჭარბებდა/სჯობდა როგორც ფართო/ვრცელ ბევერიჯის-სისტემას სახელმწიფოს მოქალაქეთა უზრუნველყოფის პრინციპის მიხედვით, ისე ლუდვიგ ერჰარდის შემცირების ვერსიას(Die Schrumpfversion) სოციალურ-სახელმწიფოებრივი ინტერვენციის მიხედვით.[10] საპენსიო რეფორმის გამო, ხანდაზმულთა პენსია მეტად აღარ ითვლებოდა არსებობის შემწეობად-(სუბსიდია არსებობისთვის), არამედ, - როგორც ხელფასის ჩამნაცვლებლად. სტანდარტულ პენსიას ამიერიდან უნდა მოეცვა ყველა დაზღვეულ პირთა საშუალო ხელფასის 60% (1956 წელს ეს იყო მხოლოდ 34,5%). სხვა მოვლენების მსგავსად, საპენსიო რეფორმამ აღადგინა გერმანიის მოქალაქეების ნდობა კეთილდღეობის სახელმწიფოს (სოციალური სახელმწიფოებრიობის) მიმართ და მტკიცედ გააძლიერა საზოგადოებრივი მშვიდობა.(**იხ.**[3], S.197-198) 1957 წლიდან, სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმულა ერჰარდისეული ინტერპრეტაციით "გადაითარგმნა„სახალხო კაპიტალიზმად საბაზრო ეკონომიკისთვის, თვითმყოფადი კეთილდღეობის სახელმწიფოთი. მხოლოდ ამით იქცა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ცნება, შუა გზის ცენტრალური კონსესუსისა(თანხმობისა) და მშვიდობის ფორმულად.(**იხ.**[11]. S.425)

ბაზრის ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლით (ანუ, მისი გაუქმებით), სრულყოფილი კონკურენციის(Die vollkommene Konkurrenz) შექმნა იყო ორდოლიბერალების ცენტრალური საკითხი (საზრუნავი/მისწრაფება/სურვილი), რაც ასევე ლეონარდ მიკშის მიერ იქნა წარმოდგენილი ეკონომიკის ფედერალურ სამინისტროში. თუმცა, გერმანული ინდუსტრიის წინააღმდეგობა კონკურენციის პირველ კანონპროექტთან დაკავშირებით, მაინც იყო მკაცრი და წარმატებული. ამასთან, ეს არა მხოლოდ კონცერნების ანგარებიდან იშვა, არამედ ასევე (იმ) რეალური საფრთხიდან, რომ კონცენტრაციის პროცესის რადიკალურ შეწყვეტა-აკრძალვას მკაცრი კონკურეციული პოლიტიკით, უცხოურ დიდ კონცერნებთან/კორპორაციებთან დაპირისპირებაში, დანაზოგის მასშტაბის(Der Skaleneffekt) საფუძველზე შეეძლო გერმანული ინდუსტრიის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის საფრთხეში ჩაგდება. საბაზრო ეკონომიკის ორდოლიბერალური ეკონომიკური უტოპიის "გულუბრყვილო/მიამიტი„წარმოდგენა(იდეა), რომელიც მცირე და საშუალო საწარმოების არსებობას ემყარებოდა, გერმანიის ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკისთვის (საექსპორტო ეკონომიკა/ეკონომიკის საექსპორტო მხარე) და მთლიანად, ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის, საფრთხედ იქნა მიჩნეული.[12]

დაბოლოს, თავისუფალი კონკურენციის იდეალის/პრინციპების სასამსახუროდ, 1958 წელს გამოცემულ იქნა კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ და დაფუძნდა ფედერალური ანტიმონოპოლიური კომიტეტი/სამსახური(Das Bundeskartellamt). პრინციპში კარტელები აიკრძალა, თუმცა გამონაკლისი დაიშვა პირობების, ფასდაკლების, საგარეო, სტრუქტურული კრიზისების, საექსპორტო და რაციონალიზაციის კარტელებისთვის (Konditionen-, Rabatt-, Auslads-, Strukturkrisen-, Export- und Rationalisierungskartelle)(იხ.[3] S.176; ვრცლად იხ. მონოგრაფია <<სოციალური საბაზრო ეკონომიკა [გერმანული მოდელი], გამომც., „ლოი", თბილისი, 2020, გვ., 127-128) მაგრამ, ეს ორდოლიბერალური წარმოდგენებისგან ძლიერ იყო დაშორებული. ფრანც ბიომმა საჯაროდ აღიარა მარცხი იმ სფეროში, რომელიც ორდოლიბერალების წარმოდგენით გერმანიის ეკონომიკური სისტემის(წესრიგის) საკვანძო/ძირითადი ელემენტი უნდა ყოფილიყო.(**იხ.**[12], S.34) ლეონარდ მიკში ვალტერ ოიკენის საპირისპიროდ განმარტავდა: "ჩვენ სრული სერიოზულობით უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ აშკარად ვდისტანცირდეთ ახლანდელი ხელისუფლების კურსისგან. ადენაუერის კაბინეტი სულ უფრო მეტად ჩნდება როგორც ინტერესთა ხელისუფლება. სასოფლო-სამეურნეო და მძიმე ინდუსტრიული გავლენები/ძალები(ნაკადები/მი-

მართულებები) გაერთიანდა. ჩვენ არ შეგვიძლია ამის დიდხანს ყურება. მოგვიანებით იტყვიან, რომ ეს ჩვენი იდეები იყო"[**13**]. რაც შეეხება ლუდვიგ ერჰარდს, ის კანცლერ ადენაუერის საპირისპიროდ შენიშნავდა, რომ სულ უფრო რთული ხდება SPD-ს, როგორც პარტიის პოლიტიკური ოპონენტების მიერ გეგმიური ეკონომიკის დაგმობა-(მკაცრად) გაკრიტიკება, რადგან მათი ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკა თითქმის მთლიანად კონცენტრირდება ეკონომიკური უსაფრთხოების ნაკლებობაზე. თუმცა, მას მაინც სჯეროდა, რომ ორდოლიბერალიზმის ეკონომიკურ თეორიაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკას შეეძლო კონიუნქტურულ ციკლთა დაძლევა.[იხ.**14**](იხ. Alexander Nützenadel, 2011, **S.244-245**) მაგრამ ასევე, ლუდვიგ ერჰარდის თანაპარტიელებს შორის გაჩნდა გეგმიური და კონიუნქტურული პოლიტიკისგან თავშეკავების ნაწილობრივი კრიტიკა.

ალფრედ მიულერ-არმაკი მხარს უჭერდა (და ითხოვდა) სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ფაზას და მის დაწყებას, რომელშიც კონიუნქტურულ პოლიტიკას გარკვეული როლი უნდა ეთამაშა. როდესაც მიულერ-არმაკმა, 1950-იანი წლების დასასრულს წამოაყენა სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე, სოციალურ-პოლიტიკური ფაზის/ეტაპის აუცილებლობის საკითხი, თავისი ტრადიციული ბირთვის მიღმა, საზოგადოებრივი სიკეთით/კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან მიმართებით, სოციალური პოლიტიკა განავრცო განათლებისა და ჯანდაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და ენერგეტიკის, და გარემოს დაცვის სფეროებზე.[იხ. **10**](Hans Günter Hockerts, 2011, S.143f.)

სოციალურ პოლიტიკაში ადგილი ჰქონდა რა კეთილდღეობის სახელწიფოს შემდგომ გაფართოებას, 1972 წლის საპენსიო რეფორმამ აგრეთვე მოახდინა სადაზღვეო დაცვის (Der Versicherungsschutz) მოსახლეობის უფრო მეტ ნაწილზე განვრცობა/(გა)დაფარვა, როგორიცაა თვითდასაქმებულები, სტუდენტები, დიასახლისები, ფერმერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონენი. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კრიტიკოსებმა მასში ზოგადად, დაზღვევის ბუნების გაუფასურება-გაუბრალოება დაინახეს.(იხ.[3], S.498)

მიულერ-არმაკი მხარს უჭერდა სახელმწიფოს "სოციალურ ინტერვენციას„იმ პირობით, რომ ისინი "ექვემდებარებიან ბაზრის კონფორმიტეტის პრინციპს"**[15]**(Dieter Cassel, Thomas Apolte, 1998, S.105), რაც ნიშნავს იმას, რომ მიიღება მხოლოდ იმგვარი პოლიტიკური ზომები, რომელიც უზრუნველყოფს სოციალური მიზნის შექმნას, საბაზრო ინსტრუმენტების(ბაზრის აპარატის) ჩარევის გარეშე.**[16]** (Müller-Armack, Alfred: Soziale Marktwirtschaft., Stuttgart 1956 (Band 9), S.390)

1960-იანი წლების შუა ხანებში მომრავლდა ნიშნები, რომ რეკონსტრუქციის(აღმშენებლობის) ფაზის განსაკუთრებული ეკონომიკური მდგომარეობა სრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზრდის ტემპები კვლავ შედარებით მაღალი იყო, რეტროსპექტივაში აშკარად ჩანდა, რომ ზრდა მცირდებოდა ციკლიდან ციკლამდე.(იხ. [**14**], S.295) 1966 წლის მიწურულს, ფედერაციული რესპუბლიკა შეეჯახა პირველ მუბუქ/მცირე რეცესიას, "რასაც ეკონომიკური სასწაულის ქვეყანა" სრულიად მოუმზადებელი შეხვდა.(ი**ხ**.[3], S. 371) მისი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, ერჰარდი პირველად გააკრიტიკა არა მხოლოდ ოპოზიციამ, არამედ ბიზნეს-პრესამ და ეკონომიკის ექსპერტთა საბჭომ(იხ.**[**14], S.299) კრიზისს ჰქონდა ბევრად უფრო მძიმე და სერიოზული პოლიტიკური, ვიდრე ეკონომიკური შედეგები, რამაც ერჰარდის ეპოქის დასასრული მოიტანა.(**იხ**. [14], S.295)

კურტ ჰ. ბიდენკოფის აზრით, ფაქტობრივმა პოლიტიკურმა განვითარებამ ერჰარდის სურვილის საპირისპიროდ, რასაკვირველია უკვე გერმანიის ქრისტეან-დემოკრატიული კავშირის(Christlich Demokratische Union Deutschlands [CDU]) მმართველობის დროს, ყველა ასპექტში შეიძინა განსხვავებული მიმართულება; ერჰარდის მიერ პროპაგანდირებული/დეკლალირებული სახელმწიფოს შეზღუდვა პოლიტიკურად ვერ განხორციელ**და**.[17] 1974 წელს ლუდვიგ ერჰარდმა განაცხადა, რომ სოციალური საბაზრო ეკონომიკის ეპოქა დიდი ხანია დასრულდა, როცა მან დაინახა, თუ როგორ დიდად დაშორებოდა არსებული/მიმდინარე პოლიტიკა თავისუფლებასა და პირად პასუხისმგებლობაზე მის წარმოდგენებ**ს.**[18]

დასკვნა

მეორე მსოფლიო ომის დასასრულსა და პირველი ნავთობის კრიზისს შორის პერიოდი ხასიათდებოდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებითა და შემოსავლების მატებით (ომისშემდგომი ბუმი). შემცირდა უმუშევრობა, შენარჩუნდა ფასების რელატიური (შედარებითი) სტაბილურობა და გაიზარდა დასაქმებულთა (მუშაკთა/თანამშრომელთა) შემოსავალი. ბრწყინვალე ომისშემდგომ ბუმს ადგილი ჰქონდა გერმანიაში, ზოგადად მთელ დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში. წამოყენებული იქნა თეზა,

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

რომ იმ სახალხო მეურნეობებმა/ეკონომიკებმა, რომლებიც 1945 წლის შემდეგ შედარებით ყველაზე დაბალ პროდუქტიულობას ავლენდნენ, 1970-იან წლებამდე ყველაზე მაღალ პროდუქტიულობის მატებასა და ეკონომიკურ ზრდას მიაღწიეს(*დაწევის/ანაზღაურების თეზა*). ომისშემდგომი ბუმის ინტერპრეტაცია ეკონომიკის ისტორიკოსებსა და ეკონომისტებს შორის დღეს ჯერ კიდევ არ არის სრულიად ერთგვაროვანი. მაგრამ, გაჩნდა ფართო შეხედულება, რომ 1950-იანი წლების ბოლომდე, რეკონსტრუქციის ეფექტმა და 1970-იანი წლების დასაწყისამდე, დაწევის/ანაზღაურების ეფექტმა არსებითი როლი ითამაშა.[19]

ჰერბერტ გირში, კარლ-ჰაინც პაკე და ჰოლგერ შმიდინგი გერმანიის ომისშემდგომ ბუმს ხსნიან ორდოლიბერალური წესრიგის პოლიტიკით. აღმასვლა იწყება საბაზრო-ეკონომიკური შოკური თერაპიით სავალუტო რეფორმის ფარგლებში (რასაც წინ უსწრებდა რეკონსტრუქციის პროცესი წარმოების მძლავრი გაფართოებით, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე სავალუტო რეფორმამდე, და რაც გადამწყვეტი წინაპირობა აღმოჩნდა სავალუტო რეფორმის წარმატებისთვის). ფრთხილმა მონეტარულმა და ფისკალურმა პოლიტიკამ განაპირობა უწყვეტი ბიუჯეტის პროფიციტი. 1950-იანი წლების ზრდა იშვა დერეგულირებული ეკონომიკის სპონტანური საბაზრო ძალებით, ისევე როგორც კომპანიების (კორპორატიული) უხვი მოგებებით. შემდგომ, 1960-იანი წლებიდან მზარდმა რეგულირებამ, უფრო მაღალმა გადასახადებმა და ზრდადმა ხარჯებმა შეანელა ეკონომიკის პროგრესი.[20]

1960-იანი წლების შუა პერიოდში დაიწყო სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ფაზა/ეტაპი, რა დროსაც დემოკრატიული სოციალიზმის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური იდეები აყალიბებდა ამ ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას. ეს სტრუქტურა აგრეთვე საჯარო მოსაზრებებში დაუკავშირდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას/ცნებას.(იხ.[6])

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1967 წლის სტაბილურობის კანონს, რამაც (კურსის ცვლილებით) განაპირობა აქტიურ კონიუნქტურულ(ეკონომიკურ) პოლიტიკაზე გადასვლა. ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა კარლ შილერმა მას უწოდა "საპროცესო პოლიტიკის ძირითადი (საკონსტიტუციო) კანონი", რომელიც ავსებდა ანტიმონოპოლიური/ანტიკარტელური კანონის ძირითად მარეგულირელ კანონს. მან ეს დაინახა, როგორც "ფრაიბურგული იმპერატივისა და კეინზიანური გზავნილის სიმბიოზი"[21]

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

COMPETITION IN THE FUEL MARKET MYTH OR REALITY

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 20, 2022
Published: October 05, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-23

Lasha Mgeladze,
PHD in economics
Assistant-Professor
Technical University of Georgia
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-4608-7255
E-mail: lmgeladze@gmail.com
Cell: (+995) 577229889

ABSTRACT

The paper concerns the current situation in the Georgian fuel market. The situation in the relevant market over the last ten years has been analyzed. Studies and Monitoring documents and studies conducted by relevant market regulatory bodies are reviewed. The trends are highlighted,what results can be brought by the actions taken in the direction of establishing a competitive environment; The steps taken by the state institutions are outlined and evaluated in relation to increasing the effectiveness of competitive conditions in the relevant market; Conclusions and recommendations have been formed as a result of processing the obtained information, the analysis of the researches carried out by the state institutions regarding the market and the mutual summation of the identifies trends; How coordinated the state apparatus is in the direction of improving the competitive environment; How effective are the steps taken, how precisely the conducted studies reflect the reality; and recommendations are offered, both, specifically in the direction of improving competition in the fuel market, as well as institutional or functional improvement of competitive environment.

In order to make the perception of the situation more clearly visible, the market of the state procurement of fuel is reviewed and analyzed in relation to the general picture obtained.

Finally, the conclusion, together with the recommendations, states that the competition on the fuel market is more of a myth than a reality, as a number of issues are still unclear and need to be clarified.

Key words - *Competition, fuel market, state regulation, concentration, State procurement, Consolidated tender.*

References:

1. Order #81 of the Chairman of the National Competition Agency of Georgia dated July 14, 2001, (in Georgian);
2. Order N04/7 of the Chairman of the National Competition Agency of Georgia dated January 17, 2018(in Georgian);
3. Fuel Market Monitoring 2019 Interim Report, (in Georgian);
4. Fuel Market Monitoring 2020 Interim Report, (in Georgian);
5. Fuel Market Monitoring 2021 Interim Report, (in Georgian);
6. Fuel Market Monitoring 2022 Interim Report, (in Georgian);
7. Cisana Sekhniashvili, History of Economy, Publishing House "Pirveli Stamba", Tbilisi, 2000. Volume I, 364 p. (in georgian)
8. Slava Fetelava, Theory of Competition and Antimonopoly Regulation in Georgia, Publishing House, "Loi", Tbilisi, 2007. 276 p. (in georgian)
9. Guram Jolia, Education and Employment in the

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Digital Environment, Publishing House "Technical University", 2021. 370 p. (in georgian)

10. Irakli Jangavadze, Fundamentals of Innovative Economics, " publishing house Universal", 365 p. (in georgian)

11. Lasha Mgeladze, Challenges of competition policy and ways to improve it, publishing house "World of Lawyers", Tbilisi 2020, 276 p. (in georgian)

12. https://gnca.gov.ge/media/press-releases/269

13. https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=10

14. https://www.sgp.ge/ge/price?start_date=2003-01-07&end_date=2012-01-12

15. http://www.lukoil.ge/index.php?m=328&date_from=1.1.2012&date_to=17.04.2019

16. https://my.wissol.ge/public/fuelprices

17. https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483

18. https://www.statista.com/statistics/262858/change-in-opec-crude-oil-prices-since-1960/

19. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika

20. http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD

21. https://imedinews.ge/ge/ekonomika/88948/bakhtadze-puris-pasis-zrdaze-mivmartav-shesabamis-organoebs-sheistsavlon-situatsia

22. https://bm.ge/ka/article/saqartvelos-damokidebuleba-rusul-xorbalze-100-mde-gaizarda-/62762

23. https://1tv.ge/news/irakli-leqvinadze-mskhvil-kompaniebs-sawvavis-fasis-shemcirebis-resursi-hqondat/

24. https://gnca.gov.ge/media/press-releases/271

25. https://www.interpressnews.ge/ka/article/726170-irakli-lekvinaze-sektembershi-sakartveloshi-sacvavis-pasis-shemcirebaa-mosalodneli/

26. https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/53475-irakli-gharibashvili-dainteresda-ratom-ar-khdeba-satsvavis-fasebis-kontroli-saqarthveloshi.html

27. https://www.radiotavisupleba.ge/a/sacvavis-fasebi/26822044.html

28. https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483

29. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

30. https://gnca.gov.ge/media/press-releases/269

31. https://tenders.procurement.gov.ge/public/library/files.php?mode=app&file=633900&code=1387488310

კონკურენცია საწვავის ბაზარზე, მითი თუ რეალობა

ლაშა მგელაძე,
ეკონომიკის დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ. ფოსტა: lmgeladze@gmail.com
ტელ: (+995) 577229889

აბსტრაქტი

ნაშრომი შეეხება საქართველოს საწვავის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. გაანალიზებულია შესაბამის ბაზარზე ბოლო ათი წლის მანძილზე არსებული მდგომარეობა. მიმოხილულია ბაზრის შესაბამისი მაკონტროლებელი დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევები, მონიტორინგის დოკუმენტები. გამოკვეთილია ტენდენციები, თუ რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს კონკურენტული გარემოს დამკვიდრების მიმართულებით განხორციელებული ქმედებები; ასახულია სახელმწიფოს მიერ/სახელმწიფო დაწესებულებების მიერ გადადგმული ნაბიჯები და შეფასებულია შესაბამის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეების ეფექტიანობის გაზრდასთან მიმართებაში; მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ ბაზარზე განხორციელებული კვლევების ანალიზისა და გამოკვეთილი ტენდენციების ურთიერთ შეჯამების შედეგად ჩამოყალიბებულია დასკვნები და რეკომენდაციები, რამდენად კოორდინირებულად მოქმედებს სახელმწიფო აპარატი კონკურენტული გარემოს სრულყოფის მიმართულებით, რამდენად ეფექტიანია გადადგმული ნაბიჯები, რამდენად სრულყოფილად ასახავს რეალობას განხორციელებული კვლევები და შემოთავაზებულია რეკომენდაციები როგორც კონკრეტულად - საწვავის ბაზარზე კონკურენციის სრულყოფის ისე კონკურენციის კონტროლის ინსტიტუციური თუ ფუნქციური სრულყოფის მიმართულებით.

იმისათვის, რომ შექმნილი ვითარების აღქმა უფრო მკაფიო და თვალსაჩინო ყოფილიყო, მიმოხილულია საწვავის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი და გაანალიზებულია საწვავის ბაზარზე არსებულ, მიღებულ ზოგად სურათთან მიმართებაში.

ბოლოს დასკვნაში, რეკომენდაციებთან ერთად ნათქვამია, რომ კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა, რადგან მთელი რიგი საკითხებისა ჯერ კიდევ ბუნდოვანი და დასაზუსტებელია.

საკვანძო სიტყვები - *კონკურენცია, საწვავის ბაზარი, სახელმწიფო რეგულირება, კონცენტრაცია, სახელმწიფო შესყიდვები, კონსოლიდირებული ტენდერი.*

შესავალი

ქვეყნის განვითარების ხარისხი, მისი სწრაფად განვითარების ტემპი, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსა და სახელმწიფოს მიერ სწორი პოლიტიკის შემუშავებასა და მის ეფექტიან აღსრულებაზე გადის. არის, ძირითადი მიმართულებები, საკითხები, პროდუქტები, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების დონესა და მისი სწრაფად ზრდის ხარისხზე.

ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი, რომლის ფასი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე არის საწვავი. საწვავის ფასი ჯაჭვური რეაქციით მოქმედებს როგორც ეკონომიკაზე, ისე პროდუქტის ფასზე ქვეყანაში. შესაბამისად, საწვავთან დაკავშირებული საკითხები დიდი განხილვის და მსჯელობის საგანი ხდება ქვეყანაში. აგერ უკვე ბოლო 20 წელია აღნიშნულ საკითხს აქტუალობა არ დაუკარგავს. საწვავის ფასი, როგორც პოლიტიკური განხილვის/დაპირისპირების, ისე ეკონომისტებისა თუ სხვადასხვა სპეციალობების მქონე ადამიანების კვლევის საგანია. ხშირად ისმის სხვადასხვა ტიპის ბრალდებები, როგორც პოლიტიკურ ჭრილში, ისე საკითხისადმი მიდგომის (წამოჭრილი პრობლემის აღმოფხვრისათვის გადადგმული ნაბიჯების) არაეფექტიანობის კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ განვიხილოთ საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობა - შევაფასოთ ბაზარზე ჩატარებული ესა თუ ის კვლევა, ბაზარზე კონკურენციის გაზრდისთვის (კონკურენტული ფასის არსებობისთვის) გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობა, წარმოვადგინოთ სურათი (ჩვენი გადასახედიდან რეალური სურათი), რა მდგომარეობაა ბაზარზე ბოლო 20 წლის მანძილზე და შევიმუშაოთ სიტუაციის გაუმჯობესების რეკომენდაციები.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია საკმარისი რესურსი და გავლენა იმისთვის, რომ თავად მოვახდინოთ ბაზრის სრულფასოვანი კვლევა. ამიტომ, ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევასთან, მოპოვებულ ინფორმაციასთან ერთად განვიხილავთ შესაბამისი ორგანოების მიერ უკვე გაკეთებულ კვლევებსა თუ გადადგმულ ნაბიჯებს; მოვახდენთ მათ შეჯამებას და ბაზარზე არსებული ტენდენციების (გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობის) იდენტიფიცირებას.

ამასთან, ნაშრომში მოყვანილია მაგალითები და არგუმენტები სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა თუ ქმედებების შესახებ, რამაც შეძლება გააჩინოს განცდა, რომ ნაშრომი პოლიტიკურ ხასიათს უფრო ატარებს ვიდრე მეცნიერულს, თუმცა ეს არ იქნება რეალობასთან ახლოს. არაერთხელ გვითქვამს და ეხლაც აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური კანონების მოქმედება იცვლის სახეს, მაშინ როცა საქმე გვაქ სახელმწიფოებთან, გეოპოლიტიკასთან. ანუ, მაშინ როდესაც დედამიწის ტერიტორია დაიყო სხვადასხვა ქვეყნების საზღვრებად უკვე მოვექეცით პოლიტიკურ ეკონომიკაში (წარმმართველი გახდა პოლიტიკური ეკონომიკა), სადაც ეკონომიკური კანონების ეფექტიანად მოქმედება დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. სახელმწიფო, ჩინოვნიკი თავისი გადაწყვეტილებებით, ქმედებებით ან უწყობს ხელს ეკონომიკური კანონების თავისუფლად მოქმედებას და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ან აფერხებს წინსვლას. მაგალითად, ეკონომიკური ისტორიის საგნის შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სწორედ სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (მისი ეკონომიკური პოლიტიკის) ისტორიულ, ეკონომიკურ კონტექსტში დანახვა და გააზრებაა [7, გვ.6-7] რადგან ეკონომიკა პირდაპირ კავშირშია როგროც სახელმწიფო გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსრულებასთან ისე სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესთან. *მმართველის გადაწყვეტილებები, როგორი ჭკვიანური და გენიალური გადაწყვეტილებაც არ უნდა იყოს ის, უმეტეს შეთხვევაში გაწირულია კრახისთვის, სათანადო ეკონომიკური საფუძვლის გარეშე და პირიქით, მმართველის სწორი გადაწყვეტი-*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლებების (სტიმულების გარეშე) გარეშე ვერ იქმნება ეფექტიანი ეკონომიკური მდგომარეობა/საფუძველი. შესაბამისად, გვინდა არ გვინდა (ეღერს თუ არა მეცნიერულად) საკითხის მეცნიერული კვლევისას აუცილებელია, მათ შორის, ყურადღება მივაქციოთ როგორც საკვლევი სფეროს მარეგულირებელ ნაწილს ისე სფეროსთან მიმართებაში მიღებულ სახელმწიფო გადაწყვეტილებებსა თუ სხვადასხვა ჩინოვნიკების განცხადებებს, ქმედებებს, პოლიტიკას. ეს ქმედებები, პოლიტიკა, გადაწყვეტილებები, პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას ამა თუ იმ სფეროს მდგომარეობაზე. შესაბამისად, ამ კომპონენტის გაუთვალისწინებლობა კვლევებში, იწვევს რეალური მიზეზებისგან (მდგომარეობის გამომწვევი რეალური მიზეზებისგან) აცდენას, ასევე ზრდის კვლევის შედეგების და რეკომენდაციების რეალობისგან აცდენის ალბათობას.

მაშ ასე:

საწვავის ბაზარი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საწვავის ფასი მუდმივი განხილვის და მსჯელობის თემა გახლდათ, განსაკუთრებით 2003-2012 წლებში ამ პერიოდში საწვავის ფასი (პრემიუმსა და რეგულარზე) 1.65-2.40 [13] ლარის ფარგლებში მერყეობდა რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბაზარზე პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით პრემიერ მინისტრის დავალებით ბაზრის შესაბამისმა მარეგულირებელმა ორგანომ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ[1] დაიწყო შესაბამისი ბაზრის მოკვლევა - 2014 წლის 12 ნოემბერს (კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის #14 ბრძანება). მოკვლევა შეეხებოდა საავტომობილო საწვავის (ბენზინი, დიზელი) ბაზარზე კონკურენციის კანონის შესაძლო დარღვევის ფაქტის გამოვლენას (კანონის მე-7 მუხლის - შემზღუდველი ხელშეკრულებები/გადაწყვეტილებები შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით). კვლევა დასრულდა 2015 წლის 14 ივლისს. [1]

აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრობლემის მიზეზის ძებნისას, სახელმწიფოს მხრიდან, პირველ რიგში, დასმული იქნა კითხვა, საწვავზე არსებული მაღალი ფასი ბაზარზე მოქმედი კომპანიების ბრალი ხომ არ არის - ანუ სახელმწიფომ პრობლემის ძიება ჯერ თავის ქმედებებთან (მის მიერ შემუშავებულ მარეგულირებელი სისტემის ეფექტიანობის კვლევის კუთხით) მიმართებაში კი არ დაიწყო, არამედ ჩათვალა, რომ ის სწორად იქცევა და თუ პრობლემაა ბაზარზე, ეს პირველ რიგში ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების ბრალი შეიძლება იყოს (ჩვენთვის ცნობილი არ არის სახელმწიფოს ხელმძღვანელის/შესაბამისი თანამდებობის პირის არცერთი მიმართვა, მოწოდება, დავალება შესაბამისი საჯარო დაწესებულების მიმართ, რომ მოეხდინა/მოეხდინათ მარეგულირებელი კანონმდებლობის/შესაბამისი ნორმატიული ბაზისა და რეგულაციების კრიტიკული ანალიზი პრობლემების იდენტიფიცირების მიზნით. მართალია ბაზრის კვლევა თავის თავში საკანონმდებლო/მარეგულირებელი ბაზის კვლევასაც ითვალისწინებს, მაგრამ კვლევის დოკუმენტში იგი მხოლოდ არსებული/მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მიმოხილვით ხასიათს ატარებს).

უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს მიერ გატარებული იქნა უმძიმესი სამუშაო, რათა დადგენილიყო იკვეთებოდა თუ არა ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტი. როგორც კვლევიდან ჩანს არ არსებობდა პირდაპირი მტკიცებულებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის (კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებები/გადაწყვეტილებები) დარღვევასთან დაკავშირებით. კონკურენციის საგენტოს მოუხდა ირიბი გზით წასვლა, რისთვისაც განახორციელა 2004-2012 წლების პერიოდის ყოველწლიური ანალიზი.

საბოლოოდ დადგინდა, რომ ბაზარზე არსებობდა კონკურენციის დარღვევის ფაქტები. კერძოდ: „...2008-2012 წლებში დიზელისა და ბენზინის სასაქონლო ბაზარზე ადგილი აქვს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“, და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას. ეს ქმედება ეხება, არსებითად, ოლიგოპოლიური სტრუქტურის მქონე სასაქონლო ბაზრის წევრებს მათთან პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფ ეკონომიკურ აგენტებს და შესაბამის ბაზარზე ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს“ [1, გვ. 179] - აღნიშნულია კვლევაში. ბაზარზე მოქმედი კომპანიები ჯამში 54 მლნ-მდე ლარით დაჯარიმდნენ. ჯარიმის ოდენობა 3 მლნ-მდე შემცირდა განმეორებითი კვლევის შედეგად [2].

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

1 2014 წელს კონკურენციის მაკონტროლებელ ორგანოს ერქვა კონკურენციის სააგენტო მისი სახელი შეიცვალა 2020 წელს და დაერქვა საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

1. ნიშანდობლივია, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი დასკვნა 2015 წლის ივლისში დაიდო პროცესი გაგრძელდა დროში; ეკონომიკურმა აგენტებმა გაასაჩივრეს სასამართლოს შესაბამის ინსტანციებში კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება. პროცესი დასრულდა 2018 წელს მას შედეგ რაც კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, სასამართლოს დავალებით, მეორედ განახორციელა ბაზრის მოკვლევა (10.05.2018).

როგორც აღვნიშნეთ კვლევისა და აღსრულების პროცესი გაიჭიმა დროში (ჯამში 4 წელი დასჭირდა საკითხის დასრულებას). შესაბამისად, ამ პერიოდში, არ იქნა აღსრულებული კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები (რეკომენდაციების ეფექტიანობის საკითხზე აქ არ შევჩერდებით). აღნიშნული კი მკვეთრად აზიანებს/აზიანებდა ბაზარზე არსებულ კონკურენტულ მდგომარეობას და არაეფექტიანს ხდის/ხდიდა შესაბამისი ორგანოს საქმიანობას. ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტის გამოვლენისა და ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესს თუ წლები სჭირდება დასაზუსტებელია, რატომ იხარჯება რესურსი (დრო, ენერგია, საბიუჯეტო სახსრები და ა.შ.) დამკვიდრებული პროცედურისთვის. ეს ხომ ერთის მხრივ აფერხებს სისტემის ეფექტიანად მუშაობას და მეორეს მხრივ ზრდის წნეხს (ბიუროკრატიულ წნეხს) კერძო ბიზნესზე - ბაზარზე მოქმედი შესაბამისი ეკონომიკური აგენტები სამი/ოთხი წელი იყვნენ „გაუგებრობაში", საბოლოო გადაწყვეტილების მოლოდინში, რაც რა თქმა უნდა ნეგატიურად აისახება ბაზრის განვითარებაზე, მის საინვესტიციო მიმზიდველობასა სექტორში ეკონომიკური აგენტების შესვლის სტიმულზე.

2. ის რაც კონკურენციის სააგენტოს კვლევაშია ასახული - წლითი წლობით კონცენტრაციის ზრდა ბაზარზე და გარკვეული მომწოდებლების პროდუქციის იმპორტში და რეალიზაციაში ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის დაკავება. ასევე, ბაზარზე არასწორი კონკურენტული ქმედებები შეუიარაღებელი თვალითაც ნათელი იყო. უბრალოდ დასამტკიცებლად იყო რთული და შესაბამის ორგანოს ათწლიანი პერიოდის კვლევა დასჭირდა რომ დარღვევა დაემტკიცებინა. რთულად დასამტკიცებელი რომ იყო ეს იქიდანაც ჩანს, რომ სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია მტკიცებულებები და განმეორებით შესწავლის მიზნით/გადახედვისთვის დაუბრუნა კონკურენციის მაკოორდინირებელ უწყებას თავისი კვლევა.

3. ცხადია ისიც, რომ შესაბამისი ეკონომიკური აგენტები აღნიშნულ ბაზარზე დომინირებულ მდგომარეობას სახელმწიფო ლობის გარეშე ვერ დაიკავებდნენ. აღნიშნულზე მითითება კვლევაშიც არის გაკეთებული. კერძოდ: „2008-2011 წლებში მოქმედი იმპორტიორი კომპანიებისაგან მიღებული ახსნა-განმარტებებიდან იკვეთება, რომ 2009-2011 წლებში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის, აქტიურად ხელოვნურ ზემოქმედებას ბაზარზე, რაც გამოიხატება იმპორტის განხორციელების შეზღუდვაში. ამასთან, იკვეთება ცალკეული გარემოებაც, რომელიც სცილდება საქართველოს ფარგლებს და ისეთი გარემოებაც, რაც შეიძლება ითქვას, უკავშირდება არასაბაზრო ინსტიტუტების გამოყენებასა და ჩართვას იმ საკითხებში, რაც მათ კომპეტენციას სცილდება. თუმცა საგნობრივი ან დოკუმენტური სახის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა ინსტიტუტების მონაწილეობასთან სასაქონლო ბაზრის ხელოვნური ბარიერების შექმნაში, სააგენტოში არ არის წარმოდგენილი, ახსნა-განმარტების გარდა (ასევე, საკუთრივ სააგენტოს მიერ სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციისა)" [1, გვ. 93-94].[1]

ზემოაღნიშნულზე მეტყველებს ასევე, კვლევაში ასახული ანალიზი წლების მიხედვით. ბაზრის კონცენტრაციის მკვეთრად ზრდის ფაქტები (ასევე, ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტების არსებობის შესახებ საფუძვლიანი ეჭვი), რომელიც, ძირითადად 2007-2009 წლიდან იწყება და პიკს 2011-2012 წლებში აღწევს.

გამოთქმული მოსაზრებას ამყარებს შემდეგი გარემოებაც. 2006 წელს ბაზარზე ჩნდება კომპანია, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი", რომელიც მალევე 1-2 წელიწადში იკავებს ბაზრის საკმაოდ დიდი სეგმენტს. კომპანიის წილი ბენზინისა და დიზელის საერთო იმპორტში შეადგენს: 2006წ. - 0,65% (4.6 მლნ. ლარის ღირებულების 4,9 ათასი ტონა), 2007წ. - 24,86% (208,5 მლნ ლარის ღირებულების 178,7 ათასი ტონა), 2008წ. – 47,66% (465,3 მლნ. ლარის ღირებულების 359,5 ათასი ტონა). **ასევე აღნიშნული კომპანია შემდგომში ხდება საწვავის იმპორტის აღმოსავლეთ მიმართულებიდან „ექსკლუზიური-პარტნიორული ტიპის კომპანია "**

1 საპირწონედ შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რომ შესაძლებელია, ბაზარზე არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართვის შესახებ ინფორმაცია ქონდეს კვლევის განმახორციელებელ უწყებას. ინფორმაცია იყოს კონფიდენციალური ხასიათის და არ ასაჯაროებდეს მას, მაგრამ ფაქტია, რომ კვლევის დოკუმენტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ დოკუმენტური მასალა ამ ფაქტის შესახებ კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი არ არის.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

(შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის“ გარეშე სხვა იმპორტიორ კომპანიებს აღარ შეუძლიათ აღმოსავლეთის მიწოდების წერტილებიდან საწვავის შემოტანა) [1, გვ. 82-83 და 92].

არასაბაზრო ინსტიტუტების პროცესზე გავლენაზე მეტყველებს ასევე კვლევაში ასახული და შემდგომ ბაზრის მონიტორინგის 20019, 2020 და 2021 წლების დოკუმენტებში დაფიქსირებული ფაქტები [3, 4, 5] კვლევის მიხედვით, 212 წლის შემდეგ, მას შემდეგ რაც მოხდა ხელისუფლების ცვლილება 2013 წელსვე გაიზარდა საწვავის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტთა რაოდენობა - „განახლდა პოტენციური ეკონომიკური აგენტების მიერ საქონლის იმპორტი და შეექმნათ საქონლის შეძენის შესაძლებლობა“; „ამუშვდა 2013 წლამდე გაჩერებული 107 ავტოგასამართი სადგური“ [1, გვ.153].

აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთი დასტურია ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმული/დაწერილი მოსაზრებისა, რომ უმეტეს შემთხვევებში არასაბაზრო ინსტიტუტების პროცესში ჩართვის გამო (სახელმწიფოს/ჩინოვნიკების მხრიდან ლობიზმის ან არასწორი პოლიტიკის გატარების გამო) ხდება ბაზარზე კონკურენციის პირობების დარღვევა (ეკონომიკური კანონების არასრულფასოვნად მოქმედება) - ამა თუ იმ კომპანიის მიერ დომინანტური მდგომაროების მიღწევა (ჩვენს შემთხვევაში ბაზარის საკმაოდ დიდი მოცულობის დაკავება), თუ ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შემდგომ კი სხელმწიფო ცდილობს თავისი არასწორი ქმედების ცუდი შედეგი კერძო კომპანიებს გადააბრალოს; და ამ გადაბრალების ყველაზე კარგი ინსტრუმენტი კი, როგორც წესი, სახელმწიფოს ხელში არსებული შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი დაწესებულებებია. რა მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში? როგორც ანგარიშიდან ირკვევა „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმმა“ არასაბაზრო ინსტიტუტების დახმარებით, სახელმწიფო ჩინოვნიკებისა თუ ინსტიტუტების ლობიზმის შედეგად, მიაღწია ბაზარზე იმ მდგომარეობას, რასაც მიაღწია (აღნიშნულს ვერ შეეწინააღმდეგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ „დაძირავდნენ“/არ შემოუშვებდნენ ბაზარზე, ხსენებული ჩინოვნიკები/არასაბაზრო ინსტიტუტები და სხვა კომპანიას გაუხსნიდნენ გზას დომინირებისაკენ) და შემდგომ დაჯარიმდა არასწორი კონკურენტული ქმედების გამო (იმავე სისტემისგან, რომელიც მას დომინანტად გადაქცევაში ეხმარებოდა). ბევრი მკვლევარი ამ ფაქტს უბრალოდ არ გაითვალისწინებს და მხოლოდ მეცნიერული/ეკონომიკური ფაქტორებით დაიწყებს პრობლემის არსის კვლევას. მსგავს მიდგომებს კი როგორც წესი არასწორ დასკვნებამდე/რეკომენდაციებამდე მივყავართ.

ზემოაღნიშნული არგუმენტის საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში, 2004-2012 წლებში, არ არსებობდა კონკურენციის მარეგულირებელი სათანადო კანონი[1], კონკურენციის შესაბამისი, მაკოორდინირებელი ინსტიტუტი არ იყო აღჭურვილი სათანადო უფლებამოსილებებით და ეს იყო მიზეზი იმისა რომ კომპანიები და არასაბაზრო ინსტიტუტები თავისუფლად მოქმედებდნენ - არღვევდნენ კონკურენციას. ამ არგუმენტის პასუხად შეიძლება ითქვას: 1. არასაბაზრო ინსტიტუტებს არც მაშინ 2004-20012 წლებში არ ჰქონდათ უფლება გადაეჭარბებინათ თავის უფლებამოსილებას და ჩარეულიყვნენ ბაზარზე კერძო კომპანიების თამაშში, გამოეყენებინათ თავიანთი ძალაუფლება „ბოროტად“ და შერჩევითი გზით ხელი შეეწყოთ ბაზარზე რომელიმე კომპანიისთვის გაძლიერებაში. 2. ის, რომ კონკურენციის მარეგულირებელი სათანადო კანონმდებლობა არ არსებობდა და ამიტომ ხდებოდა დარღვევები არგუმენტმოკლებულია, რადგან თავისუფალ ბაზარზე, (თუ ამ ბაზარზე ხელოვნური ჩარევები არ ხდება შესაბამისი არასაბაზრო ინსტიტუტების მხრიდან), ძალიან რთულია, ფაქტობრივად შეუძლებელია, ასეთ მოკლე დროში (2 წელიწადში, 2006-2008 წწ.) მოიპოვო და დიდხანს შეინარჩუნო „დომინანტური“ მდგომარება (ბაზრის მსხვილი წილი) მითუმეტეს იმ ფონზე, როცა „ბოროტად იყენებ“ შენ მდგომარებას - მსოფლიოში არსებული თავისუფალი კაპიტალი ამის საშუალებას არ მოგცემს (თუ რატომ მოხდება ასე, ამ საკითხზე საუბარი ცდება ჩვენი ნაშრომის თემას და მეტ ყურადღებას აქ აღარ გავამახვილებთ). ასევე, დასაზუსტებელია, თუ იმ პერიოდში შესაბამისი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა, რატომ ვედავებით კომპანიას კონკურენტული ქმედების დარღვევაზე იმ პერიოდიდან გამომდინარე, როცა მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა არ არსებობდა - „დაესიზმრებოდა“ კომპანიას რომ კანონს არღვევდა“?. მითუმეტეს, იმ ფონზე, როცა შემდგომ, ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში აღვნიშნავთ, რომ სიტუაცია გამოსწორდა და კითხვასაც არ ვსვამთ (შესაბამისი ორგანო არ სვავს) „დასჯილმა“ კომპანიებმა განაგრძეს თუ არა შეთანხმებული ქმედება.[2]

1 ნორმატიული აქტი/კანონი არსებობდა მაგრამ ის, ფაქტობრივად, სრულად დაცლილი იყო კონკურენციის რეგულირების თანამედროვე სტანდარტებით განსაზღვრული რეგულაციებისგან

2 ამ საკითხზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგ კვლევებში, ბაზრის მონიტორინგის ანგარიშებში (2012 წლის მერე პერიოდის მონიტორინგის დოკუმენტებში) კრიზისების ახსნა ხდება ეკონომიკური ხასიათის ანალიზით (ძირითადად ბაზარზე არსებული ფასებისა და მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობაზე დაკვირვებით და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოთვლის საშუალებით), სადაც გარე ფაქტორები/არასაბაზრო ინსტიტუტების ზეგავლენა პროცესზე (კორუფცია, ლობირება, სპეციალური შეღავათების მინიჭება და ა.შ.) არ არის გათვალისწინებული/ასახული. ამას ადასტურებს ისიც, რომ სანამ საკითხში გარკვევის პოლიტიკური ნება არ გაჩნდა[1] კვლევის პროცესი არ დაწყებულა (პოლიტიკური ნების გაჩენის შემთხვევაში კი ყოველგვარი ზედმეტი ანალიზის გარეშეც იყო/არის შესაძლებელი ბაზარზე ეკონომიკური კანონების ეფექტიანად ამოქმედება და კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ აგვარებს პრობლემას). *არასაბაზრო ინსტიტუტები გამოყენებული უნდა იყოს ბაზრის ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერებისგან/რეგულირებისაგან გათავისუფლებისა და მიმზიდველი ეკონომიკური გარემოს შესაქმნელად და არა ეკონომიკური წინსვლის შეფერხებისათვის -რეგულირების მექანიზმის ზემდეტად გამკაცრებისთვის.*

4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა, რა უშლიდა/უშლის ხელს ხელისუფალს ზედმეტი კვლევის გარეშე განახორციელოს ბაზარზე კონკურენტული პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები (გამოიძიოს ლობირებს თუ არა ბაზარზე მოთამაშე კომპანიას/კომპანიების ჯგუფს სახელწიფოს მხრიდან ვინმე; შექმნას ბაზარზე შესვლის, გასვლისა და ოპერირების უფრო მიმზიდველი პირობები; შექმნას გარანტიები ბაზარზე მოთამაშე კომპანიებისათვის, რომ არაკანონიერად მათ ბიზნესს ვერ შეეხება ვერავინ; გასწიოს გაცნობითი/„პროპაგანდისტული" საქმიანობა საერთაშორისო მასშტაბით ბაზარზე არსებულ მიმზიდველ პირობებთან დაკავშირებით და ა.შ.). რატომ უნდა სჭირდებოდეს ზედმეტი რესურსის ხარჯვა საკითხს[2], რომელიც არსებითი კვლევის გარეშეც ცხადია. გასაგებია, რომ კვლევისა და მტკიცებულებების გარეშე ვერ დაადანაშაულებ კომპანიას კონკურენციის დარღვევაში, მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებას (რომელიც ბაზარზე ჯანსაღი ეკონომიკური და კონკურენტული მდგომარეობის დამყარებისკენ არის მიმართული, რაც არაჯანსაღ სიტუაციას კვლევებისა და სანქციების გარეშე გამოასწორებს) ხომ არ სჭირდება კვლევა და მტკიცებულებების არსებობა. უბრალოდ პოლიტიკური ნებაა საჭირო იმისათვის, რომ სექტორში/ბაზარზე შექმნა უფრო მიმზიდველი საინვესტიციო და ეკონომიკური გარემო. როგორც კი გაჩნდა პოლიტიკური ნება, დაიწყო ბაზრის მოკვლევა. პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში ბაზარზე ისეთი მექანიზმები დაინერგებოდა, არა რეგულირების გამკაცრების, არამედ ბაზრის განვითარების სტიმულების შექმნისა და ბარიერების მოხსნის მხრივ, რომ ზედმეტი კვლევებისა და სანქციების გარეშე გამოსწორდებოდა სიტუაცია სექტორში.

ზემოაღნიშნულს დაემატა ისიც, რომ 2017 წლის პირველი იანვრიდან საწვავზე აქციზის ფასი, მარკების მიხედვით, ორჯერ და მეტჯერ გაიზარდა [28]. ხელისუფალი, რომელიც ავალებს კონკურენციის შესაბამის მაკოორდინირებელ უწყებას ბაზრის კვლევას, პროცესის დასრულებამდე (სასამართლოს საბოლოო დასკვნის გამოცხადებამდე. პროცესი 2018 წელს დასრულდა), მითუმეტეს იმ ფონზე როცა კონკურენციის შესაბამის მარეგულირებელ უწყებას კვლევის მიხედვით დადასტურებული აქვს ბაზარზე კონკურენციის დარღვევის ფაქტები ბაზრის მოთამაშეების მხრიდან, უარგუმენტოდ (ჩვენთვის აქციზის ზრდის არგუმენტირებული საჭიროების შესახებ რაიმე ტიპის კვლევა ან განცხადება

1 2012 წელს მოხდა ხელისფლების ცვლილება არჩევნების გზით და კვლევა 2014 წელს სწორედ ახალმა ხელისუფლებამ დაუკვეთა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, წინა ხელისფლების პერიოდის/საქმიანობის კვლევაში, ფსიქოლოგიურად თუ ბიუროკრატიული წნეხის თვალსაზრისით, მკვლევარი ჩინოვნიკები (მონიტორინგის განმახორციელებელი დაწესებულება) უფრო თავისუფალი იყო (თავისუფლად, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური შეზღუდვის გარეშე კვლევის ალბათობა უფრო მაღალი იყო). ჩვენი აზრით, ამას ადასტურებს ისიც, რომ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ საწვავის ბაზრის კვლევის მიზნით განხორციელებულ კვლევებში/ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში (საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2019, 2020, 2021 წლების მონიტორინგის დოკუმენტებში) არასაბაზრო ინსტიტუტების ხსენებაც კი აღარ არის არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში და ნათქვამია, რომ ბაზარზე სიტუაცია კონკურენტულია მიუხედავად იმისა, რომ ფასი საწვავზე არ დაცემულა, უფრო მეტიც, შემდგომ პერიოდში, საწვავის ფასი მკვეთრად გაიზარდა.

2 ჯერ გააძლიერო კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების ფუნქციები და მერე დაავალო შეისწავლოს ბაზარზე არის თუ არა კონკურენციის დარღვევის ფაქტები (გაზარდო საბიუჯეტო რესურსების ხარჯვა) მაშინ როცა შეგიძლია უფრო მეტად გახსნა ბაზარი და მაქსიმალურად აღკვეთო არასაბაზრო ინსტიტუტების ჩარევის ალბათობა ბაზარზე.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცნობილი არ არისს) ზრდის აქციზის გადასახადს და იწვევს საწვავის ფასის ზრდას. უფრო აძნელებს ბაზრის მცირე მოთამაშეებისთვის ბაზარზე შესვლის ან საქმიანობის გაზრდის შესაძლებლობას.

5. მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ასახული ანალიზის მიხედვით 2013-2014 წლები საწვავის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და აღმავლობის ხანად არის მოხსენიებული [საწვავის ფასი 2015-1016 წლებში მართლაც შემცირდა. თუმცა ფასის ცვლილებაზე ძირითადი გავლენა ნავთობის ფასის მკვეთრად შემცირებამ უფრო იქონია (აღნიშნულ პერიოდში 2014 წელთან შედარებით თითქმის ორჯერ შემცირდა ფასი ბარელ ნავთობზე [18]), ვიდრე ბაზარზე კონკურენტული მდგომაროების გაუმჯობესებამ (ამ დროს კონკურენციის დარღვევის ფაქტებზე ჯერ ისევ სასამართლო განხილვები მიმდინარეობდა, პროცესი არ იყო დასრულებული. ასევე, საწვავის ბაზარზე ოლიგოპოლიური შეთანხმებების კონტროლი და კონკურენტული მდგომარეობის გაუმჯობესება არც ისე იოლი საქმეა, გარკვეულ დროს და ძალისხმევას მოითხოვს. შესაბამისად, ბაზარზე კონცენტრაციის დონე და ოლიგოპოლიური გარიგებების შესაძლებლობები ისევ მაღალი იყო. ეს კვლევაშიც აღნიშნულია).] რაიმე ხელშესახები ცვლილებები ბაზარზე არ მომხდარა უფრო მეტიც 2016 წლიდან საწვავის ფასმა ზრდა დაიწყო და 2022 წლის იანვარ-ივნისის მდგომარეობით საშუალოდ რეგულარისა და პრემიუმის მარკის საწვავი 3.39 – 3.59 ლარის ნიშნულს გადააჭარბა (პრემიუმის მარკის საწვავი ფასი 4 ლარის ფარგლებში მერყეობს)

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფაქტია, რომ საწვავი, მუხედავად მასზე საერთაშორისო ფასის კლებისა, არსებითად არ გაიაფებულა და ისევ მაღალ ნიშნულზე დარჩა. ზოგადი სურათის შესაქმნელად, ჩვენ დავამუშავეთ შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი), სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მიერ გამოქვეყნებული საწვავის რეგულარისა და პრემიუმის ფასები წლების მიხედვით:

როგორც ცხრილიდან ჩანს 2012 წელთან შედარებით 2018 წელს ერთ ლიტრ საწვავზე ფასი ლარში გაზრდილია. ეს იმ ფონზე როცა საერთაშორისო ფასი ბარელ ნავთობზე 1,6-ჯერ არის შემცირებული. აქ გასათვალისწინებელია ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაშიც, საიდანაც დავინახავთ, 2018 წელს 2012 წელთან შედარებით ფასი დოლარში შემცირებულია, მაგრამ არა იმ მოცულობით რა მოცულობითაც გაიაფებულია ბარელი ნავთობის

ნავთობკომპანიების მიერ, სამომხმარებლო ქსელში, საწვავზე დაფიქსირებული საშუალო ფასი ლარში 2012-2018წწ.[1]

კომპანია	საწვ. ტიპი	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
შპს „ლუკოილ ჯორჯია“ [15]	რეგ.	2.12	2.01	2	1.77	1.48	2	2.25				
	პრემ.	2.27	2.14	2.17	1.92	1.68	2.19	2.38				
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ [14]	რეგ.	2.05	2.05	2.05	1.96	1.60	2.10	2.33	2.46	2.39	2.64	3.39
	პრემ.	2.2	2.2	2.2	2.10	1.78	2.27	2.44	2.56	2.50	2.77	3.59
შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (გალფი) [13]	რეგ.	2.09	2.01	2.05	1.80	1.57	2.10	2.29	2.46[2]	2.42[3]	2.74[4]	3.39[5]
	პრემ.	2.3	2.15	2.23	1.97	1.79	2.26	2.42	2.53[6]	2.52[7]	2.83[8]	3.51[9]
სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია [16]	რეგ.	2.10	2.05	1.94	1.70	1.73	2.15	2.39	2.49	2.37	2.68	3.34
	პრემ.	2,25	2.23	2.12	1.87	1.92	2.25	2.49	2.58	2.52	2.82	3.59
ოპეკის საშუალო წლიური ფასი ბარელ ნავთობზე [18]	$	109.45	105.87	96.29	49.49	40.68	52.51	69.52	64.04	41.47	69.72	105.6
ლარის საშუალო გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებაში [20]	$/ ლარ.	1$=1.65	1$=1.66	1$=1.77	1$=2.28	1$=2.35	1$=2.5	1$=2.53	1$=2.8 [19]	1$=3.1	1$=3.2	

1 ფასი გამოყვანილია წლის დასაწყისში და წლის ბოლოს არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულით
2 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2019 წლის განმავლობაში - 2.59 ლარი
3 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2020 წლის განმავლობაში - 2.55 ლარი
4 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2021 წლის განმავლობაში - 3.19 ლარი
5 მაქსიმალური ფასი რეგულარზე 2022 წლის 1 იანვრიდან 13 აგვისტომდე პერიოდში - 3.83 ლარი
6 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2019 წლის განმავლობაში - 2.64 ლარი
7 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2020 წლის განმავლობაში - 2.62 ლარი
8 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2021 წლის განმავლობაში - 3.27 ლარი
9 მაქსიმალური ფასი პრემიუმზე 2022 წლის 1 იანვრიდან 13 აგვისტომდე პერიოდში - 3.99 ლარი

საერთაშორისო ფასი (ფასი შემცირებულია დაახლოებით 0.30-0.45 $-ის ფარგლებში მერყეობს). თუმცა დოლარში გაიაფებული ფასი წლების მანძილზე მიმდინარე ლარის კურსის დევალვაციისა და ფასების ზრდის ფონზე (ლარის არასტაბილური მერყეევი კურსი) არსებით გავლენას ვერ მოახდენს ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესების სტიმულირებაზე.

ყურადსაღებია შემდეგი ფაქტებიც: **2012 წელს,** მაშინ როცა ბარელი ნავთობის ფასი 109.45 დოლარი იყო ჩენს მიერ საკვლევ კომპანიებში დაფიქსირებული მაქსიმალური საშუალო ფასი პრემიუმის მარკის საწვავზე 2.27 ლარს შეადგენდა; **2019 წელს,** როცა ბარელი ნავთობის ფასი 64.04 დოლარამდე იყო შემცირებული (1.7-ჯერ დაიკლო) მაქსიმალურმა საშუალო ფასმა 2.58 ლარი შეადგინა; **2020 წელს** მაშინ როცა ბარელი ნავთობი 2.6-ჯერ უფრო იაფი, 41.47 დოლარი ღირდა საწვავის მაქსიმალურმა ფასმა 2.52 ლარი შეადგინა; **2022 წელს** მაშინ როცა ბარელი ნავთობის ფასი 2012 წლის ფასს მიუახლოვდა - 105.6 დოლარი საწვავის მაქსიმალურმა საშუალო ფასმა 3.59 ლარი (გაძვირება 1 ლარს აღემატება) შეადგინა.

შეიძლება ითქვას, რომ საწვავის ბაზარზე, მომხმარებლისთვის, მაშინ უკეთესი მდგომაროება იყო, როცა, კვლევის მიხედვით, არაჯანსაღი კონკურენტული მდგომარეობა (კარტელური გარიგება) დაფიქსირდა, ვიდრე მაშინ როცა სიტუაცია, როგორც კვლევაში და მონიტორინგის დოკუმენტებშია ასახული, გაუმჯობესდა.

აქ ჩნდება გონივრული ეჭვი/კითხვა, ზემოაღნიშნული ხომ არ მიუთითებს, რომ სიტუაცია ბაზარზე არსობრივად არ შეცვლილა/არ გაუმჯობესებულა და იგივე მდგომარეობა დარჩა რაც 2012 წლამდე იყო (მომდევნო მსჯელობისას ამ საკითხს მეტნაკლებად სინათლე მოეფინება).

5. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ კვლევაში მინიშნებაა გაკეთებული, რომ ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა, პროცესში არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართვამ გამოიწვია (თუმცა ამის ფაქტობრივი მტკიცებულებები არ არსებობს) - ამ ფაქტს რომ არ ქონოდა მყარი საფუძველი კვლევაში ვერ მოხვდებოდა. ანუ საბოლოოდ რა მივიღეთ, არასაბაზრო ინსტიტუტების გამოისობით, ბაზარზე მოთამაშე ეკონომიკური აგენტების ჩართულობითა და უშუალო მონაწილეობით დაირღვა კონკურენტული გარემო და ამისთვის ისჯებიან მხოლოდ ეკონომიკური აგენტები. ცხადია, რომ ეკონომიკური აგენტები ვერ წავიდოდნენ არასაბაზრო ინსტიტუტების წინააღმდეგ (დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დაკარგავდნენ კაპიტალს) ან რატომ უნდა ყოფილიყვნენ წინააღმდეგნი თუ მეტი მოგების მიღების შანსი ეძლეოდათ. ანუ რა გამოდის? - ისჯებიან უფრო „სუსტები“, ნაკლები გავლენისა და ძალაუფლების მქონე პირები - კერძო კომპანიები, რომელიც ქმნის დოვლათს და რომელთა ხარჯზეც ფუნქციონირებს სახელმწიფო; კონკურენციის შეზღუდვის პროცესის რეალურად შემქმნელი და წარმმართველი - არასაბაზრო ინსტიტუტები კი აგრძელებენ პროცესების მართვასა და რეგულირებას.

შესაბამისად, მექანიზმი რომელიც ბაზარზე სიტუაციის გამოსასწორებლად მოიმართა აშკარად „დისკრიმინაციულია“[1] (ამ შემთხვევაში, ჯოხი ტყდება მხოლოდ ბაზრის მოთამაშეებზე, თან ედავებიან კარტელურ გარიგებას იმ დროზე, როცა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ასეთ მკაცრ რეგულაციას. კომპანიებს ვერ ეცოდინებოდათ, რომ მსგავსი ქმედება კანონსაწინააღმდეგო იყო), წნეხად აწვება ბიზნესს (თუნდაც ოლიგოპოლიურად გარიგებაში შესულს) და საერთო ჯამში იწვევს ეკონომიკური და კონკურენციული განვითარების შეფერხებას. იზღუდება სწრაფი ტემპით განვითარების შესაძლებლობა (ამაზე, გარკვეულწილად, მე-4 პუნქტში მოყვანილი ციფრებიც მეტყველებს, ჩვენი აზრით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა. თუ არა წარმოდგენილი (კონკურენციის ეროვნული სააგენტოს საშუალებით სიტუაციის გაუმჯობესების მექანიზმი) მექანიზმი, როგორ არის შესაძლებელი სიტუაციის გაჯანსაღება/გამოსწორება? პასუხი მარტივია: 1. არასაბაზრო ინსტიტუტების „ჩახსნა“ პროცესიდან/რეგულირებიდან/არაფორმალური კოორდინაციიდან. 2. კავშირშია 1 პუნქტთან - მოწოდების წყაროების წერტილებიდან ექსკლუზივის, დომინანტი შუამავლების ხელის არ შეწყობა. 3. სექტორზე საგადასახადო წნეხის/განაკვეთების და ადმინისტრირების/რეგულაციების მაქსიმალური შემცირება. აღნიშნული გაზრდის მოგების მარჟას, ბაზარს გახდის უფრო გახსნილს და თავისუფალს (მითუმეტეს სრულად იმპორტზეა დამოკიდებული ბაზარი) და მეტ კომპანიას მოიზიდავს ბაზარზე. 4. მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა პიარისა და ბაზარზე სხვადასხვა

1 ნორმატიული ბაზა ითვალისწინებს ბევრად მკაცრ რეგულაციის და ჯარიმების/სანქციების პროცედურას კერძო კომპანიების/ეკონომიკური აგენტების მიმართ, ვიდრე არასაბაზრო ინსტიტუტების/საჯარო დაწესებულებების მიმართ.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ტრანსნაციონალური/ძლიერი კომპანიების მოზიდვის მიზნით (არა კოორდინაცია და პროცესში ჩართვა არამედ მხოლოდ დაინტერესების/გაცნობის კუთხით მუშაობა).

6. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად საწვავზე მაღალი ფასისა კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს 2019, 2020 და 2021 წლის კვლევების/ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტების [3,4,5] მიხედვით, საწვავის ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოა. კვლევების დასკვნები, ძირითადად ეყრდნობა ბაზარზე ეკონომიკური აგენტების რაოდენობას (რაოდენობა გაზრდილია) ეკონომიკური აგენტების მიერ დაწესებულ ფასებს (ფასები დიფერენცირებულია სხვადასხვა ეკონომიკური აგენტების გასამართ სადგურებზე) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს (ბაზარი არ არის მაღალ კონცენტრირებული).

ზემოაღნიშნულ ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტებში ვეღარ შეხვდებით რა მდგომარეობაა ბაზარზე/პროცესში არასაბაზრო ინსტიტუტების ჩართულობის მხრივ; არ არის ასახული: **1.** არის თუ არა ბაზრის მსხვილ მოთამაშეებს შორის კარტელური გარიგება ბაზრის იმ სეგმენტზე რომელ სეგმენტსაც ეს კომპანიები იკავებენ (ბაზრის 58%); **2.** იქნებ ბაზარზე გაჩენილი წვრილი კომპანიები მსხვილი მოთამაშეების მიერ არის შექმნილი - მათი არაოფიციალური ქუდის ქვეშ ფუნქციონირებენ (ალღო აუღეს კონკურენციის კანონს და წვრილი კომპანიებიც დაარეგისტრირეს რომლებსაც განსხვავებული ფასები აქვს), **2.1** კომპანიების ფასებს შორის სხვაობაც იქნებ იმიტომ არის (განსაკუთრებით მსხვილი კომპანიების ფასებს შორის სხვაობა), რომ შეიქმნას მითი/ვირტუალური გარემო, თითქოს ბაზარზე კონკურენციაა რეალურად კი სხვა მდგომარეობა იყოს; **2.2** არაფერია ნათქვამი ე.წ. შეღავათიან პირობებზე - კომპანიების ფასდაკლების ბარათებზე. იქნებ ფასდაკლების ბარათებით უკვე იშლება ზღვარი (მინიმუმამდე დადის ფასებს შორის განსხვავება) ძვირსა და იაფ საწვავის ფასს შორის; **3.** არაფერია ნათქვამი ერთი ეკონომიკური აგენტის მიერ საქონელზე დაწესებული ფასის ცვლილებას მყისიერად მოჰყვება თუ არა ბაზრის დანარჩენი ეკონომიკური აგენტების (განსაკუთრებით მსხვილი კომპანიებს შორის) მიერ საქონელზე ფასის ცვლილება. (აღნიშნული საკითხზე 2014 წელს ჩატარებულ კვლევაში ყურადღება გამახვილებულია [1, გვ. 148], მერე არსად არ გვხვდება) **4.** არაფერია ნათქვამი ქვეყანაში შემოტანილი შესაბამისი მარკის საქონლის იმპორტის ერთეულის ღირებულებასა და მის საცალო ქსელში გასაყიდ ფასს შორის სხვაობაზე (საავტომობილო საწვავის რეალიზაციის ფასნამატი), არის თუ არა ნორმის ფარგლებში. 2014 წლის კვლევაში ეს საკითხი კონკურენციის სააგენტომ ბაზარზე კარტელური გარიგების მინიშნებად (მაღალ ალბათობად) ჩათვალა და საკითხი უფრო ღრმად შეისწავლა. ახლახან კი ფაქტობრივად ანალოგიური განაცხადა და პრემიერ-მინისტრის დავალებით შეხვდა საწვავის ბაზარზე ეკონომიკურ აგენტებს ფასის დაწევასთან მოლაპარაკების მიზნით (ეთქვა, რომ ფასი დაეკლოთ პროდუქციაზე იმიტომ, რომ ფასნამატი მაღალია) [12]. ეს, ჯერ ერთი ორმაგი სტანდარტია და მეორეც მსგავსი ქმედებები სცდება კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას. ეს არის შესაბამისი მარეგულირებელი უწყები/სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის იარაღად გამოყენება [12]; **5.** არსად არ არის აღნიშნული რა ხდება დედოფლისწყაროში დღეს/საკვლევ წლებში, მოქმედებენ თუ არა ძველი ეკონომიკური აგენტები, რომლებსაც, როგორც 2014 წლის კვლევაშია აღნიშნული, 2012 წლის მერე მიეცათ საშუალება გაეგრძელებინათ ეკონომიკური საქმიანობა [1, გვ. 134-135]; **5.** არ არის ასახული ფასებს შორის სხვაობა ხომ არ არის გამოწვეული საწვავის ჩასხმის არასათანადო სიზუსტით (ლიტრაჟის დაკლებით დაბალი ფასის სანაცვლოდ) **6.** ასევე ვერ ნახავთ ექსპორტ იმპორტის სარკისებურ შედარებას - იქნებ საწვავის ნაწილი კონტრაბანდით შემოდის და ამიტომაც ღირს უფრო იაფი **7.** ასევე არსადაა ნახსენები მარკის ადეკვატურობა იქნებ ერთი და იგივე მარკის ბენზინი ერთ გასამართ სადგურს ბევრად ხარისხიანი აქვს (გამდიდრებული დანამატებით) ვიდრე მეორეს და მაგიტომაცაა ფასებს შორის სხვაობა. ეს კი არაფერ კავშირში არ არის კარტელურ გარიგებასთან, რომელიც შეიძლება იყოს ბაზარზე - ანუ ფასებს შორის სხვაობა შეიძლება კი არის მაგრამ კარტელური გარიგების ალბათობა შეიძლება მაინც მაღალი იყოს ბაზარზე და ა.შ.

აღნიშული მოსაზრებების საპირწონედ ოპონენტებმა შეიძლება თქვან, რომ ბაზრის მოკვლევის, მონიტორინგის ნორმატიული ბაზა არ მოიცავს მსგავსი კვლევების გაკეთების აუცილებლობას, ან 7,8 და 9 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების რეგულირება, შემოწმება სცდება კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების უფლებამოსილებას. ჩვენი აზრით, ეს ვერ გამოდგება საპირწონე არგუმენტად, რადგან თუ გვინდა სრული სურათის დანახვა, რაც შეიძლება მეტი ფაქტორი უნდა

გავითვალისწინოთ კვლევისას, მონიტორინგისას. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლევა არ მოგვცემს ზუსტი სურათის დანახვის საშუალებას (კვლევა, მონიტორინგი იქნება კვლევისთვის, მონიტორინგისთვის). თუ რაიმე საკითხი სცდება კონკურენციის მაკოორდინირებელი უწყების უფლებამოსილებას, ინფორმაცია უნდა იქნას გამოთხოვილი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულებიდან რათა ბაზრის მონიტორინგი უფრო ეფექტიანად იქნას განხორციელებული. სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პოსტულატი სწორედ ეფექტიან კოორდინაციასა და გადაწყვეტილებების მოკლე დროში მიღებასთან არის კავშირში. დაწესებულებები უნდა იყვნენ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტსა და თანამშრომლობაში რომ თავიდან იქნეს აცილებული ფრაგმენტული და არაეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება (ამიტომაც არის მცირე და მოქნილი მთავრობა საჭირო და არა ბიუროკრატული უფლებამოსილებებით ზედმეტად დახუნძლული სახელმწიფო აპარატი).

7. დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დიდია ალბათობა იმისა რომ კონკურენციის მარეგულირებელი უწყება გახდეს სახელმწიფოს ხელში „იარაღი"[1], მისი/სახელწმიფოს არასწორი პოლიტიკის/ქმედებების „გაპრავების" მიზნით, ან საჭიროების შემთხვევაში ბიზნესზე ზეწოლის ბერკეტი. აღნიშნული ნიშნები, არაპირდაპირ უკვე ჩანს. მაგალითად, 2018 წელს პურის ფასის ზრდასთან დაკავშირებით პრემიერ მინისტრმა კონკურენციის მარეგულირებელ ორგანოს მიმართა, რათა სასწრაფოდ შეესწავლათ პურის ფასის ზრდის მიზეზები [21], ხომ არ იყო ფასის ზრდა დაკავშირებული კომპანიების მხრიდან კონკურენციის წესების დარღვევის გამო. როგორც კი წარმოიქმნა პოლიტიკურად მნიშვნელოვანი პრობლემა ხელისუფალმა თავის პოლიტიკას კი არ გადახედა - ხომ არ ვცდები/შევცდი სადმე ჩემს ქმედებებში, რამაც პურზე ფასის ზრდა განაპირობა, არამედ თითი იმწამსვე კერძო სექტორისაკენ გაიშვირა (კონკურენციის მარეგულირებელი უწყება ერთგვარ „ფარად", დაზღვევად გამოიყენა). არადა პურის ფასის ზრდას, ჩვენი აზრით, საფუძველი სწორედ სახელმწიფოს მხრიდან ხორბლის იმპორტის შეზღუდვის დაანონსებას - საავტომობილო ტრასპორტით ხორბლის იმპორტის აკრძალვის ბრძანების გამოცემას მოჰყვა[2], რის შემდეგაც მოვლენები ჯაჭვური რეაქციით განვითარდა და საქართველოში ხორბლის ერთადერთ იმპორტიორად მხოლოდ რუსეთი დარჩა [22]. თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენი დღევანდელი ნაშრომის კვლევის თემას და აქ უფრო ღრმად აღარ განვიხილავთ, მაგრამ აღნიშნული მიმართულებით კვლევას ვაგრძელებთ.

ასევე, კარგი მაგალითია პრემიერ-მინისტრის დავალებით კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ხელმძღვანელის შეხვედრა ნავთობ კომპანიებთან ფასების დაკლების/შემცირების მიმართულებით (ამ საკითხს ზემოთ უკვე შევეხეთ) [12]. აქ ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი ფაქტი - კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო აცხადებს, რომ ბაზარზე მოქმედ მსხვილ კომპანიებს საწვავის ფასის შემცირების რესურსი ქონდათ [23] და პრემიერ-მინისტრის დავალებით, მაკონტროლებელ ორგანოს ხელმძღვანელი, ორგანოსი რომელიც კონკურენციას არეგულირებს/აკონტროლებს ბაზარზე, ხვდება ბაზარზე მოქმედ მსხვილ მოთამაშეებს ფასის დაკლება შეგიძლიათ და დააკელითო. ეს **ერთის მხრივ** სცდება კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას - მარეგულირებელი ორგანო გარიგებისთვის (რაოდენ კარგი მიზანიც არ უნდა ქონდეს შეხვედრას) არ უნდა ხვდებოდეს მისი რეგულირების სფეროში შემავალ კერძო მეწარმეებს/კომპანიებს. თუ ჩნდება ბაზარზე თამაშის წესების დარღვევის საფუძვლიანი ეჭვი, შესაბამისი ორგანო უნდა იწყებდეს მოკვლევას და არა შეთანხმებას/გარიგებას კომპანიებთან. **მეორეს მხრივ** აღნიშნული ქმედება, სახელწმიფოს მეთაურის მიერ დავალება და შეხვედრა, შეიცავს (აღიქმება) ფარული მუქარის ნიშნებს (როგორი კარგი მიზანიც არ უნდა ქონდეს შეხვედრის დაგეგმვას) - „ფასი დააკელით თორემ ვიწყებ ბაზრის მოკვლევას და დაგსჯი/დაგაჯარიმებ". **ასევე,** მსგავსი ქმედებები/მოწოდებები/შეხვედრები ზრდის შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს/ორგანოების „სახელმწიფო იარაღად" გამოყენების რისკს/ალბათობას - „დღეს" ხვდებიან თხოვნით შეამცირეთ ფასებიო, „ხვალ" ამას მკაცრი მოწოდება შეიძლება დაერთოს, „ზეგ" კი მუქარა კანონის სრული სიმკაცრით ამოქმედების/დასჯის. ამ ყველაფერს კი მოყვება ბიზნესის დაბნეულობა, კერძო კომპანიების

1 არა მარტო საქართველოში, მსოფლიოშიც, სადაც საქართველოს მსგავსი რეგულაციები მოქმედებს

2 2018 წლის 22 აგვისტოს გამოიცა ბრძანება #314 რომლის მიხედვითაც 2018 წლის 15 სექტემბრიდან უნდა აკრძალულიყო საავტომობილო ტრანსპორტით ხორბლის იმპორტი. შემდგომ ბრძანებაში ცვლილება ორჯერ შევიდა (14 და შემდეგ 20 სექტემბერს) და ბრძანების ამოქმედების ვადა ჯერ 2018 წლის 1 ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგ 2019 წლის 1 ოქტომბრამდე გადაიწია.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მხრიდან სახელმწიფოსთან გარიგების სურვილის/ალბათობის გაზრდა (დაცვის გარანტიების შექმნისთვის) და კონკურენტული გარემოს დაზიანება.

აქ საინტერესო და ყურადსაღებია შემდეგი გარემოებაც: 2022 წლის 11 ივლისს კონკურენციის კოორდინაციის ორგანოს ხელმძღვანელი სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად შეხვდა მსხვილ ნავთობ კომპანიებს საწვავის ფასის შემცირებაზე სასაუბროდ [12]. შეხვედრის შემდეგ კი, 17 ივლისს დაიწყო საწვავის ბაზრის მოკვლევა [24], ხოლო უკვე 14 სექტემბერს კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო აცხადებს, რომ საწვავზე ფასების კლება აგვისტოდან დაიწყო, სექტემბერშიც გაგრძელდება და ამ ყველაფერს უკავშირებს საერთაშორისო ბაზარზე ნავთობზე ფასების შემცირებას და ლარის კურსის გამყარებას [25]. ანუ 1. შესაბამისი ორგანო, ბაზრის კვლევის დასრულებამდე, აჩენს მოლოდინს, რომ ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობაა 1.1 წინააღდეგ შემთხვევაში რატომ უნდა იყოს გარანტირებულად ვარაუდი შემცირებაზე მაშინ, როცა ბაზარზე, ფასთან მიმართებაში შეთანხმებულ ქმედების საფუძვლიანი ეჭვის გამო ერთი თვით ადრე დაწყებულია ბაზრის კვლევა. 2. მარტივად რომ ვთქვათ: ხვდები კომპანიებს ფასის შემცირებაზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებ ბაზრის კვლევას, რის შემდეგაც (შეხვედრის შემდეგივე თვეს) ბაზარზე 30-40 თეთრით იაფდება საწვავი და სექტემბერში გარანტირებულად მიუთითებ, რომ კიდევ შემცირდება ფასი; ამას კი ეგზოგენურ ფაქტორებს და ლარის კურსის გამყარებას აბრალებ. ეს გარემოება მსუბუქად რომ ვთქვათ, ცოტა დამაფიქრებელია (რომ აღარაფერი ვთქვათ უფლებამოსილების ჩარჩოების გადაცდომაზე. ფასების პროგნოზირება და ფასების შემცირებაზე კომპანიებთან შეხვედრა არ არის კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს კომპეტენცია. სცდება მისი უფლებამოსილებების ფარგლებს და იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ბაზარის მოკვლევა არის დაწყებული). ეს ყველაფერი, ძალიან ჰგავს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ სქემას, ბაზარზე წნეხის შესახებ (აქ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არ გვაქს შესაბამისი რესურსი და გავლენა, რომ უფრო ღრმა კვლევა განვახორციელოთ და, რიგ შემთხვევებში, ამიტომაც შემოვიფარგლებით ტენდენციის ჩვენებით).

ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ, როცა შესაბამისი ორგანოს „იარაღად" გამოყენების ალბათობის შესახებ ვსაუბრობთ, რომ კონკურენციის მონიტორინგის განმახორციელებელ დაწესებულებას არაერთი კვლევა აქვს ჩატარებული, სადაც სახელმწიფო ორგანოების კონკურენციის საწინააღმდეგოდ განხორციელებულ ქმედებებზე აღნიშნავს და მიუთითებს, შესაბამის დაწესებულებებს, გამოასწორონ გადაცდომები. თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ნიშნავს რომ შესაბამისი ორგანოს ბაზარზე წნეხის გაზრდის იარაღად გამოყენების ალბათობა მცირეა.

8. ცალკე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება საწვავის ბაზრის 2022 წლის მონიტორინგზე (მონიტორინგის დოკუმენტებზე) [6]. მოკლედ, მონიტორინგის დოკუმენტებში ყურადღებაა გამახვილებული, რომ რესეთიდან შემოტანილ საწვავზე ქართულ კომპანიებს მაღალი ფასნამატი აქვთ - 20-70 თეთრის ფარგლებში და ეს ხდება საწვავის ბაზრის მოკვლევის დაწყების საფუძველი, კონკურენციის მარეგულირებელი უწყება იწყებს ბაზრის მოკვლევას [24]. ჩვენ გავეცნობით კვლევის შედეგებს და მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად გავითვალისწინებთ/მოგახსენებთ შემდგომ ნაშრომებში.

ამ ეტაპზე გვიჩნდება ერთი მოსაზრება - ეკონომისტებისთვის ცნობილია, რომ ეკონომიკის ერთ-ერთი კანონია, რომ ადამიანები რეაგირებენ სტიმულებზე. ჰოდა ვნახოთ რა სტიმულები შეიძლება უძღვოდეს წინ რუსულ ნავთობზე ფასის შეუმცირებლობას, მიუხედავად მისი გაიაფებისა. რუსულ ნავთობის ფასის შემცირება გამოიწვია რუსეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებამ, რუსეთის უკრაინასთან ომის გამო. ბევრი ქვეყანა საერთოდ უარს ამბობს რუსული ნავთობის/საწვავის იმპორტზე. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ბიზნესისთვის, განსაკუთრებით იმათთვის ვინც საწვავის რუსეთიდან იმპორტს ეწევა, გაუგებარი სიტუაციაა. ფაქტიურად შეუძლებელია წინასწარ განსაზღვრო/გაითვალისწინო რისი მოლოდინი (უკეთეს შემთხვევაში არავინ იცის) შეიძლება გქონდეს, რა მოხდება ბაზარზე. ან რა ბედი ეწევა რუსეთიდან საწვავის იმპორტს (ხომ არ აიკრძალება საერთოდ), გაძვირდება თუ არა რუსული საწვავი და ა.შ. ამას ემატება გაუგებრობა შიდა ბაზარზე ლარის კურსთან, სახელმწიფო პოლიტიკასა და მოსახლეობის განწყობებთან მიმართებაში. ანუ, ბიზნესის დაგეგმვისა და მომავალი განვითარებისათვის ბუნდოვანი გარემოებაა. შესაბამისად, საიმპორტო ფასის შემცირების მიუხედავად ბაზარზე ფასის შეუმცირებლობა, უფრო მეტად შეიძლება გამოწვეული იყოს მაღალი რისკებით - „შექმნილ სტიმულებზე რეაგირებით". აღნიშნულ საკითხზე არ

არის ყურადღება გამახვილებული მონიტორინგის დოკუმენტში და ცოტა ბუნდოვანია რუსული საწვავის ფასის გამო მოკვლევის დაწყების გადაწყვეტილების მიღება. მეორეს მხრივ თუ კარტელურ გარიგებაშია ბაზარზე მოქმედი მსხვილი კომპანიები, ეს ვერ მოხდებოდა ბოლო დღეებში, ან თვეებში. ეს ნიშნავს რომ კომპანიები დიდი ხანია (შესაძლებელია 2013 წლიდანაც) კარტელურ გარიგებაში არიან (შეიძლება არც შეუწყვეტიათ თანამშრომლობა/გარიგება არასდროს) და გამომდინარე იქიდან, რომ ბაზრის მონიტორინგისას მხოლოდ ფასზე და ჰირშმანის ინდექსზე ვიყავით ორიენტირებული, ვერ დავინახეთ რეალური სურათი (ყოველი კვლევის დოკუმენტში ვწერდით რომ 2013 წლიდან ბაზარზე სიტუაცია გამოსწორდა თუმცა საწვავი არ გაიაფებულა), გამოგვრჩა/გამოგვეპარა რეალობა.

საპირწონედ არგუმენტად შეიძლება მოყვანილ იქნეს, რომ მონიტორინგის დოკუმენტი ეხება კონკრეტულ პერიოდს ჩვენს შემთხვევებში 2019,20120, 2021, 2022 წლებს და 2014-2018 წლები, რადგან ამ პერიოდში სასამართლო დავა მიმდინარეობდა შესწავლილი არ არის. ამ შემთხვევაში 1. ბუნდოვანი ხდება მონიტორინგის დოკუმენტებში ასახული ინფორმაცია რომ 2013 წლიდან სიტუაცია გამოსწორდა. თუ მონიტორინგი არ გაგვიკეთებია რაზე დაყრდნობით ვაკეთებთ რომ სიტუაცია გამოსწორდა ბაზარზე; მხოლოდ ბაზარზე მოთამაშე სუბიექტების გამრავლებით? 2. მეორეს მხრივ ეს საპირწონე არგუმენტი კიდევ ერთი დადასტურებაა ჩვენი ზემოთ გამოთქმული პოზიციისა - რომ მონიტორინგისთვის განხორციელებული მიდგომებით, ქმედებებით ბაზარზე რეალური სურათის, ტენდენციის დანახვა ფაქტობრივად შეუძლებელია - არ არის გათვალისწინებული („დამონიტორინგებული") რა ხდებოდა ბაზარზე მთელი 4 წლის განმავლობაში (2014-2018 წლებში). ვამბობთ 2013-დან გაუმჯობესდა სიტუაცია და „ვხტებით" 2019 წლის მონიტორინგზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიჩენს ეჭვს, რომ დღეს ბაზრის მოკვლევის გადაწყვეტილება ისევ „პოლიტიკური დაკვეთის" შედეგი შეიძლება იყოს: „განტევების ვაცის" მოსაძებნად ან პოლიტიკური ქმედებების გამართლებისთვის - საწვავი კი გაძვირდა, მაგრამ კონკურენცია არ დარღვეულა ბაზარზე ან ბაზარზე ქონდა კარტელურ გარიგებას ადგილი (ისევ ანალოგიურად, სახელმწიფოს არასწორი ქმედებების ბრალი კი არ არის, არამედ კერძო კომპანიის ან ე.წ. ეგზოგენური ფაქტორების ბრალია). ამ საკითხზე შესაბამისი ორგანოს კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ უფრო მკაფიო დასკვნის გაკეთების საშუალება გაჩნდება. ასე რომ ჯობია დაველოდოთ მოკვლევის შედეგებს - ვნახოთ რამდენად იქნება ჩვენს მიერ ზემოთ დასმული საკითხები გათვალისწინებული ან არგუმენტირებულად უგულებელყოფილი კვლევაში. **თუმცა, მეორეს მხრივ,** საკითხის კვლევის პოლიტიკური ნების გაჩენა შეიძლება ძალიან კარგი აღმოჩნდეს რეალური სიტუაციის დასადგენად და გასაუმჯობესებლად - მოკლედ, დაველოდოთ კვლევის შედეგებს.

9. აქვე ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ბაზრის კვლევებისას/მონიტორინგისას ე.წ. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოყენებაზე[1]. ინდექსით ბაზრის კონცენტრაციის დონე იზომება და თუ კონცენტრაციის ზღვარი გარკვეულ დონეზე მაღალია (HHi>2250) ბაზარი ითვლება მაღალკონცენტრირებულად და ეს ხდება ბაზრის მოკვლევის დაწყების ერთ-ერთი საფუძველი. ინდექსი ზომავს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობას/წილებს. რაც უფრო მეტია ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა მით უფრო დაბალკონცენტრირებულად ითვლება ბაზარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო დღეს მისულია დასკვნამდე[2], რომ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა, მონოპოლია, ოლიგოპოლია თავისთავად არ არის ცუდი მოვლენა. რიგ შემთხვევებში ეფექტიანიც შეიძლება იყოს. მონოპოლია საფრთხე ხდება მას შემდეგ როცა მონოპოლისტი დაარღვევს სამართლიანი თამაშის წესებს ბაზარზე და შეზღუდავს კონკურენციას. აქ უკვე ჩნდება კითხვა, თუ ბაზარზე არსებული ერთი კომპანია არ არის თავისთავად საფრთხე რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ბაზარზე კონცენტრაციის გაზომვა და ამის მიხედვით დასკვნების კეთება. ხომ არ არის ეს ფუჭი დროის და ენერგიის ხარჯვა რომელსაც არ გავყავართ რეალურ სურათამდე/შედეგამდე.

საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ კონცენტრაციის დონე უბრალოდ სიგნალია ბაზრის მონიტორინგისთვის/დაკვირვებისთვის და მეტი არაფერი, მაგრამ ეს მთელ რიგ შემთხვევებში, ბაზარზე ზეწოლის მექანიზმი შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე რეალური სურათის დადგენის საშუალება. მაგალითად, ოფიციალური სახელმწიფო უწყება, როცა აცხადებს, პირობითად, ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონეა და ვიწყებ ბაზარზე დაკვირვებასო,

1 ინდექსი ზომავს ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობას/წილებს რაც უფრო მეტია ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა ბაზარზე მით უფრო დაბალოკონცეტრირებულად ითვლება ბაზარი

2 მსოფლიოს ის ნაწილი საიდანაც ჩვენ ნორმატიულ ბაზას ფაქტობრივად ვაკოპირებთ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეს პირდაპირი სიგნალია ბაზარზე მოქმედი კომპანიისთვის, რომ გაჭირდება „ხვალინდელი დღის“ დაგეგმვა. კონკურენციის ნორმატიული ბაზა/სპეციფიკა ისეა მოწყობილი, რომ კონკურენტული დანაშაული არ არის მკაფიო - შეიძლება ჩადიოდე დანაშაულს ისე რომ ამაზე წარმოდგენაც არ გქონდეს. შესაბამისად, კომპანიებმა არ იციან რა იქნება მონიტორინგის შედეგები, რას აუკრძალავენ, რა შეზღუდვას დაუწესებენ, ან რა სანქციებს დაადებს „მთავრობა“/შესაბამისი მაკოორდინირებელი უწყება მონიტორინგის/კვლევის შედეგად. კომპანიას მოუწევს „პოსტ-ფაქტუმ“ უკვე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ქმედება/რეაქცია, რამაც შეიძლება ბიზნესის მკვეთრი დაზარალება გამოიწვიოს. შესაბამისად, გაიზრდება ბიზნესიდან გასვლის, ბაზარზე შესვლისგან თავის შეკავების, მაკონტროლებელთან გარიგების/გარანტიების შექმნის ალბათობა. ასე რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, როგორც ასეთი, არსობრივად არაფრის მთქმელია და მასზე დაყრდნობა, მითუმეტეს მსოფლიოს (ქვეყნების) დღევანდელი განვითარების ტემპებისა და გამოწვევების გათვალისწინებით არაფრის მომცემია. არაეფექტიანია ინდუსტრიულ ერაში წარმოქმნილი რეგულაციით, კოპირების პრინციპით, მოქმედებდე (იყენებდე) პოსტ-ინდუსტრიულ ერაში, სადაც განვითარებისა და ბაზრის კონიუქტურის ცვლილების სხვა ტემპებია. ეს აფერხებს ამა თუ იმ სექტორის განვითარებას.

ასევე, თავისუფალ ბაზარს ყოველთვის მიდრეკილება აქვს კონცენტრაციისკენ, ეს მისი ბუნებრივი გამოვლინებაა, რადგან ბაზარზე კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებული კომპანიები იკავებენ ბაზრის სულ უფრო და უფრო მეტ წილს და უფრო და უფრო ცოტა კომპანია რჩება ბაზარზე, ბაზრის მეტი წილებით. ბუნებრივი მოცემულობაა, მოვლენაა ისიც რომ ბაზარზე ხდება კრიზისები - ე.წ. ჩავარდნები, რომლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება კონცენტრაციის მაღალი დონე, ოლიგოპოლია და მონოპოლიაც იყოს (თუმცა ეს მაღალკონკურენტულ ბაზარზეც შეიძლება მოხდეს). ასევე, ბუნებრივი მოცემულობაა ისიც რომ ღია ბაზარი, ჩავარდნებისას, თვითონვე მკურნალობს თავის თავს - ბაზარზე არსებული კომპანიები ახდენენ მოდიფიცირებას, კოტრდებიან, ბაზარზე სხვა კომპანიები შედიან, ჩნდება ახალი იდეები, მოდიფიცირებული პროდუქტი, ხდება ბაზრის კონიუქტურის ცვლილება წამოჭრილ პრობლემებთან მიმართებაში (პრობლემების გათვალისწინებით) და ა.შ. ანუ, საბოლოო ჯამში, ხდება კრიზისის გადალახვა/კრიზისიდან გამოსვლა. ყოველი ხელოვნური ჩარევა ბაზარზე, უმეტეს შემთხვევაში ზრდის კრიზისიდან გამოსვლის დროს, უფრო აღრმავებს კრიზისს - რთულია ბუნებრივი პროცესის ცვლილებისთვის ზუსტად გათვალო, „წამალი“ რა უშველის მას, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა საკითხს „არადაინტერესებული პირები“ (პირები რომლებიც არ არიან მოგებაზე, მეტი შემოსავლის მიღებაზე, ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული - ვისაც არ აქვს გაკოტრების შიში) იკვლევენ/არეგულირებენ, რომელთაც თავისი პირადი ინტერესი შეიძლება გააჩნდეთ. ესეც კიდევ ერთი არგუმენტია იმისა თუ რატომ არის ზემოაღნიშნული ინდექსით ოპერირება არაეფექტიანი.

აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა კვლევა რადგან მოცემული ინფორმაციის ანალიზით უკვე ირკვევა რა ტიპის პრობლემებია ბაზარზე, რეგულირების ინსტიტუციურ თუ ნორმატიულ ნაწილში და როგორი რეკომენდაციებია საჭირო სისტემის გაუმჯობესებისთვის; შესაძლებელია, ***„დიაგნოზის დასმა“, რომ კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია, ვიდრე რეალობა (მიუხედავად კვლევებისა, ბუნდოვანი რჩება მთელი რიგი საკითხებისა);*** თუმცა ჩავთვალეთ, რომ, სურათის უკეთ დასანახად, საინტერესო იქნებოდა შეგვესწავლა საწვავის ბაზრის სახელმწიფო შესყიდვების მიმართულება - ე.წ. კონსოლიდირებული ტენდერები საწვავის ბაზარზე. გამომდინარე იქიდან რომ კონკურენციის მიზნებისთვის/კონკურენციის მაკონტროლებელი ინსტიტუტისთვის, სახელმწიფო შესყიდვები, ბაზრის ერთ-ერთი სახეა, ერთ-ერთი საკვლევი და დაკვირვების სექტორია/მიმართულებაა. საინტერესოა რა სიტუაციაა აღნიშნული მიმართულებით და რამდენად არის ბმაში/კავშირში ბაზარზე შექმნილ სიტუაციასთან.

მაშ ასე,

საწვავის სახელმწიფო შესყიდვები/კონსოლიდირებული ტენდერების საწვავის ბაზარზე - როცა საწვავის ბაზარზე კონკურენტულ გარემოზე და აღნიშნული სექტორის გაუმჯობესებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს ამ სექტორში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით არსებული სიტუაცია. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ კონკურენციის სააგენტომ 2014 წელს დაიწყო საწვავის ბაზრის კვლევა და როგორც კვლევიდან ჩანს 2013-2014 წლები ბაზარზე წნეხის მოხსნისა და კონკურენტული გარემოს გაუმჯობესების საწყისად არის წარმოჩენილი. საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე რა ხდებოდა ამ მიმართულებით.

კონსოლიდირებული ტენდერი საწვავზე (როგორც ბენზინზე ისე დიზელზე) ცხადდება 2012 წლიდან. მთავრობა ყოველწლიურად აცხადებს მილიონობით ლიტრ საწვავზე კონსოლიდირებულ ტენდერს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი სადაც ასახულია გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის მონაცემები საწვავის კატეგორიების/მარკის მიხედვით. ამჯერად შემოვიფარგლეთ მხოლოდ ბენზინზე გამოცხადებული ტენდერებით, რომელიც მოიცავს ავტოგასამართ სადგურებიდან გასატან საწვავს (2016 წლიდან, რიგ შემთხვევებში, ტენდერი ცხადდება ავტოგასამართ სადგურიდან გასატან და ნავთობბაზიდან გასატან საწვავზე ცალ-ცალკე). ვფიქრობთ რომ საერთო სურათის წარმოსაჩენად მხოლოდ ბენზინზე გამოცხადებული ტენდერის მონაცემების ანალიზიც საკმარისია.[1]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას (მათ შორის მაგალითის ბოლოს, ცხრილში #2 ასახული ინფორმაციის ანალიზის შედეგად):

1. ნაშრომის პირველ ნაწილში, ჩვენ ავსახეთ საწვავის ბაზრის კვლევა რომელიც დაიწყო საწვავის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შესწავლისა და გაუმჯობესებისათვის (ბაზარზე გამოვლინდა კონკურენციის დარღვევის კერძოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის - შეთანხმებული ქმედებები და ანტიკონკურენციული გადაწყვეტილებები, დარღვევის ფაქტი). ამასთან, ცხადდება კონსოლიდირებული ტენდერი საწვავზე სადაც თითო კატეგორიის საწვავზე გამარჯვებულია ერთი კომპანია (საუბარია ასი ათასობით, გარკვეულ შემთხვევებში მილიონობით ლიტრ საწვავზე).

ანუ შექმნილი სიტუაციის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი: ერთის მხრივ ვლაპარაკობთ საწვავის ბაზარზე სიტუაციის გამოსწორებასა და კონკურენტული გარემოს შექმნაზე, მეორეს მხრივ კი, ამ დროს, კონსოლიდირებულ ტენდერს ვაცხადებთ, რომელსაც ისევ ის მსხვილი კომპანიები იგებენ (თან ერთი კომპანია საწვავის კონკრეტული სახის მიხედვით). რომელიც, კვლევის მიხედვით კარტელურ გარიგებაში არიან ერთმანეთთან და არღვევენ კონკურენციის წესებს ბაზარზე.

აქ ზედმეტი კვლევის გარეშეც ნათელია რომ საქმე გვაქვს არაკოორდინირებულ ქაოტურ და არაეფექტიან მოვლენასთან (კარგად შეეფერება ფრაზა - „ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებსო“), რომელიც მკვეთრად ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე და აფერხებს სექტორის დინამიურად განვითარების შესაძლებლობას. ერთის მხრივ ვცდილობთ ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებას და მეორეს მხრივ ვაფერხებთ კონკურენტულ განვითარებას. ვხარჯავთ რესურს კვლევებზე, სანქციების დაწესებასა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე, გადაწყვეტილების აღსრულებასა და სასამართლო დავაზე (საწვავის კომპანიების ანტიკონკურენტული ქმედებისათვის დასჯის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ სასამრთლოში დავა გაგრძელდა და პროცესი 4 წლის მანძილზე გაიწელა დროში - დასრულდა 2018 წელს) და მეორეს მხრივ, მილიონობით ლიტრ საწვავს ვყიდულობთ ერთი კომპანიისგან (კარტელურ გარიგებაში მყოფ კომპანიას გარანტირებულად ვაძლევთ მოგებას და კიდევ უფრო ვუმყარებთ ბაზარზე პოზიციას). სხვა რომ არაფერი ეს გადაწყვეტილება გაკოტრების პირას აყენებს ბაზარზე არსებულ მცირე მოთამაშეებს და მკვეთრად ამცირებს ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლის სტიმულს.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ერთიანი/ჩარჩო გეგმის არსებობას და სახელისუფლებო დაწესებულებებს შორის კოორდინირებულ საქმიანობას. ასევე, ამყარებს ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმულ რეკომენდაციას კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ერთი უწყებაში არსებობის (გაერთიანების) მიზანშეწონილობის შესახებ.

2. უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2021 წლებში საწვავზე გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები ცხადდებოდა ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით 10-55 თეთრით იაფად (ხაზს ვუსვამთ ცხადდებოდა და არა ვაჭრობის შედეგად ფიქსირდებოდა) ტენდერს ვაცხადებთ ბაზარზე არსებული ფასის უფრო დაბალ ფასად და ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ უფრო დაბალ ფასს ვიღებთ გამარჯვებული კომპანიისგან.

დასაზუსტებელია:

ა) რის საფუძველზე დადგინდა საწყისი ფასი (რომელი ანალიზის, კვლევის საფუძველზე დადგინდა საბაზროზე უფრო დაბალი საწყისი ფასი). შესაბამის ორგანოს/ორგანოებს აღნიშნული საკითხის გასარკვევად არანაირი ანალიზი არ აქვთ გაკეთებული (ჩვენ მსგავსი დოკუმენტი/ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ/მოვიძიეთ);

ბ) დავუშვათ, რომ საწყისი ფასი შესაბამისი კვლევისა და დასაბუთების შედეგად იქნა დადგენი-

1 იხილეთ წარმოდგენილი გრაფიკი #2 - სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე, რომელიც დამუშავებული იქნა საწვავის კომპანიების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ლი. მაშინ საკითხი სხვა ჭრილში გადადის. კერძოდ, კონკურენციის დაცვის ორგანო რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას და ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებისა და მცირე კომპანიების მხარდასაჭერად სუბსიდიების განხორციელებას სთხოვს [1] (ამ ეტაპზე არ შევუდგებით ამ რეკომენდაციის ეფექტიანობის შეფასებას რადგან ის სხვა ჭრილში გადაიყვანს მსჯელობას და გასცდება საკვლევ თემას). ამას ემატება გაცხადებული პოლიტიკური ნება საწვავის ბაზარზე კონკურენციის კვლევისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების/გაჯანსაღების შესახებ (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უშუალოდ ავალებს კონკურენციის სააგენტოს საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლას [26, 27]). ამ დროს სახელწმიფო შესყიდვების მაკოორდინირებელმა ორგანომ აღმოაჩინა, რომ საწვავის კომპანიები მზად არიან 10-55 თეთრით იაფად გაყიდონ საწვავი და ეს ფაქტი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შესასყიდი საწვავის ფარგლებში დარჩა? კვლევის საგანიც კი არ გახდა რა იწვევს ფასების ასეთ სხვაობას? თუ კომპანიას 10-55 თეთრით იაფად შეუძლია გაყიდოს საწვავი და მაინც რჩება მოგება ეს პირდაპირ მანიშნებელია იმისა, რომ ბაზარზე მკვეთრად შეზღუდულია კონკურენცია (ან ჩართულია არასაბაზრო ინსტიტუტები) და ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი (ნაცვლად ამისა კი პირიქით კონსოლიდირებული ტენდერით კიდევ უფრო ვზღუდავთ კონკურენციას ბაზარზე). აქ შეძლება დაისვას კითხვა ბაზრის რა მოცულობაზეა საუბარი (შესასყიდ საწვავს ბაზრის რამდენი პროცენტი უჭირავს). მაშინ როცა მილიონობით ლიტრ საწვავზე შეგიძლია ფასი 25-55 თეთრის სხვაობით ათამაშო ბაზრის მოცულობაზე საუბარი კარგავს ლეგიტიმაციას/შინაარსს. **მეორეს მხრივ,** თუ პროდუქტი გაიაფებულია იმიტომ რომ საქმე სახელმწიფო ორგანოებთან გვაქვს და კომპანიები ყაბულს არიან ზარალზეც წავიდნენ, რადგან საწვავი სახელმწიფომ უნდა იყიდოს, მაშინ ეს საკითხი უკვე ეკონომიკურ კვლევას სცდება და სხვა ჭრილში გადადის. ამ შემთხვევაში ეკონომიკურად ერთი არსებითი საკითხი იჩენს თავს: საიდან ამოიღებს კომპანია იმ ფასთა სხვაობას, რომელსაც წაგებაზე გაყავს იგი, სახელმწიფო ტენდერის შემთხვევაში. პასუხი მარტივია, კომპანია შეეცდება ფასთა სხვაობა გადაფაროს სამომხმარებლო გაყიდვებიდან/სამოქალაქო პირებისგან/მოსახლეობისგან (წაგებაზე რომ არ წავიდეს გააძვირებს ფასს საცალო ქსელში სამოქალაქო პირებისათვის. რისი ნიშნებიც იკვეთება ტენდერში დაფიქსირებული საწყისი და ბაზარზე არსებული ფასების შედარებით. ეს ცხრილიდანაც ჩანს).

გ) კონკურენციის მაკონტროლებელმა ორგანომ 2022 წელს ჩატარებულ საწვავის ბაზრის მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ

„რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება საშუალოდ 30-70 თეთრით დაბალია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით (მარტი-ივლისი), თუმცა საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომია ევროპული საწვავის იდენტურ ფასად“ [6, გვ.14, პუნქტი 7]

ასევე,

„რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავი, ხშირ შემთხვევაში, ექცევა საბაჟო საწყობში და შესაბამისად დროებითი შენახვის რეჟიმში. საბაჟო საწყობიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარ საცალო სარეალიზაციო ქსელში ძირითადად ხდება მაღალი თვითღირებულების მქონე საწვავის გატანა, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის შემთხვევაში ხორციელდება საბითუმო გადაყიდვა სხვა კომპანიაზე, რომელსაც უკვე თავად გააქვს საწვავი ქვეყანაში თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში. მსგავსი სხვაობა 2022 წლის მარტი-ივლისის პერიოდში, 1 ლიტრი საწვავის დონეზე შეადგენდა საშუალოდ 30-70 თეთრს.“

ანუ, ბაზრის მონიტორინგის შედეგად დადგენილი ფასთა სხვაობა 30-70 თეთრის ოდენობით გახდა კონკურენციის სააგენტოსთვის სიგნალი რომ შეეწყვიტა მონიტორინგი და დაეწყო ბაზრის მოკვლევა (ხომ არ აქვს ადგილი ბაზარზე კარტელურ გარიგებას ან კონკურენციის წესების სხვა ტიპის დარღვევას).

ამასთან, 2014 წლის საწვავის ბაზრის კვლევის დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ: კონკურენციის დაცვის პირობებში ფასწარმოქმნის პირნციპის შესაბამისად განბაჟებული საავტომობილო საწვავის ერთეულის ღირებულებასა და საცალო ფასს შორის სხვაობა, არ უნდა აღემატებოდეს ცალკეული მარკების მიხედვით 20-25 თეთრს. ამ მიდგომის ავკარგიანობას აქ არ შევეხებით, რადგან საკითხზე მსჯელობა სცდება საკვლევ თემას. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ფასებს შორის სხვაობა იყო 2014 წელშიც კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოსათვის ერთ-ერთი სიგნალი ბაზარზე არაჯანსაღი მდგომარეობის არსებობის ალბათობის შესახებ.

ზემოაღნიშნულ კონტექსტის გათვალისწინებით თუ განვიხილავთ კონსოლიდირებული ტენდერების

ცხრილს დავინახავთ, რომ არათუ განბაჟებულ და საცალო ფასს შორის სხვაობა სცდება კონკურენტულ ზღვარს არამედ საბაზრო ფასებს შორის სხვაობა არ ჯდება კონკურენტული ზღვრის ჩარჩოებში (ცდება ზღვარს)[1]. 2012-2021 წლებში, ყოველ წელს ფიქსირდება საბაზრო ფასებს შორის სხვაობის მაღალი მაჩვენებელი, 25-55 თეთრის ოდენობით. კონკურენციის მაკონტროლებელი უწყებისთვის კი ეს საკითხი არ გამხდარა არანაირი კვლევის წამოწყების საფუძველი, უფრო მეტიც, 2022 წლამდე არსებულ ყველა ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტში ასახულია, რომ 2013 წლიდან საწვავის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების (მათ შორის ცხრილში ასახული მონაცემების) ანალიზიდან იკვეთება შემდეგი ფაქტი. საწვავის სახეობების მიხედვით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა ძირითადად 1 ერთეულით შემოიფარგლება (ეს ტენდენცია განსაკუთრებულ ხასიათს 2016 წლიდან იძენს) უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში საწვავის ტიპის მიხედვით ერთიდაიგივე კომპანია მონაწილეობს და იგებს ტენდერს (უმეტეს შემთხვევაში იმ საწყის ფასში რომელიც იქნა გამოცხადებული). მაგ. ტენდერს სუპერის მარკის ბენზინზე, 2013 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს იგებს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"; პრემიუმის მარკის ბენზინზე ტენდერს 2015 წლიდან დღემდე, 2021 წლამდე, ყოველ წელს იგებს შპს „რომპეტროლ საქართველო" (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მხოლოდ აღნიშნული კომპანია იღებს მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერში); რეგულარის მარკის საწვავზე, 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, ყოველ წელს იგებს შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მხოლოდ აღნიშნული კომპანია იღებს მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერში);

დასაზუსტებელია, რატომ არ უჩნდება სურვილი ერთზე მეტ კომპანიას მონაწილეობა მიიღოს მილიონობით ლიტრი საწვავის შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში. ასევე, დასაზუსტებელია, რატომ არ არის არაფრის მთქმელი აღნიშნული საკითხი კონკურენციის მარეგულირებელი უწყებისათვის. რატომ არ მიანიშნებს ეს შესაძლო შეთანხმებულ ქმედებაზე/კარტელურ გარიგებაზე ბაზარზე.

4. ჩვენი აზრით, ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ ფაქტებზე: 2016 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს კონსოლიდირებულ ტენდერში, გარკვეული ტიპის მარკის საწვავზე ყოველ წელს მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი კომპანია, ასევე სთავაზობს ზუსტად გამოცხადებულ ფასს (არც მეტს არც ნაკლებს) და ისე იგებს ტენდერს. არც ეს საკითხი ხდება კონკურენციის სააგენტოს ინტერესის სფეროში. ასევე, ეს საკითხი ჩვენი აზრით აჩენს საფუძვლიან ეჭვს, იმის შესახებ, რომ პროცესში ჩართულია (ზეგავლენას ახდენს) არასაბაზრო ინსტიტუტები და ესეც პირველ რიგში კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოსთვის კვლევის დაწყების საფუძველი უნდა ყოფილიყო.

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ცხადია, რომ როგორც ზოგადად საწვავის ბაზარზე ისე საწვავის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენტული გარემო მკვეთრად გასაუმჯობესებელია (ასევე, დასადგენია ხომ არ გვაქვს საქმე ბაზარზე არასაბაზრო ინსტიტუტების ჩარევასთან). პირველ რიგში უნდა გაუქმდეს საწვავის კონსოლიდირებული წესით შესყიდვის პრაქტიკა. აღნიშნულის შედეგად გაჩნდება შესაძლებლობა 4500-მდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ [29] ინდივიდუალურად მოიკვლიოს ბაზარი და გააფორმოს მისთვის ხელსაყრელი პირობებით სხვადასხვა კომპანიასთან ხელშეკრულება. ეს გამოიწვევს ბაზარზე კონკურენციის გაზრდას, გააჩენს სექტორში ახალი მოთამაშეების შესვლის სტიმულს, ხელს შეუწყობს ბაზრის დინამიურ და ეფექტიან განვითარებას და გააჩენს ბაზრის დივერსიფიცირების სტიმულს.

ჩვენი მიდგომის საწინააღმდეგო მოსაზრება - საწვავის იაფად შესყიდვასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის შესახებ, ჩვენი აზრით, საკითხთან მიმართებაში, ვერ გამოდგება საპირწონე არგუმენტად. გამომდინარე იქიდან, რომ ამ მიდგომას არსებულ სიტუაციაში მოაქვს უფრო მეტი უარყოფითი ვიდრე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიაა. ზღუდავს კონკურენციას რაც აფერხებს ბაზრის განვითარებას და ერთეულ პროდუქციაზე მაღალი ფასის არსებობის/დაწესების ერთ-ერთ გამომწვევი მიზეზია.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიშლება ითქვას, რომ 1. მომხმარებლისთვის ბაზარზე სიტუაცია გაუარესებულია. იმ პერიოდში (2012 წლამდე) როცა, კონკურენციის მარეგულირებელი ორგანო გვეუბნებოდა რომ ბაზარზე კონკურენცია დარღვეულია და საქმე გვაქ

1 ერთი და იგივე კომპანია, ერთი და იგივე მარკის საწვავს, ერთი და იგივე ავტოგასამართი სადგურებიდან სახელმწიფოს აძლევს უფრო იაფად (25-55 თეთრით იაფად) ვიდრე მოსახლეობას

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კარტელურ გარიგებასთან საწვავი ბევრად (დღევანდელობასთან შედარებით, თითქმის 1 ლარით და მეტით) იაფი ღირდა ვიდრე შემდგომ (2013 წლის შედეგ) პერიოდში როცა გვეუბნებიან, რომ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა. 2. კონკურენციის მარეგულირებელი უწყება ბაზრის მონიტორინგისას ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ფასების კონტროლით და კონცენტრაციის დონის განსაზღვრით რაც არასაკმარისი ფაქტორია რეალური სურათის დასანახად. 3. კვლევებს, მონიტორინგს აქვს ეკლექტური/არათანმიმდევრული ხასიათი რადგან 2014 წლის კვლევებით დაფიქსირებულ დარღვევების რიგი საკითხები არ არის გათვალისწინებული, პასუხგაუცემელია შემდგომ მონიტორინგის დოკუმენტებში. 4. საანგარიშო პერიოდების კვლევებში ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული არასაბაზრო ინსტიტუტების ქმედებებზე/გადაწყვეტილებებზე რაზეც ჩვენს მიერ მოყვანილი სახელმწიფო შესყიდვების მაგალითიც მიუთითებს 5. ეკონომიკა არ არის ზუსტი მეცნიერება. შესაბამისად, კვლევის ჩატარებისას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ე.წ. აბსტრაქტულ აზროვნებას და „ქეის ბაი ქეის" მიდგომას, რის ნაკლებობაც ჩანს მონიტორინგის დოკუმენტებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მხოლოდ რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შემოიფარგლება ბაზრის მონიტორინგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ კონკურენცია საწვავის ბაზარზე უფრო მითია ვიდრე რეალობა. ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოს წამოწყებულ საწვავის ბაზრის კვლევას და ჩვენს მოსაზრებებს დამატებით მოგახსენებთ საკითხთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ საწვავის ბაზარზე (არამარტო საწვავის ბაზარზე) გაუმჯობესდეს სიტუაცია საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. უნდა მოხდეს საფუძვლიანი კვლევა და არასაბაზრო ინსტიტუტების „ჩახსნა" (მათი არსებობის შემთხვევაში) პროცესიდან/რეგულირებიდან/არაფორმალური კოორდინაციიდან. ეს ყველაზე რთული განსახორციელებელია რადგან კონკურენციის მაკონტროლებელი ორგანო საქართველოს მთავრობის - პრემიერ-მინისტრის „დაქვემდებარებაშია" (ჯერ კიდევ, პრემიერ მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს მაკონტროლებელი ორგანოს ხელმძღვანელს) და რთულია გამოიკვლიო შენი ზემდგომების საქმიანობა. მითუმეტეს, რიგ შემთხვევებში, საკითხის გამოკვლევა შესაძლებელია გასცდეს კონკურენციის მარეგულირებელი უწყების კომპეტენციას. საკითხს ართულებს ისიც, რომ, ბოლო წლებში, მიუხედავად კონკურენციის მარეგულირებელი უწყების კომპეტენციების მკვეთრი/თვალსაჩინო გაზრდისა არასაბაზრო/სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით კომპეტენციები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

1.1 აქვე, რეკომენდაციად შეიძლება ჩაითვალოს - კონკურენციის სააგენტოს არასაბაზრო/სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის კონტროლის მიმართულებით უფლებამოსილების/კომპეტენციის გაზრდა.

1.2 მოწოდების წყაროების (იმპორტის) წერტილებიდან ექსკლუზივის, დომინანტი შუამავლების ხელის არ შეწყობა. 2014 წლის შემდგომ კვლევებში ამ მიმართულებით რა ხდება არ არის ასახული

2. სექტორზე საგადასახადო წნეხის/განაკვეთების და ადმინისტრირების/რეგულაციების მაქსიმალური შემცირება. მათ შორის აქციზის შემცირება (რომელიც 2017 წლის 2 იანვრიდან გაიზარდა) [28] აღნიშნული გაზრდის მოგების მარჟას, ბაზარს გახდის უფრო გახსნილს და თავისუფალს (მითუმეტეს სრულად იმპორტზეა დამოკიდებული ბაზარი) და მეტ კომპანიას მოიზიდავს ბაზარზე.

3.. მაქსიმალური ძალისხმევის წარმართვა პიარისა და ბაზარზე სხვადასხვა ტრანსნაციონალური/ძლიერი კომპანიების მოზიდვის მიზნით (არა კოორდინაცია და პროცესში ჩართვა არამედ მხოლოდ დაინტერესების/გაცნობის კუთხით მუშაობა).

4. უნდა მოხდეს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელი უწყებების ინსტიტუციური გაერთიანება. ვფიქრობთ ჩვენს მიერ ნაშრომში წარმოჩენილმა ფაქტებმა აღნიშნულის საჭიროება ნათლად დაგვანახა

5. უნდა გაუქმდეს საწვავის კონსოლიდირებული წესით შესყიდვის პრაქტიკა. აღნიშნულის შედეგად გაჩნდება შესაძლებლობა 4500-მდე შემსყიდველმა ორგანიზაციამ [29] ინდივიდუალურად მოიკვლიოს ბაზარი და გააფორმოს მისთვის ხელსაყრელი პირობებით სხვადასხვა კომპანიასთან ხელშეკრულება. ეს გამოიწვევს ბაზარზე კონკურენციის გაზრდას, გააჩენს სექტორში ახალი მოთამაშეების შესვლის სტიმულს, ხელს შეუწყობს ბაზრის დინამიურ და ეფექტიან განვითარებას და გააჩენს ბაზრის დივერსიფიცირების სტიმულს.

ზოგადად, ჩვენი აზრით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონკურენციის მარეგულირებელი უწყების ფუნქციების მაქსიმალურად შემცირება

ბაზარზე ეკონომიკური აგენტების საქმიანობის კვლევის მიმართულებით, ხოლო ფუნქციებს მაქსიმალურად გაზრდა არასაბაზრო ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგის მიმართულებით და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, რათა მაქსიმალურად შემცირდეს უწყების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. თუმცა ეს საკითხი სცდება ჩვენ საკვლევ თემას და სხვა პრიზმაში გადაჰყავს მსჯელობა. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონით უკვე განსაზღვრულია კონკურენციის მაკონტროლებელი უწყების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდის დებულებები. თუმცა ის ამ დრომდე არ ამოქმედებულა.

ჩვენ დავაკვირდებით კონკურენციის სააგენტოს მიერ დაანონსებულ საწვავის ბაზრის კვლევის პროცესს და საბოლოო დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შევეცდებით დამატებით მოგაწოდოთ ჩვენი აზრი საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 20015 წლის 14 ივლისის #81 ბრძანება „სსიპ-კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 12 ნოემბრის #14 ბრძანების შესაბამისად დაწყებული საქმის მოკვლევის ფარგლებში საავტომობილო საწვავის ბაზარზე გამოვლენილი სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ.

2. https://admin.competition.ge/uploads/12ecff74000a47a3bbbbb755d78a7983.pdf

3. სსიპ. საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 17 იანვრის N04/7 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

4. https://admin.competition.ge/uploads/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf

5. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2019 წლის შუალედური ანგარიში

6. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2020 წლის შუალედური ანგარიში - https://admin.competition.ge/uploads/a7583ae6f2224d658a4c0198809b5ab3.pdf

7. საწვავის ბაზრის მონიტორინგი 2021 წლის შუალედური ანგარიში - https://admin.competition.ge/uploads/0e76747a96a64da19c4140ac6acc6579.pdf

8. საავტომობილო საწვავის ბაზრის მონიტორინგის ანგარიში 2022 იანვარი-ივლისი - https://admin.competition.ge/uploads/2a4745f0ddf7414ca9a22e5aef63c70e.pdf

9. ცისანა სეხნიაშვილი, ეკონომიკის ისტორია, გამომცემლობა „პირველი სტამბა“, თბილისი 2000 წ. I ტომი, 364 გვ.

10. სლავა ფეტელავა, კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, გამომცემლობა „ლოი“, თბილისი, 2007 წ. 276 გვ.

11. გურამ ჯოლია, განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2021 წ. 370 გვ.

12. ირაკლი ჯანგავაძე, ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები, გამომცემლობა „უნივერსალი“, 365 გვ.

13. ლაშა მგელაძე, კონკურენციის პოლიტიკის გამოწვევები და მისი სრულყოფის გზები, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2020 წ, 276 გვ.

14. კონკურენციის ეროვნული საგენტოს შეხვედრა საწვავის მსხვილ რეალიზატორებთან ფასების შემცირების მიზნით https://gnca.gov.ge/media/press-releases/269

15. გალფის https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=10

16. სოკარი https://www.sgp.ge/ge/price?start_date=2003-01-07&end_date=2012-01-12

17. შპს ლუკოილ ჯორჯია

18. http://www.lukoil.ge/index.php?m=328&date_from=1.1.2012&date_to=17.04.2019

19. ვისოლი https://my.wissol.ge/public/fuelprices

20. საწვავზე აქციზის გადასახადი გაიზარდა - https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483

21. ნავთობის ფასები - https://www.statista.com/statistics/262858/change-in-opec-crude-oil-prices-since-1960/

22. ლარის გაცვლითი კურსი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/92/monetaruli-statistika

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

23. ლარის გაცვლითი კურსი http://www.lari.ge/index.php?do=currency/chart&code=USD
24. მიმართვა პურის ფასის გაზრდის შესწავლასტან დაკავშირებით https://imedinews.ge/ge/ekonomika/88948/bakhtadze-puris-pasis-zrdaze-mivmartav-shesabamis-organoebs-sheistsavlon-situatsia
25. საქართველოს დამოკიდებულება ხორბალზე 100%-მდე გაიზარდა https://bm.ge/ka/article/saqartvelos-damokidebuleba-rusul-xorbalze-100-mde-gaizarda-/62762
26. საწვავის კომპანიებს საწვავის ფასის შემცირების რესურსი ქონდათ https://1tv.ge/news/irakli-leqvinadze-mskhvil-kompaniebs-sawvavis-fasis-shemcirebis-resursi-hqondat/
27. საავტომობილო საწვავის ბაზრის მოკვლევა https://gnca.gov.ge/media/press-releases/271
28. სექტემბერში საწვავის ფასის შემცირებაა მოსალოდნელი https://www.interpressnews.ge/ka/article/726170-irakli-lekvinaze-sektembershi-sakartveloshi-sacvavis-pasis-shemcirebaa-mosalodneli/
29. პრემიერის დავალება საწვავის ბაზარზე არსებული სიტუაციის მოკვლევის შესახებ 2014 წ. https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/53475-irakli-gharibashvili-dainteresda-ratom-ar-khdeba-satsvavis-fasebis-kontroli-saqarthveloshi.html
30. საწვავის ფასები და კონკურენციის სააგენტოს პირველადი დასკვნა https://www.radiotavisupleba.ge/a/sacvavis-fasebi/26822044.html
31. საწვავზე აქციზის გაზრდა https://bm.ge/ka/article/sawvavze-aqcizuri-gadasaxadi-gaizarda/8483
32. საელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე **(დანართი)**					
წელი	2013	2014	2015	2016	2017
მონაცემები / საწვავის ტიპი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი
განაცხადის #	CON140000002	CON150000001	CON150000066	CON160000057	CON170000068
რაოდენობა ლიტრი	27 844 500	37 654 390	36 116 750	31 782 700	30 300 000
გამოცხადების თარიღი	13.12.2013	09.12.2014	04.12.2015	02.12.2016	05.12.2017
მონაწილეთა რაოდენობა	4	2	3	1	1
გამარჯვებული კომპანია	შპს „ლუკოილ ჯორჯია“	შპს „ლუკოილ ჯორჯია“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.85	1.57	1.55	1.53	2.10
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[1]	2.19	2.13	1.88	1.85	2.35
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.77	1.57	1.47	1.48	2.8
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.15	2.06	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე
ყველაზე დაბალი ფასი გამოცხადების დღეს	2.15 ლუკოილი	2.06 ლუკოილი	1.89 სოკარი, ლუკოილი	1.79 ლუკოილი	2.29 ლუკოილი

საწვავის ტიპი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი
განაცხადის #	CON140000003	CON150000003	CON150000067	CON160000058	CON170000069
რაოდენობა ლიტრი	767 714	478 260	361 872	350 800	300 000
გამოცხადების თარიღი	13.12.2013	09.12.2014	04.12.2015	02.12.2016	05.12.2017
მონაწილეთა რაოდენობა	3	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტ-როლიუმ ჯორ-ჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.90	1.70	1.70	1.72	2.37
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[2]	2.23	2.18	1.94	1.92	2.39
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.90	1.70	1.70	1.72	2.37
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.25	2.16	1.84	1.84	2.54
ქსელში დაფიქსირებული ყვე-ლაზე დაბალი ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.2 ლუკოილი	2.14 ლუკოილი	1.99 სოკარი, ლუკოილი	1.89 სოკარი, ლუკოილი	2.39 ლუკოილი
საწვავის ტიპი	ბენზინი რეგულარი	ბენზინი რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რე-გულარი	ბენზინი ევრო რეგულარი
განაცხადის #	CON130000006	CON150000010	CON150000068	CON160000063	CON170000074
რაოდენობა ლიტრი	1 235 807	7 331 573	6 643 538	3 970 000	2 800 000
გამოცხადების თარიღი	19.12.2012	25.12.2014	04.12.2015	02.12.2016	06.12.2017
მონაწილეთა რაოდენობა	1	1	2	1	1
გამარჯვებული კომპანია	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.91	1.54	1.52	1.43	2.03
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[1]	2.05	1.90	1.72	1.70	2.23
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.91	1.54	1.40	1.41	2.02
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.07	1.88 და 1.99	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე
ქსელში დაფიქსირებული ყვე-ლაზე დაბალი ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.03 გალფი	1.79 ლუკოილი	1.71	1.59 ლუკოილი	2.19 ლუკოილი

1

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წელი	2018	2019	2020	2021
მონაცემები / საწვავის ტიპი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი
განაცხადის #	CON180000031	CON190000599	CON200000318	CON210000489
რაოდენობა ლიტრი	29 000 000	29 000 000	29 000 000	29 000 000
გამოცხადების თარიღი	12.12.2018	09.12.2019	11.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	2.01	2.24	1.83	2.78
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი [1]	2.52	2.79	2.36	3.25
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	2.01	2.24	1.83	2.78
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე
ყველაზე დაბალი ფასი გამოცხადების დღეს	2.50 ლუკოილი	2.65 ვისოლი	2.31 სოკარი	3.18 სოკარი
საწვავის ტიპი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი
განაცხადის #	CON180000032	CON190000600	CON200000290	CON210000487
რაოდენობა ლიტრი	250 000	200 000	200 000	200 000
გამოცხადების თარიღი	12.12.2018	09.12.2019	03.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტ-როლიუმ ჯორ-ჯია“	შპს „ვისოლ პეტ-როლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	2.31	2.57	2.19	3.12
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი [2]	2.62	2.86	2.44	3.34
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	2.31	2.57	2.19	3.12
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.64	2.75	2.48	3.38

ქსელში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.60 ლუკოილი	2.74 გალფი	2.39 გალფი	3.26 სოკარი
საწვავის ტიპი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი
განაცხადის #	CON190000163	CON190000601	CON200000294	CON210000493
რაოდენობა ლიტრი	1 500 000	1 500 000	1 200 000	1 200 000
გამოცხადების თარიღი	18.02.2019	09.12.2019	03.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.81	2.21	1.80	2.76
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი [3]	2.33	2.54	2.2	3.13
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.81	2.21	1.80	2.76
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.32	2.54	2.16	3.04
ქსელში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.32 გალფი, სოკარი	2.52 გალფი	2.15 გალფი	3.04 სოკარი

1 ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან, 2019 წლიდან შპს ლუკოილ ჯორჯია აღარ არის საწვავის საშულაო ფასში გათვალისწინებული რადგან კომპანიის საიტზე ფასების არქივი აღარ ჩანს. https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=2, http://wissol.ge/_OLD/index.php?geo&cat=47&type=1#, https://sgp.ge/ge/price?start_date=2014-12-09&end_date=2014-12-10, http://lukoil.ge/index.php?m=328&date_from=09.12.2014&date_to=10.12.2019

2 ფასი დაანგარიშებულია 3 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"-ს და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს 2017 წლიდან ყველგან ნაცვლდება გალფით) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. გალფს არ ქონდა მითითებული ამ დრეს სუპერის ფასი.

3 ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია"-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი"-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ON THE HISTORY OF SOME PROBLEMS OF ECONOMIC SECURITY ACCORDING TO ANCIENT GREEK AND LATIN SOURCES

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 05, 2022
Published: September 20, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-46



Gia Kvashilava,
Doctor in Lingguistic
Profesor at Ivane.Javakhishvili Tbilisi State University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-8511-0203
E-mail: gia.kvashilava@tsu.ge

ABSTRACT

This paper reviews the material for studying of history of the economic security problems. Studying of the security problem will help us how we need to define term "security".

The author proposes to consider the question: Where is the term "security" derived? It traces from the Ancient Greek word «aspháleia» and Latin word «securitas» that literally means "security", "safety", "protection".

For this paper have used ancient Greek and Latin literature review for the security problem and interpretations of original pieces.

In short, the ancient Greek and Roman philosophers, historians and politicians paved the way for the origin of the modern security science.

Keywords: *«aspháleia», «securitas», security, safety, protection; «securitatis urbanae custos», the guardian of the security of the city; «securitas publica», the security of the State.*

REFERENCES:

1. Bregvadze 2003: Plato, The State, translated from ancient Greek by B. Bregvadze, Necker publishing house, Tbilisi, 392 p.2. Kukava 1959: (in georgian);

2.Kukava 1959: Democritus, Epicurus, fragments, letters, translation from ancient Greek, comments and essays attached T. Kukava, Tbilisi, 1959, 238 pp. (in georgian);

3. Kukava 1995, I: Aristotle, Politics, Part I, translated from ancient Greek, introduction and explanation added by T. Kukava, Tbilisi, 1995, 135 pp. (in georgian);

4. Kukava 1996, II: Aristotle, Politics, part II, translation from ancient Greek, introduction and explanation added by T. Kukava, Tbilisi, 1996. 118 p.5. (in georgian);

5.Senchagov 2015: Senchagov V. K. (ed.), Economic Security of Russia, General Course, 5th ed., Moscow: Binom Publishing House, Knowledge Laboratory, 2015, 816 pp. (in russian);

6. Basore 1928: *Seneca, Moral Essays*, Vol. I, with an English translation by J.W. Basore, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXVIII, 456 pp.

7. Diels 1922, II: Diels, H., *Die Fragmente der Vorsokratiker, Griechisch und Deutsch*, Zweiter Band, Berlin: Weidmannsche Buchhandlung, 1922, 346 S.

8. Fowler and Lamb 1975, VIII: *Plato, The Statesman, Philebus, Ion*, with an English translation by H. N. Fowler and W. R. M. Lamb, Vol. VIII, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXV, 450 pp.

9. Gummere 1970, II: *Seneca, Ad Lucilium epistulae morales*, with an English translation by R. M. Gummere, Vol. II, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLXX, 480 pp.

10. Keyes 1970: *Cicero, De re publica, de legibus*, with an English translation by C. W. Keyes, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXVIII, 534 pp.

11. Lamb 1967: *Lysias*, with an English translation by W. R. M. Lamb, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXVII, 708 pp.

12. Miller 1914, I: *Xenophon, Cyropaedia*, Vol. II, with an English translation by W. Miller, London, William Heinemann, Ltd, New York, The Macmillan Co., MCMXIV, 480 pp.

13. Mühll 1922: Mühll, P. von der, *Epicuri epistulae tres et ratae sententiae*, a Laertio Diogene servatae, Lipsiae, in aedibus B.G. Teubneri, MCMXXIl, 70 pp.

14. Rackham 1931: *Cicero, De finibus bonorum et malorum*, with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXXl, 512 pp.

15. Rackham 1959: *Aristotle, Politics,* with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 684 pp.

16. Rackham 1961, V: *Pliny, Natural History*, with an English translation by H. Rackham, Vol. V, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXI, 544 pp.

17. Shipley 1924: *Velleius Paterculus, Compendium of Roman History: Res gestae divi Augusti*, with an English translation by Frederick W. Shipley, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXIV, 432 pp.

18. Shorey 1937, I: *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. I, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXXVII, 536 pp.

19. Shorey 1980, II: *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. II, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 530 pp.

20. Smith 1959, III: *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. III: Books V–VI, with an English translation by C. F. Smith, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 376 pp.

21. Smith 1980, I: *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. I: Books I–II, with an English translation by C. F. Smith, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 462 pp.

22. Smyth 1922, I: *Aeschylus, Suppliant Maidens*, with an English translation by H. W. Smyth, Vol. I, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXII, 426 pp.

23. Storr 1962, I: *Sophocles*, Vol. I, with an English translation by F. Storr, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLXII, 420 pp.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ისტორიის შესახებ ძველი ბერძნული და ლათინური წერილობითი წყაროების მიხედვით

გია კვაშილავა,
ლინგვისტიკის დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: gia.kvashilava@tsu.ge

აბსტრაქტი

შრომაში წარმოდგენილია მასალები „უსაფრთხოება" ტერმინის განსაზღვრის, დაზუსტებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის ისტორიის შესწავლისათვის.

ტერმინი „უსაფრთხოება" ნაწარმოებია ძველი ბერძნული «asphaleia» და ლათინური «securitas» სიტყვების მიხედვით, რომელთა მნიშვნელობაა „უსაფრთხოება", „დაცვა".

შრომაში გამოყენებულია ძველი ბერძნული და ლათინური ლიტერატურა უსაფრთხოების პრობლემის მიმოხილვისა და დედნისეული ნაწილების ინტერპრეტაციებისთვის.

ძველმა ბერძენმა და რომაელმა ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა და პოლიტიკოსებმა გზა გახსნეს თანამედროვე უსაფრთხოების, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *«asphaleia», «securitas», უსაფრთხოება, დაცვა; «securitatis urbanae custos», ქალაქის უსაფრთხოების მცველი; «securitas publica», სახელმწიფოს უსაფრთხოება.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

უსაფრთხოება საზოგადოებაში ადამიანთა გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რათა მათ დაეცვათ თავი ბუნებრივი თუ სოციალური გარემო პირობებისგან. სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სტრუქტურების ამოცანებისა და ფუნქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები საუკუნეების მანძილზე მრავალმა ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და პოლიტოკოსმა ყურადღებით შეისწავლა. მათ განიხილეს უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები და წარმოაჩინეს უსაფრთხოების განსაკუთრებული მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურაში უსაფრთხოება განიმარტება როგორც სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების დაცულობა საფრთხეებისგან, რაც ბუნებრივი და ბოროტი საზოგადოებრივი ძალების საზიანო მოქმედებების დროს ვლინდება (შდრ. Сенчагов 2015:7).

ძირითადი ტექსტი

ძველმა ბერძენმა მოაზროვნეებმა უსაფრთხოების პრობლემა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს დაუკავშირეს. ამ მხრივ ბერძნულ-ლათინური წყაროები ეხება უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხს, რომლებიც შემდგომში ეკონომისტებმა ჩამოაყალიბეს ეკონომიკური კატეგორიების სახით.

ამ წყაროების მიხედვით დასტურდება, რომ სიტყვა „უსაფრთხოება“ ძველ საბერძნეთში იხმარებოდა ჯერ კიდევ ძვ.წ. VI–III საუკუნეებში. ძველი ბერძნული სიტყვა ἀσφάλεια [ასფალეია], რომლის მნიშვნელობაა „უსაფრთხოება“, „დაცვა“, როგორც ტერმინი დაამკვიდრეს ძველმა ბერძენმა სწავლულებმა, კერძოდ, დრამატურგებმა ესქილემ[1] (ძვ.წ. 525–455 წწ.) და სოფოკლემ (ძვ.წ. 497/496–406/405 წწ.), ისტორიკოსებმა თუკიდიდემ (ძვ.წ. 460–400 წწ.) და ქსენოფონტმა (ძვ.წ. 430–355/354 წწ.), ლოგოგრაფოსმა ლისიასმა[2] (ძვ.წ. 445–380 წწ.), ფილოსოფოსებმა: დემოკრიტემ (ძვ.წ. 460–370 წწ.), პლატონმა (ძვ.წ. 428–347 წწ.), არისტოტელემ (ძვ.წ. 384–322 წწ.), ეპიკურემ (ძვ.წ. 341–270 წწ.) და სხვებმა.

ამ სწავლულების წიგნებში სიტყვა ἀσφάλεια [ასფალეია] აღნიშნავდა ადამიანის წინდახედულებას და სიფრთხილეს, პიროვნების, საზოგადოებისა და პოლისის, ანუ ქალაქ-სახელმწიფოს ნებისმიერი საფრთხისგან თავის დაცვას, ქალაქ-სახელმწიფოს მყარად მართვასა და სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებას.

ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების მმართველები იყვნენ ბრწყინვალე სამხედრო ლიდერები, მცველები და რეალისტი პოლიტიკოსები, რომლებსაც ჰქონდათ უსაფრთხოებისა და სამეთვალყურეო სტრუქტურები, სადაზვერვო და საკომუნიკაციო ორგანიზაციები, აკონტროლებდნენ სავაჭრო ურთიერთობებსა და გადასახადების მიღებას. ისინი კომერციული და პოლიტიკური აგენტების მეშვეობით უზრუნველყოფდნენ საზოგადოების უსაფრთხოებასა და დაცვას მათი ქალაქ-სახელმწიფოების საზღვრების ფარგლებში. აგრეთვე ერთმანეთთან აფორმებდნენ ხელშეკრულებებს, რომლებითაც მათი უსაფრთხოება და მოქალაქეების საკუთრება დაცული უნდა ყოფილიყო.

ქვემოთ დასამოწმებლად მოტანილია მასალა რამდენიმე ძველი ბერძენი და რომაელი ავტორის თხზულებებიდან, რომლებშიც, შესაბამისად, დასტურდება სიტყვები: ἀσφάλεια [ასფალეია] და «securitas» [სეკურიტას] – „უსაფრთხოება“, „დაცვა“.

თუკიდიდე წიგნში „პელოპონესის ომის ისტორია“ (ძვ.წ. 431–404 წწ.) ხშირად აღნიშნავს, რომ საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოების მმართველების მთავარი მიზანი იყო საკუთარი თავის, ოჯახისა და ქალაქების უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ძალაუფლების განმტკიცებაზე ზრუნვა (Thucydides I.XVII; Smith 1980, I:30, 31). იგი წერს, რომ ათენში მთელი მსოფლიოდან შემოდიოდა სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი, რომლითაც ათენელები უპირატესად სარგებლობდნენ და ამით თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ (Thucydides II.XXXVIII; Smith 1980, I:324, 325). ისინი იზიარებდნენ იმ მოსაზრებას, რომ უპირატესობა მჭიდროდ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან (Thucydides V.CVII; Smith 1959, III:168, 169).

ქსენოფონტი თხზულებაში „კიროპედია“ პირველი ახსენებს ტერმინს „სოფლის მეურნეობის უსაფრთხოებას“ (Xenophon VII.IV.5; Miller 1914, I:252). აქ მან განსაკუთრებული გულისყური არსებითად ისტორიულ-ფილოსოფიური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და შრომის უსაფრთხოების საკითხებისკენ მიმართა და ამ მხრივ დაწერა მრავალი შრომა.

უსაფრთხოების შესახებ სოფოკლე დრამატულ

1 Aeschylus, Suppliant Women 495; Smyth 1922, I:52, 53.
2 Lysias I.42; VIII.7; XVI.13; XXXI.7; Lamb 1967:25, 175, 639.

ნაწარმოებში, რომლის სათაურია „ოიდიპოს მეფე“, ამბობს: „ჰე, ოიდიპოს, ჩემი ქვეყნის მეფეო,.. აღადგინე ქალაქის უსაფრთხოება“ (Sophocles 14, 51; Storr 1962, I:6, 10). ამ პიესაში უმთავრესად გამოკვეთილია ადამიანი და მისი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მოქალაქეთა მიმართ.

დემოკრიტე დიდად დაკვირვებული ადამიანი იყო და ადვილად საზღვრავდა მომავალ საფრთხეებს. ერთხელ შავი ჭირისგან გადაარჩინა ადგილობრივი მოსახლეობა, ამიტომ იგი ქალაქის მმართველადაც კი იყო არჩეული (კუკავა 1959:5). დემოკრიტეს ბევრი სწორი მიხვედრა ჰქონდა. მან გამოთქვა რიგი მოსაზრება სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესებისა და საფრთხეების, კანონისა და წესრიგის, მმართველების, თანამდებობის პირების, მცველების მოვალეობებისა და სამართლიანობის შესახებ (Democritus B248.[139N.]–IV,1,33, B252.[135N.]–43, B255.[146N.]–46, B256.[156N.]–14, B263.[148N.]–45, B265.[116N.]–47, B266.[165N.]–48; Diels 1922, II:110–115; კუკავა 1959:166–168). მისი აზრით, საფრთხეების გათვალისწინებით მოწყობილი სახელმწიფოს გონიერი და ღირსეული მმართველნი, რომლებმაც იციან სახელმწიფოს მართვა, მისი სასარგებლო და საზიანო ქმედებები, კანონებით მოქმედებენ და სახელმწიფოებრივ საქმეებს წარმატებით წარმართავენ (კუკავა 1959:22, 23). ამიტომ იგი წერდა: „ყველას მიმართ ნუ იქნები ეჭვიანი, არამედ [იყავი] ფრთხილი და მტკიცე“ (კუკავა 1959:145; Democritus B91.[223N.]–57; Diels 1922, II:79).

პლატონი, რომელმაც ძვ.წ. 387 წელს ათენში ფილოსოფიის სკოლა – აკადემია (Academia) დაარსა, აღნიშნავდა, რომ „[სახელმწიფოს] მცველებს შორის უნდა ამოვარჩიოთ იმნაირი ხალხი, რომელიც, ჩვენი დაკვირვებით, თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაისახავდა დაუცხრომელ ზრუნვას სახელმწიფოს საკეთილდღეოდ და არასდიდებით არ დათანხმდებოდა, საზოგადო სიკეთის საზიანოდ ემოქმედა“ (ბრეგვაძე 2003:124; Plato III. XIX.412d, 412e; Shorey 1937, I:296, 297).

პლატონმა უსაფრთხოების ღონისძიების გატარება კეთილგონიერ პოლიტიკურ მმართველს, ხელმძღვანელს დაუკავშირა, რომელიც იქნება მეტისმეტად ფრთხილი, სამართლიანი, წინდახედული, გამბედავი, მკვეთრი, ქმედითუნარიანი და სახელმწიფოს წარმატებით გამმართავი (Plato 48.311a, 311b, 311c; Fowler and Lamb 1975, VIII:194, 195).

ურთიერთგანსხვავებული პოლიტიკური მართველობის დროს ერთმანეთში აირია სიმდიდრის, სიღატაკისა და შუალედური მდგომარეობები. ამ მხრივ პლატონი ამბობს: „ადამიანს... აქ ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე, ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა ყველაფერი განზე უნდა გადადოს და, უწინარეს ყოვლისა, იქითკენ მიმართოს მცდელობა, რომ შეძლებისდაგვარად შეიცნოს ეს. იქნებ მიაკვლიოს ადამიანს, რომელიც ასწავლიდა და შეაძლებინებდა ერთმანეთისაგან გაერჩია ცხოვრების უკეთესი და უკეთური წესი, ხოლო იმ შესაძლებლობათაგან, ბედი რომ არგუნებდა წილად, ყველგან და ყოველთვის ამოერჩია უმჯობესი. ამასთანავე, გაეთვალისწინებინა, რა ზემოქმედებას ახდენს სიქველეზე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში... თავისი თავმოყრისა თუ განმხოლოების წყალობით, რათა, ამრიგად, წინასწარვე ეხილა სიკეთე და ბოროტება, რასაც იწვევს მშვენიერების შერწყმა სიმდიდრესა თუ სიღარიბესთან, სულის გარკვეული განწყობილების თანხლებით, და, იმავდროულად, შეეცნო, რას ნიშნავს კეთილშობილური თუ მდაბიური წარმომავლობა, პირადი ცხოვრება თუ სახელმწიფო საქმიანობა, ძლიერება თუ უძლურება, ნიჭიერება თუ უნიჭობა, ან ბუნებით თანდაყოლილი თუ შეძენილი თვისებები სულისა. ყოველივე ამის შეჯერებითა და სულის ბუნების გათვალისწინებით, ადამიანს შეუძლია არჩევანი მოახდინოს ცხოვრების უკეთეს და უკეთურ წესს შორის: უკეთურად ის მიიჩნევს ცხოვრების იმნაირ წესს, რომელსაც იქამდე მივყავართ, რომ სული უსამართლო ხდება, უკეთესად კი – იმას, რომელიც სულს უფრო სამართლიანს ხდის, ყოველივე დანარჩენს კი არას დაგიდევთ. ...ესაა ადამიანის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი“ (ბრეგვაძე 2003:388; Plato, X.XV.618b–618e; Shorey 1980, II:508, 509).

ძვ.წ. 334 წელს პლატონის მოსწავლემ, არისტოტელემ ჩამოაყალიბა ფილოსოფიური სკოლა – ლიკეიონი (Lyceum – „ლიცეუმი“), სადაც ფართოდ ისწავლებოდა მეცნიერებანი, კერძოდ, ლოგიკა, მათემატიკა, ეკონომიკა, პოლიტიკა, ფსიქოლოგია, ეთიკა, რიტორიკა (მჭევრმეტყველება) და სხვა.

ლიკეიონში არისტოტელემ უფრო მკაფიოდ წარმოაჩინა და გამოკვეთა უსაფრთხოების არსი, როგორც სახელმწიფოს გადარჩენის პრობლემა. იგი წერდა: „კანონმდებლებს და იმათ, ვისაც ... სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ, მთავარი საზრუნავი ექნებათ არა სახელმწიფოს ჩამოყალიბების გამო, არამედ მისი გადარჩენის გამო. ნებისმიერი სახელმწიფოსთვის არაა ძნელი იარსებოს ერთი, ორი ან სამი დღე, მაგრამ მთავარია სახელმწიფოს ხსნისა და დაღუპვის საშუალებების გათვალისწი-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ნება... აქედან გამომდინარე, შევეცადოთ შევამზადოთ სახელმწიფოს უსაფრთხოების მეთოდები და ვერიდოთ ყოველივე დამღუპველს. მივიღოთ ისეთი კანონები, იქნება ის დაწერილი, თუ დაუწერელი, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფოს დაცვას. და სახელმწიფოს არ ვუწოდოთ, რომ ესაა დემოკრატიული ან ოლიგარქიული სახელმწიფო, რაც სახელმწიფოს იძულებულს ხდის იზრუნოს იმაზე, რომ ის იყოს ან დემოკრატიული ან ოლიგარქიული და არა იმაზე, რაც მას დღეგრძელს გახდის" (კუკავა 1996, II:57; Aristotle VI.III, 1319b, 1320a, 34–46; Rackham 1959:506, 507).

არისტოტელე წერს, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საჭიროა ქონების გათანაბრების უკეთ მოწესრიგება, რადგან სოციალური გამოსვლები ქონების არასწორი გადანაწილების გამო ხდება (Aristotle II.IV.1226a, II.IV.1266b; Rackham 1959:110–113; კუკავა 1995, I:44, 45). აქვე იგი აღნიშნავს, რომ „ფალეასს [ქალკიდონელი, ძვ.წ. V–IV სს.] სურს თავისი სახელმწიფოს შიგნით ურთიერთობის კარგად მოწესრიგება, მაგრამ საჭიროა ურთიერთობის მოწესრიგება აგრეთვე მეზობელ სახელმწიფოებთან და სხვა ერებთან. საჭიროა აგრეთვე სახელმწიფოს ბრძოლისუნარიანობის განმტკიცება, რაზეც ფალეასი არაფერს ამბობს. იგივე უნდა ითქვას ქონების შესახებაც. საჭიროა სახელმწიფოს ჰქონდეს ქონება არა მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ გარეშე საფრთხისაგან თავდასაცავადაც. მაგრამ არაა საჭირო იმდენი ქონება, რომ ის მეზობელი ძლიერი სახელმწიფოების შურს იწვევდეს, ხოლო ვისაც დიდი ქონება აქვს, არ შეეძლოს თავდაცვა შემოჭრილი მტრისაგან, მაგრამ არც ისე მცირე ქონება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს, რომ არ შეეძლოს წარმატების მიღწევა თანასწორი და მსგავსი ძალის მქონე სახელმწიფოსთან ბრძოლაში" (კუკავა 1995, I:46; Aristotle II.IV.1267a; Rackham 1959:114–117).

არისტოტელეს ამოსავალი დებულება იყო: „სახელმწიფოს გაუმჯობესება შეიძლება ზნეობით, ფილოსოფიით, კანონებით" (კუკავა 1995, I:38; Aristotle II.II.1263b; Rackham 1959:90–93).

საბერძნეთის ცალკეული ქალაქ-სახელმწიფოების მართველობის ფორმები ხელს უშლიდა მისი მთლიანი სივრცის უსაფრთხოებას და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების მოწესრიგებასა და განვითარებას. არისტოტელეს მოსწავლემ, ალექსანდრე დიდმა (ძვ.წ. 356–323 წწ.) შეძლო ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღება და თითქმის ყველა ბერძნული პოლისის ეკონომიკურ-პოლიტიკურად გაერთიანება. მან აგრეთვე დაიქვემდებარა მცირე აზია, ეგვიპტე, სირია, კაპადოკია, ბაბილონი, სპარსეთი და სხვა ქვეყნები და შექმნა ერთი მთლიანი ბერძნულ-სპარსული იმპერია, რომლის დაცვის უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთო-საკაცობრიო კულტურული, ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამართლებრივი იდეების პროგრესისა და განხორციელებისთვის.

ელინური პერიოდის (ძვ.წ. 323–31 წწ.) საზოგადოების განვითარებასთან, მისი სიმდიდრის ზრდასთან ერთად შეიცვალა უსაფრთხოების კრიტერიუმი, მაგრამ ის მაინც ასოცირდებოდა პიროვნების თვითგადარჩენასთან, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და კომფორტის გაზრდასთან (Сенчагов 2015:7). ამ მხრივ ეპიკურე წერდა: „ნამდვილი უსაფრთხოება მოიპოვება მშვიდი ცხოვრებითა და ბრბოსგან განშორებით" (Epicurus XIV; Mühll 1922:54; შდრ. კუკავა 1959:214).

უსაფრთხოების პრობლემის შესახებ შეხედულებათა სისტემის, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რომაელი პოლიტიკოსის, ციცერონის (ძვ.წ. 106–43 წწ.) მოსაზრებები, რომლებიც მან ჩამოაყალიბა ფილოსოფიურ შრომებში.

ციცერონი წიგნში „სახელმწიფოს შესახებ" («De re publica») სახელმწიფოს განმარტავს, როგორც ხალხის, საზოგადოების საქმეს («Res publica»). ხალხი არაა ადამიანთა ყოველგვარი ერთობა, არამედ ხალხია ადამიანთა ისეთი გართიანება, რომელიც ეფუძნება სამართლის საკითხების ირგვლივ თანხვედრასა და საერთო კეთილდღეობას. ხალხმა თავისთვის შეარჩია გარკვეული საცხოვრებელი ადგილი, გამოიყენა ბუნებრივი თავდაცვითი საშუალებები, გაამაგრა ხელოვნური ნაშენითაც და ამგვარ ერთიანობას უწოდა ციხე-სიმაგრე ან ქალაქი (Cicero I.XXV.39, I.XXVI.41; Keyes 1970:64, 65). აქვე იგი ყურადღებას ამახვილებს ქალაქ-სახელმწიფოს საფრთხეებზე, რომლის ასარიდებლად საჭიროა ისეთი თანამდებობის პირი (პოლიტიკოსი), რომელსაც ამის გაკეთების უფლება ექნება (Cicero I.VI.10; Keyes 1970:24, 25).

ციცერონი წიგნში „სიკეთისა და ბოროტების ზღვარის შესახებ" («De finibus bonorum et malorum») წერს, რომ დემოკრიტეს უსაფრთხოება, ანუ სულიერი სიმშვიდე, რასაც დემოკრიტემ εὐθυμία [eu̯tʰumía] – «კარგი სულიერი განწყობილება» უწოდა, არის სულიერი მდგომარეობა, იგივე კურთხე-

ული ცხოვრება. შემდეგ იგი წერს: „[დემოკრიტეს] სურდა ბუნების კვლევის შედეგი კარგი სულიერი განწყობილება ყოფილიყო. ამიტომ უმაღლეს სიკეთეს იგი «კარგ სულიერ მდგომარეობას» უწოდებდა, ხშირად კი – «სიმამაცეს», ე.ი. შიშისაგან თავისუფალ სულიერ მდგომარეობას“ (კუკავა 1959:124; Cicero V.xxix.87; Rackham 1931:490, 491; Democritus B169.[4N.]; Diels 1922, II:54).

რომაელი ისტორიკოსი, ველეიუს პატერკულუსი (ძვ. წ. 19–ახ. წ. 31) წიგნში, „რომის ისტორიაში“ («Historia Romana») ცდილობს აღწეროს რომის იმპერიის მუდმივი უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც, მისი აზრით, იყო ყველაზე მძლავრი მოქმედება სახელმწიფოს მარად არსებობისთვის (Velleius Paterculus II.CIII.4; Shipley 1924:264, 265). აქ ახსენებს ლუციუს პისოს, როგორც „ქალაქის უსაფრთხოების მცველს“ («securitatis urbanae custos») (Velleius Paterculus II.XCVIII; Shipley 1924:254, 255).

რომაელი ფილოსოფოსი, სენეკა (ახ.წ. 4–65 წწ.) თავის წიგნებში რამდენიმე პრაქტიკულ მოსაზრებას გამოთქვამს უსაფრთხოების შესახებ, რომელიც, მისი აზრით, ადამიანს დიდად ხელს უწყობს სწორად ცხოვრებაში. მან „წერილებში ლუციილიუსისადმი ზნეობის შესახებ“ («Ad Lucilium epistulae morales») და „მოწყალების შესახებ“ («De clementia») გამოიყენა ლათინური ტერმინი «securitas publica», რომელსაც შეესატყვისება ინგლისური ტერმინი “the security of the State” – „სახელმწიფოს უსაფრთხოება“ (Seneca LXXIII.2; Gummere 1970, II:104, 105; Seneca I.XIII.1; Basore 1928, I:394, 395).

დასკვნა

ამდენად, ძველი ბერძენი ფილოსოფოსები, ისტორიკოსები და სხვა მოაზროვნები უსაფრთხოების პრობლემას განიხილავდნენ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებთან მჭიდრო კავშირში. ეს მიმართებები მათ წიგნებში ახსნილია ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ურთიერთობებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების კონტექსტში, რომლებიც მოქალაქეების, საზოგადოებისა და მთლიანად სახელმწიფოს უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. სტატიაში განხილული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ძველი საბერძნეთის, აგრეთვე რომის მოქალაქე იყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციოლოგიური ადამიანი (Homo politicus, homo oeconomicus, homo legalicus, et homo sociologicus). პრობლემისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ დასრულებული სახე მიიღო ელინურ პერიოდში, სადაც საბოლოოდ განისაზღვრა და გამოისახა უსაფრთხოების კონცეფციის ეკონომიკურ-პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძვლები. რომაელი ფილოსოფოსები, იურისტები და პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ უსაფრთხოების ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის მიხედვით. უსაფრთხოების საკითხები ოფიციალურად იყო ჩაწერილი კანონმდებლობაში, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციური ურთიერთობები რეგულირდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ბრეგვაძე 2003:** *პლატონი, სახელმწიფო,* ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 392 გვ.

2. **კუკავა 1959:** *დემოკრიტე, ეპიკური, ფრაგმენტები, წერილები,* ძველი ბერძნულიდან თარგმნა, კომენტარები და ნარკვევი დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1959, 238 გვ.

3. **კუკავა 1995, I:** *არისტოტელე, პოლიტიკა,* ნაწილი I, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1995, 135 გვ.

4. **კუკავა 1996, II:** *არისტოტელე, პოლიტიკა,* ნაწილი II, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტება დაურთო თ. კუკავამ, თბილისი, 1996, 118 გვ.

5. **Сенчагов 2015:** Сенчагов В. К. (ред.), *Экономическая безопасность России, Общий курс*, 5-е изд., Москва: Издательство „Бином, Лаборатория знаний“, 2015, 816 стр.

6. **Basore 1928:** *Seneca, Moral Essays*, Vol. I, with an English translation by J.W. Basore, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXVIII, 456 pp.

7. **Diels 1922, II:** Diels, H., *Die Fragmente der Vorsokratiker, Griechisch und Deutsch*, Zweiter Band, Berlin: Weidmannsche Buchhandlung, 1922, 346 S.

8. **Fowler and Lamb 1975, VIII:** *Plato, The Statesman, Philebus, Ion*, with an English translation by H. N.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

Fowler and W. R. M. Lamb, Vol. VIII, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXV, 450 pp.

9. **Gummere 1970, II:** *Seneca, Ad Lucilium epistulae morales*, with an English translation by R. M. Gummere, Vol. II, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLXX, 480 pp.

10. **Keyes 1970:** *Cicero, De re publica, de legibus*, with an English translation by C. W. Keyes, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXVIII, 534 pp.

11. **Lamb 1967:** *Lysias*, with an English translation by W. R. M. Lamb, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXVII, 708 pp.

12. **Miller 1914, I:** *Xenophon, Cyropaedia*, Vol. II, with an English translation by W. Miller, London, William Heinemann, Ltd, New York, The Macmillan Co., MCMXIV, 480 pp.

13. **Mühll 1922:** Mühll, P. von der, *Epicuri epistulae tres et ratae sententiae*, a Laertio Diogene servatae, Lipsiae, in aedibus B.G. Teubneri, MCMXXIl, 70 pp.

14. **Rackham 1931:** *Cicero, De finibus bonorum et malorum*, with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXXl, 512 pp.

15. **Rackham 1959:** *Aristotle, Politics,* with an English translation by H. Rackham, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 684 pp.

16. **Rackham 1961, V:** *Pliny, Natural History*, with an English translation by H. Rackham, Vol. V, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXI, 544 pp.

17. **Shipley 1924:** *Velleius Paterculus, Compendium of Roman History: Res gestae divi Augusti*, with an English translation by Frederick W. Shipley, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXIV, 432 pp.

18. **Shorey 1937, I:** *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. I, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMXXXVII, 536 pp.

19. **Shorey 1980, II:** *Plato, The Republic,* with an English translation by P. Shorey, Vol. II, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 530 pp.

20. **Smith 1959, III:** *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. III: Books V–VI, with an English translation by C. F. Smith, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLIX, 376 pp.

21. **Smith 1980, I:** *Thucydides, History of the Peloponnesian War*, Vol. I: Books I–II, with an English translation by C. F. Smith, Cambridge, MA, Harvard University Press, London, William Heinemann, Ltd, MCMLXXX, 462 pp.

22. **Smyth 1922, I:** *Aeschylus, Suppliant Maidens*, with an English translation by H. W. Smyth, Vol. I, London, William Heinemann, Ltd, New York, G. P. Putnam's Sons, MCMXXII, 426 pp.

23. **Storr 1962, I:** *Sophocles*, Vol. I, with an English translation by F. Storr, London, William Heinemann, Ltd, Cambridge, MA, Harvard University Press, MCMLXII, 420 pp.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

RETROSPECTIVE ANALYSIS OF EXPORTS AND IMPORTS BETWEEN GEORGIA AND THE UNITED STATES

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: June 20, 2022
Published: July 02, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-53

Irma Lang,
PhD student
Tbilisi State University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-6675-3775
E-mail: irmav75@yahoo.com

ABSTRACT

The article analyzes exports and imports between Georgia and the United States during the period from 2015 to 2020. This period is used to calculate the specific weight of the United States trade with Georgia, both in exports and imports. In addition, the article analyzes the advantages of GSP (Generalized System of Preferences) trading regime in Georgian exports, the export-import balance and the relevant conclusions are made based on the obtained results; The commodity structure of Georgia's exports and imports to the United States is also studied. The article shows that a recent Free Trade Agreement is needed to move Georgia and the United States into a new phase in trade relations.

Keywords: *Georgia; USA; GSP; Export; Import; Balance; Commodity structure; FTA.*

REFERENCES:

1. Decree of the Government of Georgia N400 dated June 17, 2014 Tbilisi; (in Georgian);
2. https://history.state.gov
3. https://www.state.gov/countries-areas/georgia/. U.S. Department of State. U.S. Relations with Georgia. October13. 2020
4. https://ustr.gov/
5. Expanding Georgia Exports under the GSP Program. Marideth Sandler. Office of the U.S. Trade Representative. Executive Office of the President. September 2008
6. United States International Trade Commission. Harmonized Tariff Schedule of the United States (2021) Preliminary Revision 3. February 2021 Publication Number: 5161
7. www.census.gov
8. www.geostat.ge
9. www.economy.ge

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტ-იმპორტის რეტროსპექტიული ანალიზი

ირმა ლენგ
დოქტორანტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ.ფოსტა: irmav75@yahoo.com

აბსტრაქტი

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მდგომარეობა აშშ-სთან 2015-2020 წლების პერიოდებზე. შესაბამისად გამოთვლილია აშშ-ის ხვედრითი წონის ამსახველი მაჩვენებლები, როგორც ექსპორტში, ასევე იმპორტში. გაანალიზებულია GSP (Generalized System of Preferences - პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა) სავაჭრო რეჟიმის უპირატესობები საქართველოს ექსპორტში, გამოვლენილია ექსპორტ-იმპორტის სალდო და მიღებული შედეგების მიხედვით გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები; ასევე შესწავლილია აშშ-სთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაც. სტატიაში ნაჩვენებია, რომ ბოლო პერიოდის მანძილზე საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობების ახალ ფაზაში გადასასვლელად საჭიროა FTA (Free Trade Agreement) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო; აშშ; GSP; ექსპორტი; იმპორტი; სალდო; სასაქონლო სტრუქტურა; FTA.*

შესავალი

საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა.[1] ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, რომელთა ეტაპობრივმა განხორციელებამ ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა. 1991 წლის 25 დეკემბერს შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ჰ. ბუშმა გადაწყვეტილება გამოაცხადა და აშშ-მა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო.[2] საქართველოს 1991 წელს საბჭოთა კავშირისგან გამოცალკევებისა და დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, 1992 წელს შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.[3] ამერიკის შეერთებული შტატები არის საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, აგრეთვე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის დიდი მხარდამჭერი.

საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულ 3 500-მდე დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვრცელდება GSP (Generalized System of Preferences - პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა) სავაჭრო რეჟიმი, რაც შეერთებულ შტატებში ქართული პროდუქციის შეღავათიანი საბაჟო განაკვეთით ექსპორტის საშუალებას იძლევა.[4] აშშ-ის GSP-ის რეჟიმი ვრცელდება საქართველოსთვის საექსპორტოდ მნიშვნელოვანი პროდუქციის ფართო სპექტრზე: მინერალურ წყლებზე, ლუდზე, ღვინოზე, სპირტიან სასმელებზე, წარმოებულ საგნებსა და საშუალებებზე, სამკაულებზე, ტყავზე, ხალიჩებზე, სოფლის მეურნეობის გარკვეულ პროდუქტებზე, სპილენძის და ტყვიის მადნებზე, მანგანუმზე და მისი გადამუშავებით მიღებულ პროდუქციაზე, მათ შორის სილიკონმანგანუმზე. [5]

ძირითადი ტექსტი

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობები დინამიკურად ვითარდება. საქართველოდან ჯამური ექსპორტი 2015-2020 წლების განმავლობაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც კარგად ჩანს სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი მაჩვენებლების ანალიზიდან. (იხ. ცხრილი 1). აშშ-ს ხვედრითი წონა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში საკმაოდ სოლიდურია, თუმცა ვაჭრობის მოცულობით ის ჩამორჩება ისეთ მნიშვნელოვან მოთამაშეებს, როგორებიცაა ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი.

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ს www.geostat.ge - ის მონაცემებზე დაყრდნობით. [8]

საქართველოსა და აშშ შორის ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2015-2020 წლებში ის ზრდის ტენდენციით ხასიათდება, გამონაკლისია 2016 წელი, როცა ექსპორტის მოცულობა მკვეთრად შემცირებულია, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი შემცირებული.

ცხრილი 1

აშშ-ს ხვედრითი წონის დინამიკა საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში 2015-2020 წლებში

	ექსპორტი საქართველოდან აშშ-ში		იმპორტი აშშ-დან საქართველოში	
	ათასი აშშ დოლარი	%-ად საქართველოს ექსპორტის მთლიან მოცულობაში	ათასი აშშ დოლარი	%-ად საქართველოს იმპორტის მთლიან მოცულობაში
2015	104 228,3	4,73	254 089,2	3,48
2016	68 276,9	3,22	230 718,2	3,14
2017	121 796,7	4,44	330 964,1	4,11
2018	158 900,0	4,73	500 980,2	5,35
2019	132 251,4	3,48	678 728,4	7,13
2020	80 030,0	2,39	555 287,7	6,92

ამასთან, 2015 წელთან შედარებით, ექსპორტის შემცირების მაჩვენებელმა (35 951,34 ათასი აშშ დოლარი) იმპორტის შემცირების მაჩვენებელს (23 371,0 ათასი აშშ დოლარი) 1,54-ჯერ გადაამეტა, რამაც ექსპორტ-იმპორტის სალდო აღნიშნულ წელს საქართველოს მნიშვნელოვნად შეცვალა. 2016 წლის ექსპორტ-იმპორტის სალდო 2015 წელთან შედარებით - 12 580,37 ათასი აშშ დოლარით გაიზარდა. თუმცა, საანალიზოდ აღებულ 2015-2020 წლების პერიოდში, ექსპორტ-იმპორტის სალდოს მიხედვით, საქართველოსთვის არასახარბიელო მდგომარეობა დაფიქსირდა, რაც კარგად ჩანს მოცემული ცხრილი 2-დან. 2015-2020 წლებში ექსპორტი საქართველოდან აშშ-ში ზრდის მაჩვენებლით ხასიათდება და ზრდა განიცადა, ხოლო იმპორტის მაჩვენებელმა ნახტომისებური ზრდა განიცადა. შესაბამისად ექსპორტ-იმპორტის უარყოფითმა სალდომ მკვეთრად გაზრდილი მაჩვენებლები შეადგინა საქართველოსთვის არასახარბიელოდ. იმპორტის ზრდა არ შეიძლება ყოველთვის განვიხილოთ, როგორც უარყოფითი მოვლენა, ვინაიდან მსოფლიოს N1 ქვეყანა-აშშ-ის უარყოფითი სავაჭრო ბალანსიც იმპორტის მნიშვნელოვანი ზრდით არის გამოწვეული. აქვე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ 2019 წლიდან დაწყებული და 2020 წელს კორონა პანდემიით გამოწვეული კრიზისის ფონზე, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტმა განიცადა მკვეთრი ვარდნა, ხოლო ქვეყნის იმპორტმა მიაღწია მაქსიმუმ ნიშნულს 2019 წელს, ხოლო 2020 წელს იმპორტის მაჩვენებელი შემცირებული იქნა 124 440,7 ათასი აშშ. დოლარით. საანალიზო პერიოდში დაფიქსირდა ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სალდოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (546 477,02) და (475 257,62) ათასი აშშ დოლარი.

მიუხედავად ცხრილი 1-დან ნაჩვენები მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში ექსპორტის და აშშ-დან საქართველოში იმპორტის ხვედრითი წილი საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მთლიან მოცულობაში ძალიან მცირეა, ჩვენი აზრით, აღნიშნული მაჩვენებლები, მომავლის პერსპექტივაში, ზრდის ტენდენციაზე მიუთითებენ. (იხ. ცხრილი 2). აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ GSP-ის რეჟიმი არ ვრცელდება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან უამრავი დასახელების საექსპორტო პროდუქციაზე.

ცხრილი 2

აშშ-სთან საქართველოს ექსპორტ-იმპორტის სალდოს დინამიკა 2015-2020 წლებში

	ექსპორტი ათასი აშშ დოლარი	იმპორტი ათასი აშშ დოლარი	სალდო ათასი აშშ დოლარი
2015	104 228,3	254 089,2	-149 860,93
2016	68 276,9	230 718,2	-162 441,30
2017	121 796,7	330 964,1	-209 167,33
2018	158 900,0	500 980,2	-341 080,19
2019	132 251,4	678 728,4	-546 477,02
2020	80 030,0	555 287,7	-475 257,65

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ს www.geostat.ge - ის მონაცემებზე დაყრდნობით [8]

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2016-2018 წლებში ექსპორტის მოცულობა 68 276,9 ათასი აშშ დოლარიდან 159 900,0 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. აღნიშნული ზრდა დადებითად მოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე, ვინაიდან ექსპორტის ზრდის ხარჯზე ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ზრდის სავალუტო შემოსავლებს.

რაც შეეხება ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ქართულ ექსპორტში აშშ-ის მიმართულებით, მიუხედავად მასში რამდენიმე ათეული განსხვავებული პროდუქტის ჩამონათვალისა, ცალსახად ლიდერობს - ფეროშენადნობები. აშშ-ში აგრეთვე იგზავნება: მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან, ღვინო, ხილისა და ბოსტნეულის წვენები, სპირტიანი სასმელები, ყველი, თხილი, პლასტმასის ნაწარმი, ავეჯი, მისი ნაწილები და სხვა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კატეგორიები: ა) ხელსაწყოები და ინსტრუმენტები ტოპოგრაფიული, ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური და ბ) მსუბუქი ავტომობილები 100%-ით რე-ექსპორტს წარმოადგენენ. აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ფეროშენადნობის ექსპორტის შემცირების მიუხედავად, აშშ-ში საქართველოდან მთლიანი ექსპორტის მოცულობა ზრდის ტენდენციით გამოიკვეთა.

უფრო სრულყოფილი ანალიზისთვის განხილულ იქნა, როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა. გაანალიზდა 2017-2020 წლების ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურების ათეული. საანალიზოდ აღებულ პერიოდში ექსპორტის შემთვევაში გამოიკვეთა ათი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი. ეს ჯგუფებია: ფეროშენადნობები (ფეროსილიკონმანგანუმი); მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან; პლასტმასის ნაწარმი; მინერალური და მტკნარი წყლები; ყურძნის ნატურალური ღვინოები; ხილისა და ბოსტნეულის წვენები; სპირტიანი სასმელები; ყველი; თხილი; ავეჯი და მისი ნაწილები.

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, 2017-2020 წლებში ფეროშენადნობების (ფეროსილიკონმანგანუმი) ექსპორტი 104 241,3 ათასი აშშ დოლარიდან 143 832,1 ათას აშშ დოლარამდე, ანუ 38 %-ით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ 2018-2020 წლებში ფეროშენადნობების (ფეროსილიკონმანგანუმი) ექსპორტმა განიცადა მკვეთრად შემცირება, აღნიშნული კატეგორია საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით დაფიქსირდა მთლიან ექსპორტში. რაც შეეხება ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტს საანალიზოდ აღებულ პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. 2017 წლის ექსპორტის მაჩვენებელმა 1 786,8 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2020 წელს 4 236,5 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც აშშ-ში განხორციელებული მთლიანი ექსპორტის 5,3%-ია. 2017-2020 წლებში გაიზარდა მინერალური და მტკნარი წყლების და გაზიანი სასმელების ექსპორტი. მიუხედავად იმისა,

ცხრილი 3.

ქართული ექსპორტი აშშ-ის ბაზარზე, ძირითადი სასაქონლო ჯგუფები და მათი წილი მთლიან ექსპორტში 2017-2020 წლებში (ათასი აშშ. დოლარი)

	2017	%	2018	%	2019	%	2020	%
ფეროშენადნობები (ფეროსილიკონმანგანუმი)	104,241.3	85.6	143,832.1	90.0	116,835.7	88.3	62,891.5	78.6
მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან	425.9	0.3	1,329.0	0.8	1,372.6	1.0	1,665.8	2.1
ხელსაწყოები და ინსტრუმენტები,ტოპოგრაფიული, ჰიდროგრაფიული (რე-ექსპორტი)	7.8	0.0	7.5	0.0	297.5	0.2	127.8	0.2
ყურძნის ნატურალური ღვინოები	1,786.8	1.5	2,205.4	1.4	2,981.2	2.3	4,236.5	5.3
სპირტიანი სასმელები	52.4	0.0	110.4	0.1	49.9	0.0	206.4	0.3
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	1,716.3	1.4	1,897.0	1.2	2,090.7	1.6	2,026.4	2.5
მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელები	1,709.8	1.4	1,584.0	1.0	1,724.4	1.3	2,748.4	3.4
ყველი	180.3	0.1	266.4	0.2	289.6	0.2	462.7	0.6
თხილი	0.1	0.0	221.0	0.1	72.8	0.1	155.8	0.2
მსუბუქი ავტომობილები (რე-ექსპორტი)	304.8	0.3	428.6	0.3	2,675.8	2.0	1,802.7	2.3
პლასტმასის ნაწარმი	13.8	0.0	262.1	0.2	731.3	0.6	406.4	0.5
ავეჯი და მისი ნაწილები	357.1	0.3	88.1	0.1	487.3	0.4	1,161.5	1.5
სხვა	11,000.0	9.0	7,669.0	4.8	2,642.2	2.0	2,137.9	2.7

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ ს www.geostat.ge - ის და www.census.gov -ის მონაცემებზე დაყრდნობით. [8][7]

რომ აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფში 2018 წელს ექსპორტის მაჩვენებლების შემცირება დაფიქსირდა, მომდევნო 2019-2020 წლების მიხედვით საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებლებით წარსდგა. როგორც უკვე აღინიშნა, ზრდა დაფიქსირდა ხილისა და ბოსტნეულის წვენების მაჩვენებელშიც. 2017-2020 წლის მაჩვენებელი გაზრდილია ყოველწლიურად 21,8%-ით. საკმაოდ გაზრდილი მაჩვენებლები გამოიკვეთა მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან და პლასტმასის ნაწარმის კატეგორიაშიც.

საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, განისაზღვრა თითოეული საექსპორტო სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიან ექსპორტში. ფეროშენადნობების (ფეროსილიკონმანგანუმი) წილი საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში შეადგენს 85,6% (2017 წელს), 90,0% (2018 წელს), 88,3% (2019 წელს) და 78,6% (2020 წელს). ექსპორტის მთლიან მოცულობაში მეორე ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია ყურძნის ნატურალური ღვინოები, რომელიც 2017 წლისთვის ამ სასაქონლო ჯგუფის წილი 1,5% იყო, ხოლო 2018 წელს 1,2%, ხოლო 2019 წელს 2,3% შეადგინა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2020 წელს - 5,3%. რაც შეეხება მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელების ექსპორტის წილის ცვლილებას, საქართველოდან აშშ-ში განხორციელებული ექსპორტის მთლიან მოცულობაში, უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის ექსპორტის პროცენტულ მაჩვენებლებშიც ზრდა დაფიქსირდა. თუ 2017 წელს მინერალური და მტკნარი წყლები და გაზიანი სასმელების წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 1,4% იყო, 2018 წლისთვის მხოლოდ 1,0% შეადგინა, 2019 წლის მაჩვენებლების მიხედვით კი 1,3%-ს, ხოლო 2020 წლისთვის 3,4%-ს გაუტოლდა. 2017-2020 წლებში არათანაბარზომიერად იცვლებოდა ექსპორტში ხილისა და ბოსტნეულის წვენების წილიც. აღნიშნულ სასაქონლო ჯგუფზე 2017 წელს ექსპორტის 1,4% შეაადგინა, 2020 წლისთვის კი 2,5%. შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა მილები და მილაკები, უნაკერო შავი ლითონისაგან კატეგორიის ცვლილებაშიც. 2017 წელს მოცემული სასაქონლო ჯგუფის წილი ექსპორტის მთლიან მოცულობაში 0,3% იყო, 2019 წლისთვის ეს მაჩვენებელი 1%-ს გაუტოლდა, 2020 წელს კი 2,1% შეადგინა. [8][7]

2017-2020 წლებში არათანაბარზომიერი ცვლილებები გამოვლინდა აშშ-დან საქართველოში იმპორტირებულ ძირითად სასაქონლო ჯგუფებში.[6] ცხრილი 4-დან ჩანს, რომ მსუბუქი ავტომობილების იმპორტის სიდიდე აშშ-დან საქართველოში 2017-2020 წლებში მკვეთრად შემცირდა. 2018 წლის იმპორტის მაჩვენებელი 2 258,0 ათასი აშშ. დოლარით არის შემცირებული 2017 წლის მაჩვენებელთან, ხოლო 2020 წლის მაჩველებელი შემცირებულია 2 298,0 ათასი აშშ.დოლარით 2019 წელთან და 4 376,0 ათასი აშშ. დოლარით 2017 წლის მონაცემთან შედარებით. 2019 წელს 2018 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა სატელეფონო აპარატურის და პორტატული ციფრული გამომთვლელი მანქანების იმპორტიც, ხოლო 2020 წელს დაფიქსირდა ზრდის საკმაოდ კარგი მაჩვენებელი ორივე კატეგორიაში. ზრდა დაფიქსირდა, აგრეთვე ტურბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი ძრავების იმპორტის მიხედვითაც. რაც შეეხება კვების პროდუქტებს, 2017-2020 წლებში მან საკმაოდ დიდი ზრდის ტემპი განიცადა.

საქართველოს იმპორტი აშშ-იდან მნიშნელოვნადაა დივერსიფიცირებული, თუმცა მსუბუქი ავტომობილების კატეგორია დომინანტია. საანალიზოდ აღებულ 2017-2020 წლების პერიოდში ყოველ წელს პირველ ათეულში მხოლოდ ექვსი სასაქონლო ჯგუფი მოხვდა. ამათგან ყველაზე დიდი წილი ავტომობილებზე მოდიოდა. თუმცა, ამ სასაქონლო ჯგუფის წილი, წინა წლებთან შედარებით, ზრდა მხოლოდ 2017 და 2018 წლებში დაფიქსირდა, ხოლო 2019-2020 წელს კი შემცირება განიცადა. 2018 წლის იმპორტში ძალიან შემცირდა პორტატული ციფრული გამომთვლელი მანქანების ხვედრითი წილი, რომელმაც 2,4 %-იანი წილიდან მთლიანი აშშ-ს იმპორტში 1,5%-ზე დავიდა მაჩვენებელი 2019 წელს. საკმაოდ ამაღლდა დანარჩენი კვების პროდუქტების წილიც. მკვეთრად გაიზარდა სატელეფონო აპარატების წილი. თუ 2017 წელს ამ სასაქონლო ჯგუფზე აშშ-დან იმპორტის მთლიან მოცულობაში 3,0% მოდიოდა, 2020 წლისთვის უკვე 3,7%-ი შეადგინა, ხოლო ტურბორეაქტიული და ტურბიზრახნიანი ძრავების წილი 2017 წლის 0,4%-იდან 2020 წელს 1,7%-ს მიაღწია. რაც შეეხება აშშ-ის მიერ საქართველოში 2019-2020 წელს განხორციელებული იმპორტის %-ულ ცვლილებას, მეორადი ტანსაცმლისა და ტექსტილის კატეგორია 205,7%-ს შეადგენს, სატელეფონი აპარატების ცვლიელება 151,1%-ია, ხოლო მსუბუქი ავტომობილების %-ულმა ცვლილებამ -3,1%-იანი კლება განიცადა. [9]

აშშ-ის სავაჭრო დეპარტამენტის 2019 წლის მონაცემების თანახმად, საქართველო აშშ-ის მე-100 მსხვილი საქონლის სავაჭრო პარტნიორი იყო, ხოლო 84-ე სიდიდით საქონლის საექსპორტო ბაზარი იყო. 2020 წლის მაჩვენებლები საკმაოდ შეცვლილია, რაც ძირითადად დაკავშირებულია კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული უდიდესი ეკონომიკური და ფინანსური ზარალთან, რომელიც როგორც ინდივიდუალურად სახელმწიფოებს, ასევე, გლობალურ ეკონომიკას მიადგა.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხრილი 4

საქართველოში აშშ-დან იმპორტირებული ძირითადი სასაქონლო ჯგუფები 2017-2020 წლებში ათასი აშშ დოლარი

ათასი. აშშ დოლარი	2017	% აშშ-ს სრული	2018	% აშშ-ს სრული	2019	% აშშ-ს სრული	2020	% აშშ-ს სრული	2019-2020 % ცვლილება
საქართველოს სრული იმპორტი	91,256.0	3.9	98,630.0	3.9	102,077.0	4.1	98,939.0	4.2	-3.1
მსუბუქი ავტომობილები	12,451.0	13.6	10,193.0	10.3	10,373.0	10.1	8,075.0	7.1	47.0
ძრავები, ტუმბორეაქტიული და ტურბოხრახნიანი	354.0	0.4	625.0	0.6	1,596.0	1.6	1,635.0	1.7	2.4
მეორადი ტანსაცმელი	179.0	0.2	170.0	0.2	201.0	0.2	614.0	0.6	205.7
სატელეფონო აპარატები	2,640.0	3.0	2,970.0	3.0	2,443.0	2.4	3,699.0	3.7	151.1
დანარჩენი კვების პროდუქტები	54.0	0.1	2,655.0	2.7	3,036.0	3.0	3,279.0	3.3	8.0
პორტატიული ციფრული გამომთვლელი მანქანები	2,216.0	2.4	2,105.0	2.1	644.0	1.5	2,056.0	2.1	63.3

წყარო: დამუშავებულია ავტორის მიერ www.census.gov - ის ინფორმაციაზე დაყრდნობით. [7]

დასკვნა

დღეისათვის საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარება წარმოადგენს, რომლის დაძლევა სხვადასხვა მიმართულებით ძალიან აქტიურ მუშაობას მოითხოვს. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის არსებობა.

GSP სისტემა მუდმივი არ არის. იგი პერიოდულობით ექვემდებარება გადახედვას. რაც შეეხება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას (FTA), რომელიც ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერების მოხსნასთან ერთად ინვესტიციებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ღონისძიებებსაც ითვალისწინებს მუდმივმოქმედია და თითქმის ყველა საქონელს მოიცავს. მასზე მოლაპარაკებები დიდი ხნის წინ არის დაწყებული. სამთავრობო პროგრამაში 2018–2020 აღნიშნულია, რომ საქართველოს მიზანია აშშ–სთან ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით მუშაობის გაგრძელება, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის ფორმატში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობის განხილვის მიზნით.

საქართველომ აქტიურად უნდა იმუშაოს და თავისი წვლილი შეიტანოს, რათა შესაძლებელი გახდეს აშშ–სთან, როგორც ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (FTA) მოლაპარაკებების დროულად განახლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N400, 2014 წლის 17 ივნისი, თბილისი.
2. https://history.state.gov
3. https://www.state.gov/countries-areas/georgia/. U.S. Department of State. U.S. Relations with Georgia. October13. 2020
4. https://ustr.gov/
5. Expanding Georgia Exports under the GSP Program. Marideth Sandler. Office of the U.S. Trade Representative. Executive Office of the President. September 2008
6. United States International Trade Commission. Harmonized Tariff Schedule of the United States (2021) Preliminary Revision 3. February 2021 Publication Number: 5161
7. www.census.gov
8. www.geostat.ge
9. www.economy.ge

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

TIPS TO INCREASE EMPLOYEE'S MOTIVATION

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: July 04, 2022
Published: July 22, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-59

ZURAB GEGENAVA
Georgian Technical University,
Faculty of Business Technologies,
Doctoral of the Department of Business Administration
ORCID iD: https://orcid.org/0000-0001-7855-5987
Mobile: 577550099
E-mail: gege@innovator.ge

ABSTRACT

Motivation to work is an objective phenomenon. When the work to be done is in the employee's interest, he does his best to do it. This interest can be tangible, intangible, or both.

Scientists have always studied the problem of motivation. Over the years, they have developed many theories. They are: A. Maslow's theory of hierarchy of needs, K. Alderfer theory, D. McClelland's theory, F. Gertzberg's two-factor's theory, Porter-Lawler's theory and others. There are also modern theories of motivation - the theory of three demands, the theory of goal setting, the theory of justice and others. None of the current theories of motivation are universal, i.e. those that could be implemented in companies to increase employee's motivation.

Studies conducted in the USA have shown that 73% of employees work in a "sleeping" state. This means that at the place of employment they do not have the proper motivation to work with all their efforts. The number of people who work enthusiastically is few. Their motivation is the work itself. The rest of the people need a material motive, and not the same, but different, because their social situation and psychological type are different as well.

The motivation of workers, in contrast to less developed countries, is always higher in highly developed countries, because there people have to fight for self-sufficiency. And the majority of workers in poor countries, while his/her and their families survival from starvation is in a question, it does not have the luxury of taking care to know and recognize his cosmic destiny. This is the reality of poor countries. One such underdeveloped and poor country is Georgia, as well as its employed population.

Motivation, whether it is moral or material, gives a person the perseverance to pursue a goal. It is the motivating and directing reason for human behavior [5. p. 16]. Through it, a person's efforts to achieve a goal are more energetic, purposeful and unwavering [6. p. 379-380]. To put it more simply, the efforts of motivated people at work contain three important elements: human energy, direction and strength [7. p. 28-29]. The motive should be selected by the manager in such a way that he can develop all these three elements in the employee. The first element expresses the intensive work of the employee, the second element - correctly directed work, and the third, not once, but continuously, solid work [8. p. 607].

In order to strengthen the motivation of employees, Georgian scientists give the following advice to managers:

- *Choose a hardship pay strategy;*
- *Give employees freedom and independence in performing tasks;*
- *Let them participate in management decisions;*
- *Make them feel respected from your side;*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

- *Plan the work task according to their habits, character and abilities and more.*

As can be seen from this list of tips, Georgian scientists advise managers to be able to choose the right motivator for each employee. They should have a partnership and almost friendly attitude with the employees. In our opinion, to do this, managers should first divide the collective into 4 groups:

The first group: employees who are characterized by an insatiable desire for success in their work.

The second group: employees who need success in their work to be rewarded appropriately.

The third group: employees who are constantly satisfied with the reward they receive for their work.

The Fourth group: employees for whom there is no strong or weak motivator. They are constantly dissatisfied.

In order for the company to achieve its goal, interest and desire through employees, it should be based on the employee's interest. Without this, the company won't be able to receive proper compensation from the employees. For this purpose, the company should systematically study the interests of the employees, as these interests are changing over the time.

Keywords: *motivation; motivator; employed; material motive; spiritual motive.*

REFERENCES:

1. Malashkhia G. Consumer redundancy - a challenge to humanity. Journal: «Economics and Business». V. 12. # 4. 2021. p. 70. (in georgian);
2. Eriashvili N. D., Stoliarenko A. Sh. Psychology of Management. «Fair Georgia». Tb., 2014. p. 199. (in georgian);
3. Robbins S., Jaji T.. Fundamentals of Organizational Behavior. Tb., 2009. p. 84.
4. Shengelia T. International Management. Tb., 2012. p. 499. (in georgian)
5. Kharkheli M., Keshelashvili G. Fundamentals of Management. Tb., 2013. p. 110. (in georgian);
6. Steers R., Mowday and Shapiro D. L. The future of work Motivation Theory, Academy of Management Review, July, 2004. Pp. 379-380.
7. 7.Fritz C., Lamtu and Spreitzer C. M. It's Little ThingsTbat Matter: An Exomination of Knowledge Workers' Emergy Management. Academy of Management Perspectives, August 2011. Pp. 28-29.
8. Robbins S., Coulter M. Fundamentals of Management (translation from English), Tbilisi, TSU Publishing House. 2019. p. 607.
9. Age of Transformation in Business, Synergy Group Articles Collection - Managers Struggle for Success. Tb., 2012. p. 166-167.
10. Low-budget systems of motivation. Synergy Group Articles Collection - Managers Struggle for Success. Tb., 2012. p. 129, 153, 154.
11. Management without a manager. Synergy Group Articles Collection - Managing Contemporary Organizations. Tb., 2018. p. 28.

რჩევები დასაქმებულთა მოტივაციის გასაძლიერებლად

ზურაბ გეგენავა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტი, ბიზნესის
ადმინისტრირების დეპარტამენტის დოქტორანტი
ტელეფონი: 577550099
E-mail: gege@innovator.ge

აბსტრაქტი

შრომისადმი მოტივაცია ობიექტური ფენომენია. როცა შესასრულებელი სამუშაო დასაქმებულის ინტერესებშია, ის ძალისხმევას არ იშურებს მის შესასრულებლად. ეს ინტერესი შეიძლება იყოს მატერიალური, შეიძლება - არამატერიალური, შეიძლება ორივე ერთად.

მოტივაციის პრობლემას ყოველთვის სწავლობდნენ მეცნიერები. წლების მანძილზე მათ მიერ შემუშავდა მრავალი თეორიები. ესენია: ა. მასლოუს მოთხოვნილებების იერარქიის თეორია, კ. ალდერფერის თეორია, დ. მაკ-კლელანდის თეორია, ფ. გერცბერგის ორი ფაქტორის თეორია, პორტერ-ლოულერის თე-

ორია და სხვები. არსებობს მოტივაციის თანამედროვე თეორიებიც - სამი მოთხოვნის თეორია, მიზნის დაყენების თეორია, სამართლიანობის თეორია და სხვები. მოტივაციის დღეს არსებული თეორიებიდან არცერთი არ არის უნივერსალური, ანუ ისეთი რომლის კომპანიებში დანერგვა გააძლიერებდა დასაქმებულთა მოტივაციას.

აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დასაქმებულთა 73% „მძინარე" მდგომარეობაში მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ დასაქმების ადგილზე მათ არა აქვთ მთელი ძალისხმევით მუშაობის სათანადო მოტივი. ადამიანების რიცხვი, რომლებიც ენთუზიამით მუშაობენ ცოტაა. მათი მოტივი თვითონ საქმეა. დანარჩენ ადამიანებს მატერიალური მოტივი სჭირდებათ, თანაც, არა ერთნაირი, არამედ, სხვადასხვანაირი, რადგანაც მათი სოციალური მდგომარეობაც სხვადასხვანაირია და ფსიქოლოგიური ტიპაჟიც.

მუშაკთა მოტივაცია, ნაკლებად მაღალგანვითარებულ ქვეყნებისგან განსხვავებით, ყოველთვის უფრო მაღალია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რადგან იქ ადამიანებს უწევთ ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის. ღარიბ ქვეყნებში კი დასაქმებულთა უმრავლესობას, მაშინ როდესაც მისი და მისი ოჯახის შიმშილისგან გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, არა აქვს იმის ფუფუნება, რომ იზრუნოს თავისი თავის კოსმიური დანიშნულების შეცნობისთვის და აღიარებისთვის. ესაა ღარიბი ქვეყნების რეალობა. ერთი ასეთი ნაკლებგანვითარებული და ღარიბი ქვეყანაა საქართველოც, და, მისი დასაქმებული მოსახლეობაც.

მოტივაცია, მორალური იქნება იგი თუ მატერიალური, მიზნისკენ სწრაფვის შეუპოვრობას აძლევს ადამიანს. იგი ადამიანის საქციელის აღმძრავი და მიმართულების მიმცემი მიზეზია [5. გვ. 16].მისი მეშვეობით პიროვნების ძალისხმევა მიზნის მისაღწევად უფრო ენერგიული, მიზანმიმართული და ურყევია [6. გვ. 379-380]. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქმეზე მოტივირებული ადამიანების ძალისხმევა სამ მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს: ადამიანის ენერგიას, მიმართულებას და სიმტკიცეს [7. გვ. 28-29]. მენეჯერის მიერ მოტივი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დასაქმებულში მან სამივე ეს ელემენტი აამუშაოს. პირველი ელემენტი გამოხატავს დასაქმებულის ინტენსიურ მუშაობას, მეორე ელემენტი - სწორად მიმართულ მუშაობას, მესამე კი, არა ერთჯერად, არამედ, განგრძობად, მყარ მუშაობას [8. გვ. 607].

დასაქმებულთა მოტივაციის გასაძლიერებლად ქართველი მეცნიერები შემდეგ რჩევებს აძლევენ მენეჯერებს:

- აირჩიეთ შრომის ანაზღაურების გამჭირვალობის სტრატეგია;
- მიეცით დასაქმებულებს დავალების შესრულებაში თავისუფლება და დამოუკიდებლობა;
- მიაღებინეთ მონაწილეობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში;
- აგრძნობინეთ თქვენი მხრიდან პატივისცემა;
- სამუშაო დავალება დაუპროექტეთ მათი ჩვევების, ხასიათის და შესაძლებლობების გათვალისწინებით და სხვა.

როგორც რჩევების ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ქართველი მეცნიერები მენეჯერებს ურჩევენ მათ რომ შეძლონ თითოეული დასაქმებულისთვის სწორი მოტივატორის შერჩევა. დასაქმებულებთან უნდა ჰქონდეთ პარტნიორული და თითქმის მეგობრული დამოკიდებულება. ჩვენი აზრით, ამის გასაკეთებლად მენეჯერებმა უპირველესად კოლექტივი 4 ჯგუფად უნდა დაყონ:

პირველი ჯგუფი: *დასაქმებულები, რომელთაც საქმეში მხოლოდ წარმატების დაუოკებელი სწრაფვა ახასიათებთ.*

მეორე ჯგუფი: *დასაქმებულები, რომლებსაც საქმეში წარმატება სჭირდებათ შესაფერისი დაჯილდოვებისთვის.*

მესამე ჯგუფი: *დასაქმებულები, რომლებიც მუდმივად კმაყოფილი არიან იმ ჯილდოსთვის, რასაც გაწეული შრომისთვის იღებენ.*

მეოთხე ჯგუფი: *დასაქმებულები, რომლებისთვისაც ძლიერი და სუსტი მოტივატორი არ არსებობს. ისინი მუდმივად უკმაყოფილონი არიან.*

კომპანიამ რომ დასაქმებულების მეშვეობით მიაღწიოს თავის მიზანს, ინტერესს და სურვილს, მან იგი დასაქმებულის ინტერესზე უნდა დააფუძნოს. ამის გარეშე კომპანია დასაქმებულებისგან სათანადო უკუგებას ვერ მიიღებს. ამ მიზნით, კომპანია სისტემატურად უნდა სწავლობდეს დასაქმებულთა ინტერესებს, რადგან ეს ინტერესები დროთა განმავლობაში იცვლება.

საკვანძო სიტყვები: *მოტივაცია; მოტივატორი; დასაქმებული; მატერიალური მოტივი; სულიერი მოტივი.*

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესავალი

შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულების საფუძველში მოტივაცია დევს. მოტივაცია დაკავშირებულია ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობასთან, რაც დაბადებისთანავე კოდირებულია მასში, და, ამდენად, მოტივაცია ობიექტური ფენომენია. თითოეულ ჩვენთაგანს, ვიქნებით ქვეყნის პრეზიდენტები, ვიცე-პრემიერები, მენეჯერები თუ რიგითი დაქირავებული მუშაკები, ეს მოთხოვნილებები გვაქვს და ისინი მოითხოვენ დაკმაყოფილებას. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ზომიერი, ჯანსაღი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება და არა არაჯანსაღი მომხმარებლური ზედმეტობა, რომელსაც ქართველმა მეცნიერმა გ. მალაშხიამ დღეს „კაცობრიობის წინაშე მდგომი გამოწვევა უწოდა“ [1. გვ. 70].

ძირითადი შინაარსი

შესასრულებელი სამუშაო ადამიანისგან გარკვეულ ცოდნას, უნარებს, ფიზიკურ და გონებრივ ძალისხმევას მოითხოვს., როცა აღნიშნული სამუშაო დასაქმებული ადამიანის ინტერესშია, იგი მას მთელი თავდადებით ასრულებს და, შედეგად, შესრულებული სამუშაოც მაღალი ხარისხისაა. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. ძირითად შემთხვევებში დამსაქმებლები ვერ ახდენენ დასაქმებულის ინდივიდუალობაში იმ ყველაზე იდუმალის იდენტიფიცირებას, რომელსაც მოტივი ეწოდება, და, რომელიც ამოძრავებს, აქეზებს და აგულიანებს ინდივიდს გააკეთოს ეს სამუშაო. მოტივის შინაარსი აისახება დასაქმებულის მიერ საკუთარი ძალისხმევის რეალურ მიმართვაზე, მის ინტენსივობასა და მიღწევის საშუალებების ამორჩევაზე. მოტივი როგორც კანონი, განსაზღვრავს სასურველი შედეგის მისაღებად ადამიანის მისწრაფებას, ხშირად სიცოცხლის ფასადაც კი [2. გვ. 199].

რამოდენიმე საუკუნეა მოტივაციის პრობლემას სწავლობენ ფიზიოლოგები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები, პედაგოგები, პოლიტიკოსები და სხვები. ამ წლების მანძილზე მათ მიერ შემუშავდა მრავალი კონცეფცია, რომელთა შორის თითოეული ავტორი ფიქრობს, რომ სწორედ მის მიერ შემუშავებული კონცეფცია, თუ ტექნოლოგია, მოიტანს გარანტირებულ დადებით შედეგს ადამიანთა მართვაში. დღესდღეობით რომ არცერთ ამ კონცეფციათაგანს უნივერსალურობა არ მოუპოვებია, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერცერთმა მათგანმა პრაქტიკულად ვერ უზრუნველყო უნივერსალურობის მოთხოვნები. სათქმელია ისიც, რომ ეს კონცეფციები - მასლოუს მოთხოვნილების თეორია, თუ ჰერცბერგის ორი ფაქტორის თეორია, თუ სამართლიანობის თეორია, თუ სხვა თეორიები - გასულ წლებშია შექმნილი. დროის გასვლამ შეცვალა მაშინდელი ვითარება. მაგალითად, გლობალიზაციამ წარმოშვა მრავალეროვნული შრომითი კოლექტივები, რომელთა მოტივაციაზე დიდ გავლენას ახდეს მათი კულტურები და სუბკულტურები, წინ წამოიწია დასაქმებულთა ფსიქოლოგიურ მახასიათებლებმაც, რასაც აქამდე არ ექცეოდა ყურადღება, თავისი თავის „დაფასება“ ისწავლეს მაღალპროფესიონალებმაც და სხვა მრავალი.

აშშ-ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დასაქმებულთა 55% თავის სამუშაოს ენთუზიაზმით არ ასრულებს [3. გვ. 84]. საქართველოში რომ ეს გამოკითხვა ჩაატარო ასეთ პირთა პროცენტული დონე შეიძლება 1%-იც არ იყოს, რადგან საქართველოს მოსახლეობა ღარიბია დაბალი ხელფასების და მაღალი ინფლაციის გამო, ისინი აბრამ მასლოუს მიერ შექმნილ მოთხოვნილებების პირამიდის პირველი დონის მოთხოვნილებებსაც კი ვერ იკმაყოფილებენ, რადგან თუ ოჯახიდან ერთი მუშაობს, ოჯახის დანარჩენი უმუშევარი წევრები მის კმაყოფაზე არიან. ასეთ პირობებში ცხადია შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ აშშ-ს დარად საქართველოშიც ენთუზიაზმით მუშაობს დასაქმებულთა 45%, ხოლო ენთუზიაზმის გარეშე 55%.

ენთუზიაზმით მუშაობა არის აბრამ მასლოუს პირამიდის მეხუთე დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის მუშაობა. აბრამ მასლოუს პირამიდაში მოთხოვნილებები იერარქიულად ანუ კიბის საფეხურებად არის დაწყობილი. ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვა პირველი კიბის (ა. მასლოუ მას პირველ დონეს უწოდებს) მოთხოვნილებები. ამიტომ მას პირველ ყოვლისა, მათი დაკმაყოფილების სურვილი უჩნდება და როგორც მასლოუ გვეუბნება თუ ეს სურვილი არ დაიკმაყოფილა, მეორე დონის სურვილებზე ვერ იფიქრებს. ასეთ იერარქიულ დამოკიდებულებაში არიან დანარჩენი დონეებიც. ასეთ დროს, ენთუზიაზმით მუშაობა არის ა. მასლოუს პირამიდის მეხუთე დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის მუშაობა. ეს ადამიანის ნიჭის თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის მოთხოვნილებებია, ანუ ყველაფერი იმ სურვილის რეალიზაციის, რაც მასში უფლის მიერ არის ჩადებული. ეს მისი სულიერი მოთხოვნილებებია, კოსმიური დანიშნულების შეცნობის მოთხოვნილებები. ყველაფერ ამას ერთად ტრან-

სტენდენტული მოთხოვნილებები ეწოდება [4. გვ. 499]. და როგორ ფიქრობთ, საქართველოს ღარიბ მოსახლეობაში რამდენ ადამიანს ვიპოვით ისეთს, რომელიც ყოველგვარი მატერიალური ანაზღაურების გარეშე, სიამოვნებით დასაქმდება ისეთ სამუშაოზე, რომელშიც ის თავისი თავის კოსმიურ დანიშნულებას შეიცნობს? დაგვეთანხმებით, რომ ასეთები ცოტა იქნებიან.

საქართველო ტალანტების ქვეყანაა, - ამბობენ. ეს მართლაც ასეა. ამის მაგალითად დავასახელებთ თუნდაც ამჟამად (მაის-ივნისი) ქართველ ბავშვებში მიმდინარე მუსიკალურ კონკურსს „რანინა“-ს. ვის არ გააკვირვებს მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ენაზე სიმღერების ასეთი შესრულება - სხვადასხვა ხმები, ხმის სხვადასხვა ტემბრები, სხვადასხვა ჟღერადობები! და მათ ყველა ნამღერს ჩვენი ქართული მუსიკის მეტრები ფეხზე უდგებიან „ბრავოს“ შეძახილით და გაოცებულები „ასეთი არაფერი მოგვისმენიაო“, - იძახიან. და ამას აკეთებენ ჩვენი 10-12 წლის ბავშვები - ოთო ბაზერაშვილი, მარიამ ბიგვავა, ნიკოლოზ ხარატი, ვაჩე ღვინიაშვილი და სხვები.

დიახაც, საქართველო ნიჭიერების ქვეყანაა. დიახაც, გვყავდა, გვყავს და კიდევაც გვეყოლება ნიჭიერი ადამიანები, რაღაცა ერთი დავალების შესასრულებლად მოვლენილი ადამიანები და ამ დავალებაზე, ამ საქმეზე უკიდეგანოთ შეყვარებულები, რომელთა სასწორის ერთ პინაზე ეს საქმე დევს, მეორეზე კი - მათი სიცოცხლე. მისცემ ასეთ სამუშაოს - იცოცხლებს, არ მისცემ და მოკვდება. ამ საქმეში ხედავენ ისინი თავის კოსმიურ დანიშნულებას, საკუთარი პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას. ამ საქმეში მათ მატერიალური სტიმული არ სჭირდებათ. თვითონ ეს საქმეა მათი სტიმული. ეს სულიერი სტიმულია, რომელიც არა თუ გადასწონის და გადაფარავს მატერიალურ სტიმულს, არამედ, თითქმის უარყოფს მისი არსებობის საჭიროებას. მთელი მსოფლიოს ისტორიული წარსულიდან განა ერთი და ორი შემთხვევა ვიცით, როდესაც ნახევრად მშიერი და შიშველი ადამიანები კოცონზე დაწვის შიშსაც არ უფრთხოდნენ ისე აკეთებდნენ მეცნიერულ აღმოჩენებს. ასეთები მაშინაც იყვნენ და ეხლაც არიან, მაგრამ ეს ერთეული ადამიანებია. ისინი ყველგან არიან, მაგრამ ცოტანი არიან. დანარჩენ ადამიანებს კი შრომაში მატერიალური სტიმული სჭირდებათ. აი, ასეთი ადამიანების მოტივაციის გაძლიერებაზე უნდა იმუშაონ კომპანიის მენეჯერებმა. ამ საქმეში მათ მეცნიერთა რჩევებიც უნდა მიიღონ, სხვათა გამოცდილებასაც დაუკვირდნენ და, საკუთარ დასაქმებულების ინტერესები და საჭიროებებიც ღრმად შეისწავლონ.

მუშაკთა მოტივაცია, ნაკლებად მაღალგანვითარებულ ქვეყნებისგან განსხვავებით, ყოველთვის უფრო მაღალია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რადგან იქ ადამიანებს უწევთ ბრძოლა თვითდამკვიდრებისთვის. ღარიბ ქვეყნებში კი დასაქმებულთა უმრავლესობას, მაშინ როდესაც მისი და მისი ოჯახის შიმშილისგან გადარჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, არა აქვს იმის ფუფუნება, რომ იზრუნოს თავისი თავის კოსმიური დანიშნულების შეცნობისთვის და აღიარებისთვის. ესაა ღარიბი ქვეყნების რეალობა. ერთი ასეთი ნაკლებგანვითარებული და ღარიბი ქვეყანაა საქართველოც, და, მისი დასაქმებული მოსახლეობაც.

მოტივაცია, მორალური იქნება იგი თუ მატერიალური, მიზნისკენ სწრაფვის შეუპოვრობას აძლევს ადამიანს. იგი ადამიანის საქციელის აღმძრავი და მიმართულების მიმცემი მიზეზია [5. გვ. 16].მისი მეშვეობით პიროვნების ძალისხმევა მიზნის მისაღწევად უფრო ენერგიული, მიზანმიმართული და ურყევია [6. გვ. 379-380]. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საქმეზე მოტივირებული ადამიანების ძალისხმევა სამ მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს: ადამიანის ენერგიას, მიმართულებას და სიმტკიცეს [7. გვ. 28-29]. მენეჯერის მიერ მოტივი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დასაქმებულში მან სამივე ეს ელემენტი აამუშაოს. პირველი ელემენტი გამოხატავს დასაქმებულის ინტენსიურ მუშაობას, მეორე ელემენტი - სწორად მიმართულ მუშაობას, მესამე კი, არა ერთჯერად, არამედ, განგრძობად, მყარ მუშაობას [8. გვ. 607].

აშშ-ში 2005 წელს ჰ. კრუგერის და ე. კილჰამის გამოკვლევებით დადგინდა, რომ დასაქმებუ;ლთა დაახლეობით 73% „მძინარე მდგომარეობაში მუშაობს. მათ არა აქვთ ენერგია ან სურვილი მიცემული დავალების შესასრულებლად“ [8. გვ. 607]. ეს არ არის მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პრობლემა. იგივე მდგომარეობაა საქართველოშიც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ იქ ამ პრობლემას მენეჯერები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები აქტიურად იკვლევენ, რათა გაიგონ ამ პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რადგან კომპანიებში მაღალი შედეგების მისაღწევად მომუშავეთა ძალისხმევა არის მნიშვნელოვანი ორგანიზაციული საკითხი და, როცა აქ ნაპრალი ჩნდება, მასზე პასუხის გაცემაა საჭირო, მისი „ამოვსებაა“ საჭირო.

ვერ ვიტყვით, რომ ქართველი მეცნიერები ამაზე

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

საერთოდ არ ფიქრობენ. ისინი შემდეგ დარიგებებს აძლევენ პრაქტიკოს მენეჯერებს:

1. აირჩიეთ შრომის ანაზღაურების მოცულობების გამჭირვალობის სტრატეგია [9. გვ. 166].

2. მაქსიმალურად გამოიყენეთ არამატერიალური მოტივაციის სტრატეგია [9. გვ. 169].

3. მიეცით მუშაკებს დამოუკიდებელი მოქმედების თავისუფლება და აგრძნობინეთ თქვენი მხრიდან მისდამი ინტერესი და პატივისცემა [10. გვ. 153].

4. კომპანიის ვებ-გვერდზე შექმენით საუკეთესო თანამშრომლის გვერდი [10. გვ. 154].

5. საუკეთესო თანამშრომელს აჩუქეთ ერთი გამოსასვლელი დღე [10. გვ. 154].

6. თანამშრომელს ან მის შვილებს გაუკეთეთ სუბსიდია განათლების დონის ასამაღლებლად [10. გვ. 129].

ამ ჩამონათვალს არ ეტყობა, რომ იგი ღრმა კვლევის შედეგია. ეს იქიდან ჩანს, რომ საქართველოს ღარიბ ქართველ მოსახლეობას (2021 წელი: საშუალო თვიური სულადობრივი შემოსავალი 321 ლარი; ერთი დასაქმებულის თვიური საშუალო ხელფასი 1223 ლარი). დღეს პირველადი მოთხოვნილების (ძირითადად, კვების) დაკმაყოფილების პრობლემა უდგას და არა დასვენების ან აღიარების, რაც ამ რჩევებში არის გამოკვეთილი.

როგორც რჩევების ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ქართველი მეცნიერები მენეჯერებს ურჩევენ მათ რომ შეძლონ თითოეული დასაქმებულისთვის სწორი მოტივატორის შერჩევა. დასაქმებულებთან უნდა ჰქონდეთ პარტნიორული და თითქმის მეგობრული დამოკიდებულება. ჩვენი აზრით, ამის გასაკეთებლად მენეჯერებმა უპირველესად კოლექტივი 4 ჯგუფად უნდა დაყონ:

პირველი ჯგუფი: დასაქმებულები, რომელთაც საქმეში მხოლოდ წარმატების დაუოკებელი სწრაფვა ახასიათებთ.

მეორე ჯგუფი: დასაქმებულები, რომლებსაც საქმეში წარმატება სჭირდებათ შესაფერისი დაჯილდოვებისთვის.

მესამე ჯგუფი: დასაქმებულები, რომლებიც მუდმივად კმაყოფილი არიან იმ ჯილდოსთვის, რასაც გაწეული შრომისთვის იღებენ.

მეოთხე ჯგუფი: დასაქმებულები, რომლებისთვისაც ძლიერი და სუსტი მოტივატორი არ არსებობს. ისინი მუდმივად უკმაყოფილონი არიან.

პირველი ჯგუფის ადამიანები წარმატების წყურვილით შეპყრობილნი არიან და ისინი, განურჩევლად იმისა, ექნებათ ან რამდენი ექნებათ შრომის ანაზღაურება, მათთვის ეს არ არის განმსაზღვრული. განმსაზღვრელი არის შრომის შედეგი - მიზნის მიღწევა. ეს ადამიანები ენთუზიაზმით მუშაობენ.

რჩევების იმ ჩამონათვალიდან, რომელიც ჩვენ მოცემულ ნაშრომში წარმოვადგინეთ, ჩვენი აზრით, ამ ტიპის მუშაკებისთვის მენეჯერს გამოადგება მხოლოდ ერთი რჩევა (#3) - მიეცით მუშაკს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება და აგრძნობინეთ თქვენი მხრიდან მისდამი ინტერესი და პატივისცემა. სწორედ ეს გააკეთა არგენტინაში მდებარე კომპანია „სემკოს“ - გენერალურმა მენეჯერმა რიკარდო ზემლერმა. მისი თანამშრომლების 3/4 სრული თავისუფლებით სარგებლობს. სამუშაო საათების ცნება „სემკო“-ში საერთოდ არ არსებობს. სწორედ რ. ზემლერის გამოცდილებაზე დაყრდნობით სრულად მისაღებია ერთი ქართველი მეცნიერის მიერ ამ ტიპის თანამშრომლების სამართავად მენეჯერებისთვის მიცემული შემდეგი რჩევა: „თუ გსურთ თქვენი თანამშრომლების სრული პოტენციალი გამოავლინოთ, ენდეთ მათ, აგრძნობინეთ, რომ თქვენ პარტნიორები ხართ, მიეცით მათ კომპანიის შესახებ ყველაფრის ცოდნის საშუალება და უფლება. ნუ შებოჭავთ, აზრის გამოთქმის თავისუფლებასთან ერთად, მიეცით არჩევანის თავისუფლება საქმის კეთებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში...“ [11. გვ. 28].

თანამშრომელთა **მეორე ჯგუფისთვის,** რომლებიც შრომობენ მხოლოდ მატერიალური და მორალური წახალისებისთვის, მენეჯერს დასჭირდება ცალკეულ მათგანის ინტერესების შესწავლა. მათ ინტერესებზე მოქმედებს მათი ფსიქოლოგიური ტიპი, ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, კმაყოფაზე მყოფ პირთა რაოდენობა, განათლება, ჯანმრთელობა და სხვა ფაქტორები. კომპანიის პერსონალის მენეჯერს ასეთი აღრიცხვა უნდა ჰქონდეს (პროფესიოგრამები და ფსიქოგრამები გვაქვს მხედველობაში). თუმცა, ხშირად, ეს ინფორმაციაც არ არის საკმარისი, რადგან, დროთა განმავლობაში ინტერესები იცვლება და ერთი და იგივე მოტივი დიდხანს არ მოქმედებს. ასე რომ, მოტივი მუდმივ ცვალებადობაშია და მას სისტემატური შესწავლა სჭირდება. ეს არ არის არც ადვილი და არც ნაკლებშრომატევადი საქმე. მის სისტემატურ კვლევაში ფსიქოლოგის გარდა, მასში კომპანიის პერსონალის მართვის სამსახურის რამდენიმე თანამშრომელი უნდა ჩაირთოს.

თანამშრომელთა **მესამე ჯგუფი** დავტოვოთ ყურადღების გარეშე, რადგან ისინი უპრეტენზიონი არიან და ვიმსჯელოთ **მეოთხე ჯგუფზე** - ყოველთ-

ვის ყველაფრით უკმაყოფილოებზე. ასეთი თანამშრომლების სამსახურიდან გაშვება გამოსავალი არ არის, რადგან მათ უკან მათი ოჯახები დგას, რომელთაც ისინი ინახავენ. არცერთი იმ რჩევათაგანი, რომლებიც ჩვენ ზევით ჩამოვთვალეთ, მათი მოტივირებისთვის არ გამოდგება, რადგანაც „მუდმივი უკმაყოფილება" მათ ხასიათში დევს.

საქართველოს სინამდვილეში ასეთ თანაშრომლებს მენეჯერები ან მაშინვე ათავისუფლებენ სამსახურიდან, ანდა, არ შედიან მათთან კონფლიქტში და არც განსაკუთრებულ დავალებებს არ აძლევენ. ჩვენი აზრით, არცერთი ამ მიდგომათაგანი არ არის სწორი. პირველი იმიტომ, რომ როგორც აღვნიშნეთ, მათ უკან ოჯახები დგას, მეორე კი იმიტომ, რომ თუ მენეჯერები მოერიდებიან მათ, ისინი კიდევ უფრო გათამამდებიან და თავიანთ პრეტენზიებს გააფართოვებენ, სხვებსაც ჩაითრევენ და დაანგრევენ კომპანიას.

რადგან მათი მოტივირება, თუნდაც მაღალი ხელფასით, შეუძლებელია, საჭიროა მენეჯერები კი არ განუდგნენ და დაშორდნენ მათ, არამედ პირიქით, დაუახლოვდნენ - ზედმეტადაც კი, მისცენ თავისუფლება და საშუალება მიიღონ გადაწყვეტილებები, თუნდაც ეს გადაწყვეტილებები არ იყოს ყველაზე საუკეთესო ან ერთ-ერთი საუკეთესო. ასეთ შემთხვევაში ისინი იგრძნობენ პასუხისმგებლობის სიმძიმეს და თუ მათი გადაწყვეტილება შედეგს არ მოიტანს, ეს მათ დაანახებს თუ სად გადის მათი შესაძლებლობების ზღვარი და მაშინ, მხოლოდ მაშინ ისინი ან მოერევიან მენეჯერის ამ გამოწვევას, ან მიხვდებიან, რომ ასეთი ამოცანების გადაჭრა მათ ძალებს აღემატება და თუ უკეთესობისკენ არ შეიცვლებიან, ალბათ, დატოვებენ კომპანიას. რა გვიშლის ხელს ჩავატაროთ მათზე ეს ექსპერიმენტი.

დასკვნა

მსოფლიოში არ არსებობს შრომისადმი მოტივირების ისეთი მექანიზმი, რომელიც ყველა დასაქმებულს ერთნაირად წააქეზებს და შეაგულიანებს მაღალი შედეგის მისაღწევად. ამის მიზეზია დასაქმებულთა სხვადასხვა ინტერესი, სულიერი და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების პრევალირება, ხასიათი, ტრადიცია, კულტურა და სუბკულტურა და მრავალი სხვა.

კომპანიამ რომ დასაქმებულების მეშვეობით მიაღწიოს თავის მიზანს, ინტერესს და სურვილს, მან იგი დასაქმებულის ინტერესზე უნდა დააფუძნოს. ამის გარეშე კომპანია დასაქმებულებისგან სათანადო უკუგებას ვერ მიიღებს. ამ მიზნით, კომპანია სისტემატურად უნდა სწავლობდეს დასაქმებულთა ინტერესებს, რადგან ეს ინტერესები დროთა განმავლობაში იცვლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალაშხია გ. მომხმარებლური ზედმეტობა - გამოწვევა კაცობრიობის წინაშე. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი". ტ. 12. #4. 2021. გვ. 70.

2. ერიაშვილი ნ. დ., სტოლიარენკო ა. შ. მენეჯმენტის ფსიქოლოგია. „სამართლიანი საქართველო". თბ., 2014. გვ. 199.

3. რობინზი ს., ჯაჯი ტ. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები. თბ., 2009. გვ. 84.

4. შენგელია თ. საერთაშორისო მენეჯმენტი. თბ., 2012. გვ. 499.

5. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2013. გვ. 110.

6. რობინზი ს., კოულტერი მ. მენეჯმენტის საფუძვლები (თარგმანი ინგლისურიდან), თბ., თსუ გამომცემლობა. 2019. გვ. 607.

7. გარდატეხის ასაკი ბიზნესსი, სინერჯი ჯგუფის სტატიების კრებული, - მენეჯერების ბრძოლა წარმატებისთვის. თბ., 2012. გვ. 166-167.

8. მოტივაციის მცირებიუჯეტიანი სისტემები. სინერჯი ჯგუფის სტატიების კრებული - მენეჯერების ბრძოლა წარმატებებისთვის. თბ., 2012. გვ. 129, 153, 154.

9. მენჯმენტი მენეჯერის გარეშე. სინერჯი ჯგუფის სტატიების კრებული - თანამედროვე ორგანიზაციების მართვა. თბ., 2018. გვ. 28.

10. Steers R., Mowday and Shapiro D. L. The Euturef work Motivation Theory, Academy of Management Review, July, 2004. Pp. 379-380.

11. Fritz C., Lamtu and Spreitzer C. M. It's Little ThingsTbat Matter: An Exomination of Knowledge Workers' Emergy Management. Academy of Management Perspectives, August 2011. Pp. 28-29.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

THE ROLE OF INVESTMENTS IN THE ENERGY SECTOR

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 24, 2022
Published: October 05, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-66

Demur Chomakhidze
Doctor of Economic Sciences, Professor
ORCID iD:
https://orcid.org/0000-0003-1469-9417P
E-mail: demurchomakhidze@yahoo.com

Lia Gvazava
Doctor of Business Administration
ORCID iD:
https://orcid.org/0000-0002-4785-9950
E-mail: lica.gvazava@gmail.com

ABSTRACT

The paper presents statistical data on electricity generation and consumption in Georgia in 2015-2020. Also the investments made in the same years, both separately in the electricity generation activity and in the electricity sector as a whole. In addition, the consequences of the unbalanced development of the economy and energy are discussed and the close relationship between electricity consumption and real GDP growth is shown. According to the authors, in order to reduce tariffs and improve technical economic indicators, it is necessary to implement scientific, technological and managerial progress faster than the volume of investments.

Key words: *electricity generation, electricity consumption, tariffs, investments, scientific technological progress, managerial progress.*

REFERENCES:

1.Chomakhidze D., Comprehensive tariff analysis and the paradigm of its change, Journal of the National Academy of Sciences of Georgia "Moambe" No. 4, 2021

2. Chomakhidze D., Energy and Society, 2011

3. Materials of the National Statistical Service of Georgia, 1994

4. Annual reports on the activities of the National Energy and Water Supply Regulatory Commission of Georgia, 2015-2020

5. D. Narmania, D. Chomakhidze, Energy balance of Georgia during the years of independence, Globalization and Business magazine No. 9, 2020

6. Papava p. On the reflection of coronamix in economic science and economic policy, Proceedings of the 3rd National Conference, 2020

7. Sulakadze L. Dissertation - Investments in the electricity sector of Georgia and their financial results, 2019

8. Gvazava L. Dissertation - Audit of the costs of natural monopolies in the electric power industry for the purposes of regulation, 2019

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ინვესტიციების როლი ენერგეტიკის სექტორში

დემურ ჩომახიძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ელ. ფოსტა: demurchomakhidze@yahoo.com

ლია გვაზავა
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
ელ. ფოსტა: lica.gvazava@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების შესახებ 2015-2020 წლებში. ასევე ამავე წლებში განხორციელებული ინვესტიციები, როგორც ცალკეულად ელექტროენერგიის წარმოების საქმიანობაში ასევე, ჯამურად ელექტროენერგეტიკის სექტორში. ამასთან, განხილულია ეკონომიკისა და ენერგეტიკის განვითარების დაუბალანსებლობის შედეგები და ნაჩვენებია ელექტროენერგიის მოხმარებისა და მშპ-ის რეალური ზრდის მჭიდრო დამოკიდებულება. ავტორთა აზრით, იმისათვის, რომ ტარიფები შემცირდეს და გაუმჯობესდეს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები აუცილებელია მეცნიერულ-ტექნოლოგიური და მენეჯერული პროგრესის დანერგვის უფრო სწრაფი ტემპი, ვიდრე განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა.

საკვანძო სიტყვები: *ელექტროენერგიის წარმოება, ელექტროენერგიის მოხმარება, ტარიფი, ინვესტიციები, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, მენეჯერული პროგრესი.*

შესავალი

ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების საფუძველთა საფუძველს ძლიერი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი წარმოადგენს. იგი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, ასრულებს წამყვან როლს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, ეკონომიკის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში; წარმოადგენს სამეურნეო რთული ორგანიზმის მაცოცხლებელ ძარღვს და მთლიანად, ცივილიზაციის ერთ-ერთ საფუძველს. იგი განაპირობებს ბუნებაზე ადამიანის საიმედო და საყოველთაო ბატონობის დონესა და დინამიკას, ჰქმნის აუცილებელ წანამძღვრებს ცხოვრების დონის ამაღლებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის. ეს ნათლად დაადასტურა რუსეთ-უკრაინის ომმა, რომელმაც მყისვე გამოიწვია მთელ მსოფლიოსი ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისი.

ძირითადი ნაწილი

რამდენადაც სასარგებლოა ელექტროენერგიის გამოყენების სფეროს გაფართოება, იმდენადვეა საზიანო და დამანგრეველიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მისი შემცირება. ეს ნათლად გამოჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირველ წლებში (1991-1995წწ.). ცნობილია, რომ საქართველოში 1990 წლიდან მოყოლებული ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება მკვეთრად შემცირდა. 1994 წელს, ქვეყანაში წარმოებულ იქნა მხოლოდ 7 მლრდ. კვტ. სთ. ანუ 1989 წელს მიღწეული მაქსიმალური დონის 43%. ელექტროენერგიის წარმოების 1994 წლის დონე კი საქართველოში ჯერ კიდევ 1968 წელს – 26 წლის წინ აღინიშნა. ე.ი. ამ სფეროში ქვეყანამ მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნით დაიხია უკან. უმთავრესად სწორედ ამან დასწია უკან ეკონომიკა 36 წლით, ხოლო ზოგიერთი მისი დარგი – ნახევარი საუკუნით და მეტად (იხ. ცხრილი 1).

ეს ფაქტი იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ რეცესიის პერიოდისათვის ნიშანდობლივია მშპ-ის უფრო მეტი შემცირება ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების შემცირებასთან შედარებით. რამდენადაც ეს კანონზომიერია, იგი ნათლად გვიჩვენებს ენერგეტიკის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის სიცოალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მაშასადამე, ცხრილში მოტანილ მონაცემებში ასახულია ეკონომიკისა და ენერგეტიკის განვითარების დაუბალანსებლობის შედეგი და, შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. საბჭოთა წლებში ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა ეკონომიკის განვითარების ტემპს და ამას გარკვეული ნეგატიური შედეგები მოჰქონდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. დამოუკიდებლობის პირველ წლებში კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ამ პერიოდში ელექტროენერგიის წარმოების ზრდის ტემპი კი არ მცირდებოდა, არამედ ეს მაჩვენებელი იკლებდა

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

აბსოლუტურად, თანაც მაღალი ტემპით. შედეგებიც კატასტროფული იყო. უმთავრესად სწორედ ელექტროენერგიის წარმოების ერთი ერთეულით დაცემამ წარმოებული ეროვნული შემოსავალი 1.27 ერთეულით შეამცირა, მრეწველობის პროდუქცია – 1.38, სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1.88 და რკინიგზის ტრანსპორტის პროდუქცია – 2.08 ერთეულით.

ბოლო წლებში (2008-2019) საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარებისა და მშპ-ის რეალური ზრდის მჭიდრო დამოკიდებულება ნაჩვენებია დიაგრამა 1-ში.

ენერგეტიკის არასაკმარისი განვითარება, ცხადია, ნეგატიურად აისახა საქართველოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც. სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრების დონის მაჩვენებლები საქართველოში გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ენერგეტიკულად შედარებით უკეთ უზრუნველყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. საქართველოში ყველა სახის შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1994 წლის ბოლოს დაახლოებით 7-7.5 ამერიკული დოლარის ეკვივალენტურ თანხას შეადგენდა, რაც ოთხწევრიანი ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული მინიმალური სამომხმარებლო კალათის – სიღარიბის ზღვრის ღირებულების 44% იყო. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთში ანალოგიური მაჩვენებელი 163%-ს, ანუ თითქმის 4-ჯერ მეტს შეადგენდა. ჩატარებული

ცხრილი 1

საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების შემცირებისა და ეკონომიკის დაქვეითების მაჩვენებლები 1994 წელს

მაჩვენებლები	1994 წლის დონე შეესაბამება	დაქვეითება 1994 წელთან შედარებით	კოეფიციენტი
ელექტროენერგიის წარმოება	1968 წელს	26 წელი	1.0
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	1961 წელს	33 წელი	1.27
მრეწველობის პროდუქცია	1958 წელს	36 წელი	1.38
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	1945 წელს	49 წელი	2.08
რკინიგზის ტრანსპორტით ტვირთის გაგზავნა	1940 წელს	54 წელი	2.08
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება	1961 წელს	33 წელი	1.27



დიაგრამა 1

ცხრილი 2

ელექტროენერგიის წარმოება და მოხმარება

წლები	ელექტროენერგიის წარმოება		ელექტროენერგიის მოხმარება	
	მლნ კვტსთ	%	მლნ კვტსთ	%
2015	10 832,6	100,0	11 291,7	100,0
2016	11 573,6	106,8	12 693,2	112,4
2017	11 530,4	106,4	13 066,3	115,7
2018	12 148,5	112,1	13 455,9	119,2
2019	11 856,8	109,5	13 380,8	118,5
2020	11 159,8	103,0	12 412,6	109,9

ცხრილი 3

განხორციელებული ინვესტიციები

წლები	ელექტროენერგიის წარმოება		ელექტროენერგეტიკაში ჯამურად	
	მლნ კვტსთ	%	მლნ კვტსთ	%
2015	46,0	100,0	126,0	100,0
2016	82,0	178,3	280,3	222,5
2017	55,0	76,1	290,3	230,4
2018	40,7	88,5	223,8	177,6
2019	48,9	106,3	220,1	174,7
2020	64,0	139,1	286,3	227,2

გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში ამ წელს მოსახლეობის 58% სრულად ვერ იხდიდა კომუნალური მომსახურების საფასურს, 72% არაფერს ხარჯავდა ჩასაცმელზე და 74% - გართობაზე. 1994 წელს საექსლუატაციოდ არ ჩაბარებულა წარმოებრივი დანიშნულების არც ერთი ობიექტი. გართულდა დემოგრაფიული ვითარებაც. მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობების გამო, ოფიციალური მონაცემებით, ამ წელს საქართველო დატოვა დაახლოებით 60 ათასმა კაცმა. ქვეყნიდან დროებით ან მუდმივად გასულთა ნახევარზე მეტი კი ქართველები იყვნენ.

ტარიფებზე მოქმედ ფაქტორთა შორის მთავარია განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მეცნიერულ და მენეჯერულ პროგრესზე. ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს დარგის განვითარებაზე მოქმედი ბუნებრივი პირობების გაუარესების გავლენის შემცირებას. მაშასადამე, იგი უფრო წინმსწრების უნდა იყოს ბუნებრივი პირობების გაუარესებაზე. ამ შემთხვევაში მიღწეულ იქნება ელექტროენერგიის წარმოების ზრდის და უფრო მაღალი ტემპი ეკონომიკის წარმატებული განვითარებისთვის საჭირო ენერგიის მოხმარების, ვიდრე იზრდება ინვესტიციები.

ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოს პირობებში (იხ. ცხრილი 2) სადაც მოცემულა განხორციელებული ინვესტიციების და ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების მოცულობები 2015-2020 წლებში.

ცხრილი 2 გვიჩვენებს, რომ 2015-2020 წლებში ელექტროენერგიის წარმოება გაიზარდა 3%-ით, ხოლო მოხმარება 9,9%-ით. შედეგად ელექტრო ბალანსი იყო დეფიციტური და საჭირო გახდა ენერგიის იმპორტი, რომელმაც თავისი გავლენა იქონია სამომხმარებლო ტარიფებზე.

ცხრილი 3-ში ჩანს, რომ ელექტროენერგეტიკაში განხორციელებული ინვესტიციები საკვლევ

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

წლებში გაიზარდა 27,2%-ით, მათ შორის, წარმოებაში - 39,1%-ით; ე.ი ორივე შემთხვევაში ინვესტიციების ზრდის ტემპი გაცილებით მეტია, ვიდრე ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარებასა და ინვესტიციებს შორის. აღნიშნული დამოკიდებულებით გვექნება არასასურველი მდგომარეობა - გაიზრდება ტარიფები, გაუარესდება სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ენერგეტიკის განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოცულობას და ელექტროენერგიის დანაკლისით გამოწვეული ეროვნული შემოსავლის შესაძლო ზარალს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი 5-ჯერ მეტია პირველზე. მაშასადამე, საქართველოს პირობებში ეკონომიკისა და ელექტროენერგეტიკის განვითარების დაუბალანსებლობა უფრო მეტ ზარალს იძლევა, ვიდრე ამ დარგის განვითარებისათვის არის საჭირო კაპიტალური დაბანდებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩომახიძე დ., ტარიფების კომპლექსური ანალიზი და მისი ცვლილების პარადიგმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალი „მოამბე“ №4, 2021 წელი

2. ჩომახიძე დ., ენერგეტიკა და საზოგადოება, 2011 წელი

3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები, 1994 წელი

4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის საქმიანობის წლიური ანგარიშები, 2015-2020 წლები

5. დ. ნარმანია, დ. ჩომახიძე, საქართველოს ენერგეტიკული ბალანსი დამოუკიდებლობის წლებში, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზენი“ №9, 2020 წელი

6. პაპავა ვ. ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონამიქსის ასახვის შესახებ, მე-3 ეროვნული კონფერენციის მასალები, 2020 წელი

7. სულაკაძე ლ., სადისერტაციო ნაშრომი - საქართველოს ელექტროენერგეტიკის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები და მისი ფინანსური შედეგები, 2019 წელი

8. გვაზავა ლ. სადისერტაციო ნაშრომი - ელექტროენერგეტიკული სექტორის ბუნებრივი მონოპოლიების დანახარჯების აუდიტი მარეგულირებელი მიზნებისთვის, 2019 წელი

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

BRANDING IN TOURISM BY USING DIGITAL MARKETING

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: September 22, 2022
Published: October 04, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-71

Sofiko Tevdoradze
Busines Administration, PhD Degree
Professor of Guram Tavartkiladze
Teaching University
ORCID iD:
https://orcid.org/0000-0002-1668-051X
E-mail: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge

Nino Bakradze
Master's Degree in Public Administration
Assistant Professor of Guram Tavartkiladze
Teaching University
ORCID iD:
https://orcid.org/0000-0001-9049-9981
E-mail: nini.bakradze@gttu.edu.ge

ABSTRACT

By the beginning of the 20th century, in the worldwide economy and culture, Tourism Sector was established as a fundamental, sustainable development branch, which occupied a special place in the global economic structure. Along with the development of the tourism market, great importance is attached to the branding of both the destination and the tourism company. In the modern market, it has become clear that only a company that creates a really strong brand, can ensure a successful existence.

In the modern world, the development of social media has led to a boom in tourism. In the article, the authors emphasize the necessity of using digital marketing strategies, because, today the countries of the world are involved in marketing wars, and the way of success of modern tourism also indicates the necessity of using digital marketing strategies. Effective digital marketing develops Tourism sector.

One of the new trends in the tourism sector is brand building through digital marketing. The article is an overview of brand building using digital marketing; on particular: it is about the creation of modern websites and the focus is on the use of digital marketing tools such as: AR and VR (Augmented Reality and Virtual Reality) technologies; One of the most budget tools - e-mail marketing development; mobile travel applications; Blogging and more. The article is based on the study, where the challenges and prospects of using digital marketing in the Georgian tourism industry are examined based on a comparative analysis.

***Keywords**: branding; digital tourism; digital marketing.*

REFERENCES:

1. Iashvili G., Kokiauri L. - Brand Management Publishing House GTU, Tbilisi 2012;
2. Tevdoradze S. Branding and its Role to Strengthen Tourism Organizations, Publishing House "Universali" Tbilisi 2016;
3. Digiorgio, V. Impact of promotional tools on reservation channels management: A descriptive model of Italian accommodation facilities. *Information Technology & Tourism*, 16, 347-373. 2016;
4. Labanauskaitė, D., Fiore, M. & Stašys, R. Use of E-marketing tools as communication management in the tourism industry. *Tourism Management Perspectives*, 34, 100652. 2020.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ბრენდინგი ტურიზმში ციფრული მარკეტინგის გამოყენებით

სოფიკო თევდორაძე
ბიზნესის მართვის დოქტორი,
გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი
ელ.ფოტა: sofo.tevdoradze@gttu.edu.ge

ნინო ბაქრაძე
სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი,
გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი
ელ.ფოსტა:nini.bakradze@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

XX საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიო კულტურასა და ეკონომიკაში ტურიზმი ფუძემდებლურ, მდგრადი განვითარების დარგად ჩამოყალიბდა, რომელმაც გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ტურისტული ბაზრის განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც დანიშნულების ადგილის ასევე, ტურისტული კომპანიის ბრენდინგს. თანამედროვე ბაზრის პირობებში ცხადი გახდა, რომ წარმატებული არსებობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ნამდვილად ძლიერი ბრენდის შემქმნელ კომპანიას.

თანამედროვე სამყაროში, სოციალური მედიის განვითარებამ ტურიზმის ბუმი გამოიწვია. სტატიაში ავტორების მიერ აქცენტირებულია ციფრული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობა, ვინაიდან დღეს მსოფლიოს ქვეყნები მარკეტინგულ ომებში არიან ჩართული და თანამედროვე ტურიზმის წარმატების გზაც, სწორედ სხვადასხვა ციფრული მარკეტინგული სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს. სწორედ, ეფექტური ციფრული მარკეტინგი მოსვენებას არ აძლევს ტურიზმს და ავითარებს ამ სექტორს.

ტურიზმის სექტორში ერთ-ერთი ახალი ტრენდია ბრენდის შექმნა ციფრული მარკეტინგის მეშვეობით. სტატია წარმოადგენს მიმოხილვას ციფრული მარკეტინგის გამოყენებით ბრენდის შექმნის თაობაზე. კერძოდ: საუბარია თანამედროვე ვებ-გვერდების შექმნაზე და ყურადღება გამახვილებულია ციფრული მარკეტნიგის ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებაზე როგორიცაა: AR და VR (Augmented Reality and Virtual Reality) ტექნოლოგიები; ერთ-ერთი ყველაზე ბიუჯეტური ინსტრუმენტი - e-mail მარკეტინგის განვითარება; მობილური მოგზაურობის აპლიკაციები; ბლოგინგი და სხვა. სტატია ეფუძნება სამაგიდო კვლევას, სადაც შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესწავლილია ქართული ტურიზმის ინდუსტრიაში ციფრული მარკეტინგის გამოყენების გამოწვევები და პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: *ბრენდინგი; ციფრული ტურიზმი; ციფრული მარკეტინგი.*

შესავალი

საინფორმაციო-ტექნოლოგიების განვითარებამ მრავალი ინდუსტრიის იმიჯი შეცვალა, განსაკუთრებული, თვალსაჩინო ასახვა კი, ტურისტული კომპანიების იმიჯზე ჰპოვა. საინფორმაციო-ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ტურიზმში ახალი ერა წარმოშვა - ახალი შესაძლებლობებით და ახალი გამოწვევებით, რომლის შედეგადაც დაიწყო ე.წ. ციფრული ტურიზმის ერა. ციფრული ტურიზმი გულისხმობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინსტრუმენტების, IT მექანიზმების გამოყენებას, რომელიც ეხმარება ტურისტების მოთხოვნების დაკმაყოფილებას და რომელიც ტურიზმის ინდუსტრიაში აუმჯობესებს კომპანიების და ორგანიზაციების მენეჯმენტს, ბიზნესს უფრო სწრაფს, მომგებიანს და საინტერესოს ხდის.

გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, რომელმაც ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა, მათ შორისაა, რა თქმა უნდა, ტურიზმის სექტორი თავისი სარეკლამო კამპანიებით. ციფრული მარკეტინგი თანამედროვე ტურიზმის სფეროს წარმატების გზაა. ამ კონტექსტში, მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციები და ეროვნული ტურისტული კომპანიები კომუნიკატორის როლს ასრულებენ, რომლებიც ცდილობენ ტურისტული ქვეყნის დადებითი იმიჯი გამოიტანონ გლობალური ტურიზმის დღის წეს-

რიგში, რისთვისაც, ისინი ბრენდინგს იყენებენ, ავითარებენ ციფრულ მარკეტინგს, რათა მათი ქვეყანა მეტად სასურველი გახადონ ტურისტებისთვის. დღეს, ტურიზმის სექტორში ერთ-ერთი ახალი ტრენდია ბრენდის შექმნა ციფრული მარკეტინგის მეშვეობით.

მარკეტინგულ კვლევებში ბრენდირება ცენტრალურ ადგილს იკავებს და ერთგვარ „მარკეტინგულ იარაღად" გვევლინება. ბრენდი ეს არის წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც დასახელების, სიმბოლოსა და გარეგნული იერის ზემოქმედებით მომხმარებლის ცნობიერებაში ჩნდება და ის ცალსახად უკავშირდება განსაზღვრულ საქონელსა და მომსახურებას. ბრენდს ნებისმიერი ეკონომიკური განმარტების თანახმად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსკუთრებული თვისებები აქვს. ეს არის საქონლისა და მომსახურების მყიდველების პოზიტიური ან ნეგატიური ხასიათის ფუნქციური და ემოციური ასოციაციები. ისინი განსხვავებულ გავლენას ახდენენ მყიდველის ტიპებზე. მიუხედავად ამისა, ყოველ ბრენდს აქვს მისი არსის განმსაზღვრელი ძირითადი მახასიათებლები. სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ბრენდის ინდივიდუალურობას. [იაშვილი გ. და სხვ., 2012]

თანამედროვე სამყაროში ტურისტულ კომპანიებს უნდა ჰქონდეთ ციფრული მარკეტინგული სტრატეგიები და ამ, ახალი ტექნოლოგიების ერაში და ციფრული მარკეტინგის პროცესებში, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწორედ ტექნოლოგიების უპარატესობაზე ბრენდინგში.

მსოფლიოს ქვეყნები მარკეტინგულ ომებში არიან ჩართული და ავითარებენ ტურიზმს სხვადასხვა მარკეტინგული სტრატეგიების მეშვეობით. სოციალური ქსელების განვითარებამ ტურიზმის ბუმი გამოიწვია. ბევრი ქვეყანა მნიშვნელოვან ინვესტიციებს სწორედ ციფრული მარკეტინგის დანერგვაში დებს, რის შედეგადაც უფრო მეტ თანხას ღებულობს ქვეყნების ეკონომიკა. მაგ;. უკანასკნელი წლების განმავლობაში ხორვატიის ტურიზმი კონკურენტი გახდა ისეთი მასშტაბური ტურისტული ქვეყნების, როგორიცაა: ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, საბერნეთი, თურქეთი. ყოველივე ეს ხორვატიის ტურიზმის სფეროში მარკეტინგული ცვლილებების შედეგია. აღსანიშნავია, რომ წლების წინ ხორვატიის, როგორც ტურისტული ქვეყნის იმიჯი ძალიან არა მიმზიდველი იყო და კონკურენციას ვერ უწევდა სხვა ქვეყნებს. ხორვატია ყოველთვის ლამაზი ქვეყანა იყო, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში მათ შეცვალეს მარკეტინგის სტრატეგია, შექმნეს ტურიზმის ციფრული მარკეტინგი, რომელმაც განავითარა ტურიზმის სექტორი. ციფრულმა მარკეტინგმა ხორვატიას მსოფლიოს ტურიზმის რუკაზე მნიშვნელოვანი ადგილი მოაპოვებინა. მან ძალიან კარგი საკომუნიკაციო სტრატეგია აწარმოა ტურისტებთან - გარემოს დაცვა, სუფთა გარემო მეტად მნიშვნელოვანია ტურიზმის ბიზნესისთვის, შესაბამისად ხორვატია დიდ ყურადღებას აქცევს ამ საკითხებს. ხორვატიამ, ასევე განავითარა კარგი მასპინძლობის მექანიზმები, პრიორიტეტად დასახა ტურიზმის სექტორის განვითარება და ამ პრიორიტის განხორციელება დაიწყო თანამედროვე მეთოდებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ არის პრობლემები. წინააღმდეგობები ბევრია, როგორც მარკეტინგის ასევე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით მაგრამ ტურიზმი ვითარდება.

ბრენდინგის და პოზიციონირების სრული სისტემა მნიშვნელოვანია იყოს ნათელი, როგორც მიზნობრივ ჯგუფებზე საკომუნიკაციო მიმართულებით, ასევე უპირატესობის გამოკვეთის კუთხით და უპირატესობის გამოკვეთა ადვილად ამოსაცნობი და დასანახი, რათა მომხარებელმა ადვილად დაიმახსოვროს და ჩაებეჭდოს მას გონებაში. თანმიმდევრულობა და შეუპოვრობა აუცილებელი საკომუნიკაციო უნარებია ბრენდინგში, რომელიც განსაზღვრავს საკომუნიკაციო ბრენდინგის მნიშვნელოვან იდეას. თუ, ბრენდი არის ტურიზმის დანიშნულების ადგილი, ადგილის პოზიციონირება და უნიკალურობა დაფუძნებული უნდა იყოს იმ რეალურ ღირებულებზე, რომელიც მოტივაციის, პატიოსნების, კომუნიკაციის და ხარისხის დასამკვიდრებლად უმთავრესია დანიშნულების ადგილის პოზიციონირებისთვის.

მნიშვნელოვანი განსხვავება, დანიშნულების ადგილსა და ტურისტულ პროდუქტებს შორის, არის, ის რომ ბრენდი გამომდინარეობს პროდუქტის შექმნისგან, რომელსაც აქვს ფასი და აქვს დისტრიბუციის გეგმა მარკეტინგის სტრატეგიაში. ასე, რომ ბრენდის შექმნის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეულ მომსახურებას, მათ ურთიერთ კომუნიკაციას და კოორდინაციას.

ქვეყნის დადებითი იმიჯის ფორმირებასთან ერთად მნიშვნელოვანია ტურისტული კომპანიების ბრენდის ფორმირება. ბრენდინგი ტურისტული კომპანიებისათვის არის საფირმო ტურისტული მომსახურების შექმნისა და დაწინაურების ტექნოლოგია, მათთვის ხანგძლივი უპირატესობის

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

მიცემის ჩამოყალიბების პროცესი. დღეისათვის ბრენდირება, ბრენდის მართვა მეცნიერ-თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსი მარკეტოლოგების, მენეჯერების უდიდეს ყურადღებას იმსახურებს. თანამედროვე ბაზრის პირობებში ცხადი გახდა, რომ წარმატებული არსებობის უზრუნველყოფა შეუძლია მხოლოდ ნამდვილად ძლიერი ბრენდის შემქმნელ კომპანიას [თევდორაძე ს. 2016].

საქართველოში ტურიზმი ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ ვითარდება. მიუხედავად ამისა, ტურიზმი საქართველოში დღესაც ხასიათდება არა საკმარისი განსხავებულობით პროდუქტსა და მომსახურებას შორის, ეროვნული მარკეტინგის არა დინამიური სისტემით და არა საკმარისი გლობალური ბრენდირებული დანიშნულების ადგილებით. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში აუცილებელია შემდეგი კომპონენტების განვითარება და ციფრული მარკეტინგის ინსტრუმენტების გამოყენება:

• თანამედროვე ტურისტულ რუკაზე უნიკალური ადგილის დაკავება - მსოფლიოს ვერ შევთავაზებთ მარტო ზღვას და მზეს, საჭიროა ჭკვიანური მესიჯებით, ციფრული მარკეტინგის გამოყენებით ბრენდის შექმნა. კერძოდ: თანამედროვე ვებ-გვერდების შექმნა. ორგანიზაციის მარკეტინგის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ინტერნეტში, სწორედ ვებ-გვერდია [Digiorgio, 2016]. თუ, როგორ გამოიყურება ინტერნეტში ორგანიზაცია დიდწილად ვებ-გვერდზეა დამოკიდებული. ვებ-გვერდის შინაარსი უნდა იყოს შესაბამისი, ყოვლისმომცველი, საინტერესო და მიზნობრივად გათვლილი აუდიტორიაზე. მასალა სისტემატიურად უნდა განახლდეს [Labanauskaite et al., 2020]. ორგანიზაციის ვებ-გვერდებსა და მომხარებლებს შორის ინტენსიური კომუნიკაციაა, რომელიც ბრენდის მიმართ კლიენტის ლოიალობასა და ერთგულებას ქმნის [de Rosa, Bocci &Dryjanska, 2019]

• ქვეყანაში სტარტეგიული კომანიკაციების შექმნა, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე, განწყობებსა და დამოკიდებულებებზე ზეგავლენის მოსახდენად უმიშვნალოვანეს მექანიზმს წარმოადგენს. ყველა სტრატეგიული საკომუნიკაციო არხები, თანმიმდევრული და კოორდინირებული ქმედებების განხორციელებას, გზავნილების ჩამოყალიბებას და ერთიანი ნარატივის შექმნას მოითხოვს, რომელიც გამოიწვევს სამიზნე ჯგუფების განწყობებისა და ქცევების ცვლილებას, რომლესაც ასევე, შეუძლია სამიზნე ჯგუფების არა მარტო გონების, არამედ გულის დაპყრობაც;

• e-mail მარკეტინგის განვითარება, რომელიც ერთ - ერთი ბიუჯეტური ინსტრუმენტია. დღევანდელი მარკეტერები, აუცილებლად უნდა იყენებდნენ ეფექტურ e-მარკეტინგის არხებს და ხელსაწყოებს;

• AR და VR (Augmented Reality and Virtual Reality) ტექნოლოგიის გამოყენება. AR - ციფრული ინფორმაციის დამატება რეალურ გარემოზე, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს რეალური სამყარო დაინახოს ვირტუალურად (ციფრულ სამყაროში). VR - ციფრული ტექნოლოგია, რომელიც ქმნის სიმულაციურ გარემოს, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს წარმოიდგინოს და მიიღოს ახალი შთაბეჭდილებები. AR და VR - ორივე ინტერაქტიული და ვირტუალური შთაბეჭდილებების მოხდენის მიზნით არის შექმნილი. ჯერ იქმნება AR და შემდეგ VR, რათა ფანტაზია უფრო გამძაფრდეს და მომხმარებელს მეტ კრეატიულობას სთავაზობს [Park & Stangl, 2020]. დღეს, AR და VR კომპონენტი განვითარების ადრეულ, ჩანასახის სტადიაშია, რომელიც ტურიზმის მომავალში თავის მნიშვნელოვან ადგილს დაიმკვიდრებს;

• მობილური მოგზაურობის აპლიკაციების და სხვადასხვა აპლიკაციების განვითარება, რომელიც დღეს, თანამედროვე ტურისტებისთვის ძალიან მოხერხებულია. ამ ეპოქაში ტურისტები რუკებს და გზამკვლევებს ნაკლებად იყენებენ. მომავალი მობილურ აპლიკაციებთან არის დაკავშირებული, რომელიც მეტად ინფორმატიული, სანდო და მულტიფუნქციურია [Srinivasaan & Kabia, 2020];

• მესენჯერ მარკეტინგის განვითარება - დღეს, ფეისბუქი, ისნტრაგრამი და ვოთსაფი ძალიან მნიშვნელოვანი პლატფორმებია. მომხმარებელი ყველაზე მეტად ამ პლატფორმების საშუალებით ეკონტაქტება ბიზნესებს, ამიტომ მესენჯერის მეშვეობით მათთან მყისიერი კონტაქტი და კომუნიკაცია უმნიშვნელოვანესია. გაყიდვების რაოდენობა უკვე დიდ წილად მესენჯერ მარკეტინგზეა დამოკიდებული;

• მოგზაურობის ბლოგის (ბლოგინგი) შექმნა - მოგზაურობის ბლოგინგი ტურიზმის სფეროში სერიოზულად იკიდებს ფეხს, რადგან გამოცდილების გაზიარება მეტად მნიშვნელოვანია ამ ინდუსტრიაში. ტურიზმის სფეროს ინფლუენსერები ვიდეო ბლოგების მეშვეობით უფრო მიმზიდველს ხდიან და რეკლამას უკეთებენ სხვადასხვა ტურისტულ ადგილებს. ინფლუენსერების ბლოგები ტურიზმში ციფრული მარკეტინგის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მოგზაურობის ბლოგებში პერსონალურ ემოციებს დიდი დატვირთვა და ზეგავლენა აქვს

ტურისტებზე. პირადი შთაბეჭდილებების გაზიარების, პოპულარიზაციის და ზემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლატფორმა Digital Storytelling ხდება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია პოზიტიური შტაბეჭდილებების შექმნა.

დასკვნები და რეკომენდაციები

დღეს, გლობალურ სამყაროში, ტურიზმი ახალ მიდგომებს ითხოვს. თუ ადრე, ტურისტული კომპანიები ცენტრალურ როლს ასრულებდნენ ტურიზმის ინდუსტრიაში, დღეს თავად ტურისტი იღებს ორგანიზაციულ დატვირთავს და თავად ტურისტი გეგმავს მისთვის სასურველ ტურისტულ მოგზაურობას. შესაბამისად, ტექნოლოგიების განვითარებამ შეცვალა მიდგომები ტურიზმში. თანამედროვე ბიზნესი ყოველ დღე, სულ უფრო მეტად ციფრულ ინფორმაციაზე ხდება დამოკიდებული. გლობალიზაციის პირობებში ტრადიციულმა მედია საშუალებებმა წააგეს ბრძოლა. ამიტომ, საციცოხლოდ მნიშვნელოვანია მკაფიო გზავნილების შემუშავება დღევანდელ საკომუნიკაციო მარკეტინგულ სტრატეგიებში. განსაკუთრებით კი, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ტურიზმზე არიან ორიენტირებული მათი სტრატეგია უნდა მოიცავდეს დიგიტალიზაციაზე დაფუძნებულ მიდგომებსა და მექანიზმებს.

ტურისტულ კომპანიებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. თითოეული პატარა დეტალი მოქმედებს ტურისტის განწყობაზე, რომელმაც შეიძლება დადებითად შეცვალოს ქვეყნის იმიჯი ან პირიქით, უარყოფითი განწყობა მოუტანოს ქვეყანას. ბრენდი იქმნება ბევრი კომპონენტისგან, ამიტომ თითოეული კომპონენტი კარგად უნდა იყოს გააზრებული, შინაარსობრივად დატვირთული და ვიზუალურად საინტერესოდ შეფუთული.

მნიშვნელოვანია, რომ ბრენდი ხაზს უსვავდეს ქვეყნის უპირატესობას და უნიკალურობას. თუ, რით განსხვავდება კონკრეტული დანიშნულების ადგილი სხვისგან. სწორედ ამ კომპონენტების არქიტექტურა უნდა იყოს ბრენდინგის გამაერთიანებელი და პროფესიული ბრენდი უნდა შედგებოდეს ემოციური, რაციონალური, სოციალურ-კულტურული ელემენტებისგან, რომელიც მიმზიდველი იქნება ტურისტებისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. იაშვილი გ., ქოქიაური ლ. - ბრენდ-მენეჯმენტი გამომცემლობა სტუ თბილისი 2012

2. თევდორაძე ს. ბრენდინგი და მისი როლი ტურისტული ორგანიზაციების გასაძლიერებლად. გამომცემლობა „უნივერსიალი“ თბილისი 2016].

3. Digiorgio, V. Impact of promotional tools on reservation channels management: A descriptive model of Italian accommodation facilities. *Information Technology & Tourism*, 16, 347-373. 2016.

4. Labanauskaitė, D., Fiore, M. & Stašys, R. Use of E-marketing tools as communication management in the tourism industry. *Tourism Management Perspectives*, 34, 100652. 2020.

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ASPECTS OF IMPROVING WASTE MANAGEMENT IN THE EUROPEAN UNION

Copyright © 2022 The Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: November 22, 2022
Published: December 04, 2022
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC17022022-76

Gela Aladashvili,
PhD in economics, Professor,
Dean Faculty of Business and Social Sciences,
Guram Tavartkilaze Tbilisi Teaching University
ORCID iD: https://orcid.org/0000-0002-2786-3346
E-mail: gela.aladashvili@gttu.edu.ge

ABSTRACT

A number of measures are implemented in Georgia from the perspective of waste management. Laws have been developed, including within the framework of harmonization with the European Union. Some practical steps have also taken but challenges still remain. Becoming familiar with EU practices will play a valuable role in overcoming these challenges. In this paper, some of the measures implemented and planned to improve waste management in EU are studied and analyzed. The 8th Environmental Action Program of the European Union has prioritized that by 2050 at the latest, people will live well, taking into account planetary boundaries in a welfare economy. In this kind of world, where nothing is lost, growth is regenerative, achieving climate neutrality across the Union and with significantly reduced inequality. The European experience of waste management shows that it should be developed in coordination with environmental action plans. In addition, activating the involvement of all stakeholders is a daily task to achieve the set goals of waste management. The final part of the paper presents the important aspects of the measures to be taken to increase the efficiency of waste management in the European Union, which will also be useful for overcoming the relevant challenges in Georgia.

Keywords: *Waste Management; EU Waste Framework Directive*

REFERENCES:

1.Decision (EU) 2022/591 of the European Parliament and of the Council of 6 April 2022 on a General Union Environment Action Program to 2030. PE/83/2021/REV/1. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0591, Last checked 05 September, 2022;

2. Towards a circular economy – Waste management in the EU. EPRS | European Parliamentary Research Service Scientific Foresight Unit (STOA) PE 581.913. European Union, 2017. doi: 10.2861/978568;

3. Municipal waste management in Georgia. Report 2020. Prepared by Green Movement of Georgia/Friends of the Earth project "Dvitsvat" Cleanliness of Georgia" with the support of Sweden;

4. Pavliashvili S., Prasek D. Accelerating Transition to the Circular Economy in Georgia, Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 3, 2020;

5. EU Waste Policy https://ec.europa.eu/eurostat/web/waste/policy-context, Last checked 05 September, 2022;

6. EU Environment action program to 2030, https://environment.ec.europa.eu/strategy/environment-action-programme-2030_en, Last checked 05 September, 2022;

7. Decision (EU) 2022/591 of the European

Parliament and of the Council of 6 April 2022 on a General Union Environment Action Program to 2030. PE/83/2021/REV/1. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0591, Last checked 05 September, 2022;

8. Eurostat data: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, Last checked 05 September, 2022;

9. EU Waste Framework Directive. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en#publications, Last checked 05 September, 2022;

10. 2023 WFD revision. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en#ref-2023-wfd-revision, Last checked 05 September, 2022;

11. Eurostat data: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, Last checked 05 September, 2022;

12. Eurostat data: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, Last checked 05 September, 2022;

13. Waste prevention in Europe Waste prevention in Europe — European Environment Agency (europa.eu). EEA report: Progress towards preventing waste in Europe — the case of textile waste prevention, European Environment Agency, 2021, TH-AL-21-017-EN-N FINAL 10 12 21.pdf;

14. Eurostat data: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, Last checked 05 September, 2022;

15. Environmental impact of waste management – revision of EU waste framework. Legislative proposal. Q2, 2023. European Commission. https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/13225-Environmental-impact-of-waste-management-revision-of-EU-waste-framework_en, Last checked 05 September, 2022;

16. 2023 WFD revision. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en#ref-2023-wfd-revision, Last checked 05 September, 2022;

17. The European Green Deal COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS The European Green Deal, European Commission, Brussels, 11.12.2019. COM(2019) 640 final. resource.html (europa.eu);

18. Circular economy action plan, Circular economy action plan (europa.eu);

19. Environmental impact of waste management https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/13225-Environmental-impact-of-waste-management-revision-of-EU-waste-framework_en, Last checked 05 September, 2022;

20. Dri M., Canfora P., Antonopoulos I. S., Gaudillat P. Best Environmental Management Practice for the Waste Management Sector. Learning from frontrunners. Publications Office of the European Union, 2018. file:///C:/Users/Gcomp.ge/Downloads/WasteManagementBEMP.pdf;

ნარჩენების მართვის გაუმჯობესების ასპექტები ევროკავშირში

გელა ალადაშვილი
გ. თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი
ელ.ფოსტა: gela.aladashvili@gttu.edu.ge

აბსტრაქტი

ნარჩენების მართვის მიმართულებით საქართველოში რიგი ღონისძიებები ხორციელდება. შემუშავდა კანონები, მათ შორის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ფარგლებში და გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა გამოწვევები კვლავ რჩება. ევროკავშირის პრაქტიკის გაცნობა ამ გამოწვევების დასაძლევად ღირებულ როლს შეასრულებს. მოცემულ ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია ევროკავშირში ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებლად გატარებული და დასახული ზოგიერთი ზომა. ევროკავშირის მე-8 გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა პრიორიტეტულ მიზნად ისახავს, რომ არაუგვიანეს 2050 წლისათვის ადამიანებმა იცხოვრონ კარგად, პლანეტარული საზღვრების გათვალისწინებით

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

კეთილდღეობის ეკონომიკაში, სადაც არაფერი იკარგება, ზრდა არის რეგენერაციული, მიღწეულია კლიმატის ნეიტრალიტეტი კავშირის მასშტაბით და მნიშვნელოვნად შემცირებული უთანასწორობის პირობებში. ნარჩენების მართვის ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ იგი გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმებთან კოორდინირებულად უნდა განვითარდეს. ამასთან, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გააქტიურება სადღეისო ამოცანაა ნარჩენების მართვის დასახული მიზნების მისაღწევად. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია ევროკავშირში ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად გასატარებელი ღონისძიებების მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ, რაც ასევე, სასარგებლო იქნება საქართველოში არსებული შესაბამისი გამოწვევების დასაძლევად.

საკვანძო სიტყვები: *ნარჩენების მართვა; ევროკავშირის ნარჩენების ჩარჩო დირექტივა.*

შესავალი

ევროკავშირმა გარკვეულ პროგრესს მიაღწია ნარჩენების წარმოქმნით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შემცირებაში. საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება და წევრ ქვეყნებში ტრანსპოზიცია ასევე წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ნარჩენების საერთო მოცულობის შემცირება არ არის მიღწეული. სამომავლო ამოცანები კვლავ უკავშირდება როგორც გარემოზე, ისე ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შემცირებას და ეს განსაკუთრებით დაკავშირებულია არადამუშავებული ნარჩენების შედარებით მაღალი რაოდენობის შემცირებასთან. არაერთგვაროვანია ევროკავშირის ქვეყნებში აღნიშნული ზეგავლენის მასშტაბები, ჯერ კიდევ მრავალი მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელია მრავალ წევრ ქვეყანაში. ნარჩენების მართვის მიმართულების სამომავლო აქცენტები კონცენტრირებულია ნარჩენების წარმოქმნის დონის შემცირებისა და ნარჩენების მოწესრიგების გარშემო. ამასთან, ამ პრიორიტეტული ამოცანების რეალიზაციას ევროკავშირი უკავშირებს ცირკულარული ეკონომიკის მიზნების განხორციელებას. ევროპარლამენტის გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია წინსვლა კეთილდღეობის ეკონომიკისკენ, რომელიც უბრუნებს პლანეტას იმაზე მეტს, ვიდრე მოიხმარა და აჩქარებს გადასვლას არატოქსიკურ ცირკულარულ ეკონომიკაზე, სადაც ზრდა რეგენერაციულია, რესურსები გამოიყენება ეფექტიანად და მდგრადად და გამოიყენება ნარჩენების იერარქია [1].

ნარჩენების მართვის სხვადასხვა ვარიანტიდან მიჩნეულია, რომ ყველაზე დიდი ეკოლოგიური სარგებელი მოაქვს ნარჩენების თავიდან აცილებას, მაგრამ პრაქტიკაში მეტად რთულია აღნიშნულის მიღწევა და სხვადასხვა შეფასებით ევროკავშირის ქვეყნების ერთ მესამედში ერთ სულ მოსახლეზე მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა კვლავ მზარდია, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა წევრმა სახელმწიფომ შეიმუშავა გარკვეული ტიპის პოლიტიკა პრევენციის მიმართ. პოლიტიკის ინსტრუმენტების ორი მესამედი მიმართულია ინფორმაციისა და ცნობიერების ამაღლებაზე, თუმცა უმეტესობა ფოკუსირებულია შინამეურნეობებზე და უგულებელყოფს სხვა სექტორებს [2]. ნარჩენების მართვის მიმართულებით საქართველოში რიგი ღონისძიებები ხორციელდება. შემუშავდა კანონები, მათ შორის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის ფარგლებში და გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა გამოწვევები კვლავ რჩება. საქართველოში ჩატარებული კვლევები მიუთითებს, რომ ნარჩენების გონივრულად გამოყენება, რომელიც თავისთავად საკმაოდ რთული პროცესია და მოიცავს: ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, გადამუშავების, მეორადი გამოყენების ან ნაგვის უტილიზაციის პროცესებს, თავის მხრივ, მოითხოვს მთავრობისა და მოსახლეობის მხრიდან მაქსიმალურ ჩართულობას [3].

„საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა. მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საერთაშორისო პარტნიორების შეთანხმებული ძალისხმევით, საქართველომ ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება წამოიწყო და გარკვეული მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, როგორიცაა, მაგალითად, ნარჩენების მართვის კოდექსში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შემოღება. ცირკულარული ეკონომიკის გზაზე საქართველომ უნდა ისარგებლოს მოწინავე ეკონომიკების გამოცდილებით... რათა ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლისას ყველაზე ოპტიმალური მარშრუტი შეარჩიოს“ [4].

მოცემულ ნაშრომში მიზნად დავისახეთ ევროკავშირში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისთვის გატარებული და სამომავლოდ დასახული გარკვეული თანამედროვე ღონისძიებების შესწავლა და გაანალიზება, რაც, ჩვენი აზრით, სასარგებლო

იქნება საქართველოში არესებული გამოწვევების დასაძლევად. რამდენადაც ეკონომიკის ზრდასთან ერთად მუდმივად წარმოიქმნება ნარჩენების მართვის პრობლემები, შესაბამისი პოლიტიკაც მუდმივად ვითარდება. ხაზგასასმელია, რომ ნარჩენების მართვის პოლიტიკა ევროკავშირში მიმართულია გარემოსდაცვითი ტვირთის შემცირებაზე და კოორდინირებულია რესურსების ეფექტიან ხარჯვაზე მიმართულ გაფართოებისა და გაძლიერების პოლიტიკასთან.

ძირითადი ტექსტი

ევროკავშირის ნარჩენების პოლიტიკა განვითარდა გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების სერიის და კანონმდებლობის ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს გარემოზე და ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და ეფექტიანი ენერგეტიკული და რესურსული ეკონომიკის შექმნას [5]. ამ კონტექსტით აქტუალურია ევროკავშირის ბოლოდროინდელი რამდენიმე პოლიტიკა და პროგრამა, მათ შორის მე-8 გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა [6], რესურსების ეფექტიანობის საგზაო რუკა, ნედლეულის ინიციატივა და ცირკულარული ეკონომიკის პაკეტი. ევროკავშირის მე-8 გარემოსდაცვით სამოქმედო პროგრამა პრიორიტეტულ მიზნად ისახავს, რომ არაუგვიანეს 2050 წლისთვის ადამიანებმა იცხოვრონ კარგად, პლანეტარული საზღვრებში კეთილდღეობის ეკონომიკაში, სადაც არაფერი იკარგება, ზრდა არის რეგენერაციული, მიღწეულია კლიმატის ნეიტრალიტეტი კავშირში და უთანასწორობა მნიშვნელოვნად შემცირდება. ჯანსაღი გარემო საფუძვლად უდევს ყველა ადამიანის კეთილდღეობას და არის გარემო, რომელშიც შენარჩუნებულია ბიომრავალფეროვნება, აყვავდება ეკოსისტემები და ბუნება დაცულია და აღდგება, რაც იწვევს კლიმატის ცვლილების, ამინდისა და კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების და სხვა ეკოლოგიური რისკებისადმი მდგრადობას [7].

ნარჩენების მართვის ჩარჩო-დირექტივით განსაზღვრული მიზნების მიღწევა არ არის მარტივი მთლიანად ევროკავშირის დონეზე.

ევროსტატის მონაცემებით 2018 წელს ევროკავშირის 28 ქვეყნაში ნარჩენების მთლიანმა მოცულობამ 2 620 400 000 ტონა შეადგინა, ხოლო 2020 წლის მონაცემებით მისი რაოდენობა ევროკავშირის 27 ქვეყანში 2 150 950 000 ტონაა.

ნარჩენების მართვის მიმართულებით გატარებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად ნახაზი 1 გვიჩვენებს, რომ ნარჩენების საერთო მოცულობის შემცირებაში დიდი პროგრესი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ნარჩენების მართვის მიზნების შესასრულებლად ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის მაღალი ხარისხის სტატისტიკის წარმოებას, რათა სწორი ინდიკატორებით ეფექტიანი პოლიტიკა და მონიტორინგი განახორციელოს. ევროსტატი მხარს უჭერს ამ პოლიტიკას (იხ. ნახ. 1).

ნარჩენების მართვის მიმართ ევროკავშირის მიდგომა ეფუძნება ნარჩენების იერარქიას, რომელიც განსაზღვრულია ნარჩენების ჩარჩო დირექტივაში [9], რომელიც ადგენს შემდეგ პრიორიტეტულ წესრიგს ნარჩენების პოლიტიკის ფორმირებისა და ნარჩენების საოპერაციო დონეზე მართვისას: პრევენცია, მომზადება ხელახალი გამოყენებისთვის, გადამუშავება, აღდგენა და განადგურება. ნარჩენების ჩარჩო დირექტივა აყალიბებს ნარჩენების მართვის რამდენიმე ძირითად პრინციპს: ნარჩენების მართვა ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე; წყლის,

ნახ. 1. ნარჩენების წარმოქმნის დინამიკა ევროკავშირში, 2004-2020 წწ., მლრდ ტონა [8]



წყარო: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ჰაერის, ნიადაგის, მცენარეებისა და ცხოველების რისკის გარეშე; ხმაურის ან სუნის გამო უსიამოვნების გარეშე; სოფლად ან განსაკუთრებული ინტერესის ადგილებზე უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. ის განმარტავს, როდის წყვეტს ნარჩენი არსებობას და ხდება მეორადი ნედლეული და როგორ განვასხვავოთ ნარჩენები და ქვეპროდუქტები. ნარჩენების ჩარჩო დირექტივამ განსაზღვრა „დამბინძურებელი იხდის პრინციპი“ და „მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობა“.

ნარჩენების პრევენცია მიიჩნევა საკვანძო ფაქტორად ნარჩენების მართვის ნებისმიერ სტრატეგიაში, რადგან თუკი ნარჩენების რაოდენობა შემცირდება პირველ რიგში და მისი სახიფათოობა შემცირდება პროდუქტებში საშიში ნივთიერებების გამოყენების შემცირებით, მაშინ მისი განადგურება ავტომატურად გამარტივდება. ნარჩენების პრევენცია მჭიდრო კავშირშია წარმოების მეთოდების გაუმჯობესებასთან და მომხმარებლებზე ზემოქმედებასთან, რომ მოითხოვონ უფრო მწვანე პროდუქტები და ნაკლები შეფუთვა.

თუ ნარჩენების თავიდან აცილება შეუძლებელია, სასურველია, რაც შეიძლება მეტი მასალა აღდგეს გადამუშავებით. ევროკომისიამ განსაზღვრა რამდენიმე კონკრეტული „ნარჩენების ნაკადი“ პრიორიტეტული ყურადღებისთვის, რომლის მიზანია გარემოზე მათი მთლიანი ზემოქმედების შემცირება. ეს მოიცავს შეფუთვის ნარჩენებს, ვადაგასული მანქანებს, ბატარეებს, ელექტრო და ელექტრონულ ნარჩენებს. ევროკავშირის დირექტივები წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, შემოიღონ კანონმდებლობა ნარჩენების შეგროვების, ხელახალი გამოყენების, გადამუშავებისა და ნარჩენების ამ ნაკადების განკარგვის შესახებ. სადაც შესაძლებელია, ნარჩენები, რომელთა გადამუშავება ან ხელახალი გამოყენება შეუძლებელია, უსაფრთხოდ უნდა იწვებოდეს, ნაგავსაყრელი კი მხოლოდ უკანასკნელ საშუალებად უნდა გამოიყენებოდეს. ორივე ეს მეთოდი საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგს, რადგან მათ შეუძლიათ გარემოზე სერიოზული ზიანის გამოწვევა.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირში მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, გადამუშავების დაბალი მაჩვენებელი, დაბალი ხარისხის რეციკლირება, ნარჩენების შეგროვების არაეფექტიანი სისტემები კვლავ გამოწვევად რჩება. ზოგიერთი კონკრეტული ნაკადისთვის, როგორიცაა ნარჩენი ზეთები და ტექსტილი, კვლევებმა აჩვენა, რომ „დამბინძურებელი იხდის პრინციპი“ სრულად არ არის დანერგილი. ამასთან, ზოგიერთი ნარჩენის უკანონოდ განთავსება იწვევს გარემოს დაბინძურების ზრდას [10]. გრძელვადიანი პოლიტიკა ითვალისწინებს მუნიციპალური ნარჩენების ხელახალი გამოყენებისთვის მომზადებისა და გადამუშავების გაზრდას მინიმუმ 55%, 60% და 65%-ით, შესაბამისად 2025, 2030 და 2035 წლისთვის [11]. ევროკავშირისთვის გამოწვევად რჩება ნარჩენების მართვის მიმართულებით მიღწეული შედეგების უთანაბრობა წევრ ქვეყნებში. ნახაზი 2 გვიჩვენებს, რომ კავშირის წევრ როგორც ძლიერი ეკონომიკის (მაგალითად, გერმანია, საფრანგეთი), ისე შედარებით სუსტი ეკონომიკის (ბულგარეთი, რუმინეთი) მქონე ქვეყნებში დიდია წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა. ქვეყნები ზოგიერთ შემთხვევაში მეტად განსხვავდებიან ნარჩენების მართვის იერარქიის მიხედვით მიღწეულ წამატებებში.

ნახ. 2. ნარჩენების მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში, 2004-2020 წწ., ტონა [12]



ამისათვის აუცილებელი ხდება ევროკავშირის დონეზე შემუშავებული დირექტივების ქვეყნებზე მორგება ნარჩენების მართვის სტრატეგიის შემუშავებისას (იხ. ნახ. 2).

ნარჩენების შესახებ არსებული კანონმდებლობის მიუხედავად, ბოლო ათწლეულის განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების მთლიანი რაოდენობა იზრდება, განსაკუთრებით მუნიციპალური ნარჩენები. ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს მიმოხილვები ნარჩენების პრევენციის შესახებ გვიჩვენებს, რომ ევროკავშირს რიგი გამოწვევები აქვს ნარჩენების წარმოქმნის შემცირების პოლიტიკის მიზნის მისაღწევად [13].

ევროპაში ნარჩენების პრევენციის მიმართულებით პროგრესის შესახებ ასკვნის, რომ წევრი სახელმწიფოები იშვიათად ადგენენ მიზნებსა და ინდიკატორებს თავიანთი ნარჩენების მართვაში, რაც აფერხებს ნარჩენების პრევენციის მონიტორინგს. 2018 წელს, მთლიანი ნარჩენების მხოლოდ 38%, ხოლო 2019 წელს მუნიციპალური ნარჩენების 48% გადამუშავდა ევროკავშირში. მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება წევრ სახელმწიფოებში - 10%-დან 60%-მდე [14]. ადრეული გაფრთხილების მექანიზმის მხარდასაჭერად ევროკავშირის გარემოს დაცვის სააგენტოს შეფასებების თავდაპირველი დასკვნები აჩვენებს, რომ წევრი სახელმწიფოების ნახევარზე მეტში 2025 წლისთვის მუნიციპალური ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების დასახულ მიზნების მიღწევა საფრთხის ქვეშაა. ნარჩენების არაოპტიმალური შეგროვება, დახარისხება და დამუშავება იწვევს რესურსების დაკარგვას და მეტ ზემოქმედებას გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. გადამუშავების დაბალი მაჩვენებელი, ისევე, როგორც დაბალი ხარისხის რეციკლირება, ნაწილობრივ გამოწვეულია ნარჩენების შეგროვების არაეფექტიანი სისტემებით. ეს სისტემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის მასშტაბით. ისინი დამოკიდებულია ადგილობრივ პირობებზე და ნარჩენების მართვის საერთო არჩევანზე წევრ ქვეყნებში, მაგრამ ყოველთვის არ ეფუძნება პრინციპებსა და პრაქტიკას, რომელიც დადასტურებულია ოპტიმალური შედეგების მისაღწევად ევროკავშირის მიზნების მისაღწევად ნარჩენების ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის მოსამზადებლად. კვლევები მიუთითებს, რომ ზოგიერთი ნარჩენი ზეთები კვლავ უკანონოდ ნადგურდება, რაც იძვევს დაბინძურებას. შეგროვებული ნარჩენი ზეთების დაახლოებით 61% რეგენერირებულია, დანარჩენი კი ძირითადად გამოიყენება როგორც საწვავი, რომელსაც აქვს სათბურის გაზების ემისიები, ვიდრე რეგენერაციას და უფრო მეტად უწყობს ხელს კლიმატის ცვლილებას და რესურსების ამოწურვას. შეგროვებული ნარჩენი ზეთების გადამუშავების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც მიუთითებს გაუმჯობესების მნიშვნელოვან შესაძლებლობებზე ზოგიერთ წევრ ქვეყანაში. [15]

ნარჩენების მართვის პროგრესისთვის დამატებითი სტიმულის მისაცემად ევროკომისიის ეგიდით ფართო ღონისძიებები ჩატარდა ნარჩენების ჩარჩო დირექტივის მიზანმიმართული გადასინჯვის, ზემოქმედების შეფასების კონტექსტში წინასწარი ანალიზის და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გზით.

წინადადებების მისაღებად გახსნილ ონლაინ პლატფორმაზე გამოკითხვისას („თქვი შენი აზრი: WFD რევიზია“) რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა ყურადღება გაამახვილა მოხმარებისადმი სათანადო მიდგომის აუცილებლობაზე, ცირკულარულობის უზრუნველყოფისთვის უშუალო ხელახლა გამოყენების წახალისებასა და დიზაინის შემუშავებაზე ნარჩენების პრევენციის მიზნით. რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა კონცეფციას, რომ სეპარირებული შეგროვება არის ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავების გაუმჯობესების წინაპირობა. რესპონდენტმა ნაწილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შეფუთვის ნარჩენების მნიშვნელობას ამ კუთხით. რამდენიმე ბიზნესასოციაციამ აღნიშნა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სქემების მნიშვნელობის თაობაზე, განსაკუთრებით ტექსტილის ინდუსტრიაში. 2022 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა კონსულტაციების უფრო ფართო სპექტრი, რათა თითოეულ დაინტერესებულ მხარეს შეძლებოდა საკუთარი შეხედულებების გამოხატვა. ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან ეროვნული ხელისუფლება, მწარმოებლებისა და მწარმოებლების პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციები, ნარჩენების შემგროვებლები და გადამუშავებები, შინამეურნეობები და ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო ექსპერტები. როგორც ამ ძალისხმევის ნაწილი, საჯარო კონსულტაციები ღია იყო გამოხმაურებისთვის.

ევროკავშირის მასშტაბით დაისახა ანალიზზე დაფუძნებული ზომების გატარება როგორც „2018 წლის ნარჩენების პაკეტის“ განსახორციელებლად, ასევე, შემუშავდა ახალი მიდგომები მიმდინარე ინიციატივის რეალიზაციისთვის - შეფუთვისა და

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შესაფუთი ნარჩენების დირექტივა, ბატარეების რეგულაცია, სამრეწველო ემისიის დირექტივა, ეკო-დიზაინი მდგრადი პროდუქტების რეგულირებისთვის. კომისიამ განსაზღვრა პოლიტიკის ინიციატივის ფარგლები ნარჩენების ჩარჩო დირექტივის მიზნობრივი შესწორებისთვის 2023 წელს. საერთო ჯამში აქცენტი კეთდება ევროკავშირის ნარჩენების იერარქიაზე დაყრდნობით ნარჩენების პრევენციასა და ხელახლა გამოყენებაზე.

ინიციატივა ფოკუსირებულია პოლიტიკის ვარიანტებზე, რათა განხორციელდეს უფრო მეტად ცირკულარული და მდგრადი მართვა. აღსანიშნავია, რომ ტექსტილისა და სურსათის სექტორები რჩება მნიშვნელოვან დამაბინძურებლად ევროკავშირის ქვეყნებში. ამიტომ ახალი ინიციატივა ეკონომიკის ამ სეგმენტებს ფარავს და მოიცავს ევროკავშირის მდგრადი და ცირკულარული ტექსტილის სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. ასევე, ინიციატივა შეაფასებს სურსათის ნარჩენების შემცირების მიზნების დასახვის მიზანშეწონილობას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებითა და „ფერმიდან სუფრამდე" (Farm to Fork) სტრატეგიით გაერთიანების ვალდებულებების შესასრულებლად და შეზღუდავს სურსათის მიწოდების ჯაჭვის გავლენას გარემოსა და კლიმატზე [16].

ნარჩენების მართვის მიმართულებით მეტი პროგრესის მისაღწევად გატარებულ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით ფართო სექტორული კონსულტაციები. მაგალითად, მიმდინარე წელს (2022) ტექსტილის სექტორში განიხილეს ტექსტილის ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების გაუმჯობესების გზები.

ევროკომისია მიზნად ისახავს გააფართოოს სამეცნიერო კვლევები და გააზიაროს გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკა, გაუწიოს პოპულარიზაცია ნარჩენების პრევენციის მონიტორინგს, მშრალი გადამუშავებადი და ბიონარჩენების ცალკე შეგროვებას და ნარჩენი ზეთების მდგრადი მართვას. ამ მიზნით ევროკომისია ევროპის გარემოსდაცვით სააგენტოსთან აქტიურად თანამშრომლობს. კოორდინირებული მოქმედება დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით საერთო შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია. მაგალითად, „ევროპული მწვანე გარიგება" [17] მოიცავს პოლიტიკურ ვალდებულებას „გამარტივდეს ნარჩენების მართვა მოქალაქეებისთვის და უზრუნველყოს უფრო სუფთა მეორადი მასალები ბიზნესისთვის". გარდა ამისა, ცირკულარული ეკონომიკის სამოქმედო გეგმა [18] იღებს ვალდებულებას მნიშვნელოვნად შეამციროს მთლიანი ნარჩენების წარმოქმნა: ის მიზნად ისახავს ნარჩენი (არარეციკლირებული) მუნიციპალური ნარჩენების ოდენობის განახევრებას 2030 წლისთვის, ხელს უწყობს ნარჩენების უსაფრთხო და სუფთა ნაკადებს და უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის გადამუშავებას. ეს ინიციატივა გააერთიანებს ინიციატივას საკვების ნარჩენების შემცირების შესახებ, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მნიშვნელოვან ნაწილს.

ევროკავშირის ნარჩენების ჩარჩოს რევიზია და დასახული ზომები მიმართულია ნარჩენების წარმოქმნის შემცირებისკენ, მათ შორის მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც სტიმულს მისცემენ პროდუქტების ან კომპონენტების ხელახალ გამოყენებას, შერეული ნარჩენების შემცირებას, ნარჩენების ხელახალი გამოყენების ან გადამუშავებისთვის მზადების გაზრდას სეპარირებული შეგროვების გაუმჯობესების გზით. აღნიშნული ქმედებები საბოლოოდ ნარჩენების მართვას გააუმჯობესებს და შეამცირებს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნარჩენების უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს. ახალი ინიციატივის სრულფასოვანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის მომზადების დებულებების სრული განხორციელების ხელშეწყობა წევრ სახელმწიფოებთან გაძლიერებული თანამშრომლობით; დამატებითი მითითებების მიწოდება, მაგ., ნარჩენების პრევენციის დებულებების გარკვევა და დეტალური ახსნა; განმარტება, თუ როგორ შეიძლება გააუმჯობესოს ცალკე შეგროვებამ ნარჩენების ხელახალი გამოყენება, ხელახალი გამოყენებისა და გადამუშავებისთვის მომზადება და როგორ გააუმჯობესოს მოქალაქეთა მონაწილეობა ცალკე შეგროვებაში; და ახსნა, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს შესაბამისობა მწარმოებლის გაფართოებული პასუხისმგებლობის მოთხოვნებთან [19]. ამასთან, ადგილობრივ დონეზე ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს თემების შესაძლებლობების მიხედვით რესურსების ეფექტიანი გამოყენება და წინსვლა უფრო ცირკულარული ეკონომიკის მისაღწევად. ჩატარებული კვლევები [20] ადასტურებს, რომ ეკონომიკური ინსტრუმენტების ადგილობრივ დონეზე გამოყენება მნიშვნელოვანი ბარიერია ნარჩენების მართვის სრულფასოვანი შედეგების მიღწევაში.

ამიტომ ყურადღება უნდა მიექცეს ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ადგილობრივი მმართველობების დონეზე და შესრულებაზე დაფუძნებული ნარჩენების მონიტორინგის სისტემას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ევროკავშირის ნარჩენების მართვის ახალი ინიციატივა გალისხმობს არსებული ჩარჩო-პროგრამის გადახედვას, რათა დამატებითი იმპულსები მისცეს ნარჩენების მართვის იერარქიის მიხედვით დასახული მიზნების მიღწევას. გაანალიზებული კვლევები და ოფიციალური დოკუმენტები გვარწმუნებს, რომ მეტად მნიშვნელოვანია და საქართველოს პრაქტიკაშიც სასურველია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ პრინციპებსა და ღონისძიებებზე:

ნარჩენების ეფექტიანი მართვა გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმებთან კოორდინირებულად უნდა განვითარდეს;

ნარჩენების სამომავლო მართვისთვის პრიორიტეტულია ნარჩენების წარმოქმნის დონის შემცირება და ნარჩენების მოწესრიგება;

ნარჩენების პრევენციის სტიმულირება უნდა განხორციელდეს წარმოების მეთოდების გაუმჯობესებისა და მომხმარებლებზე ზემოქმედების გზით;

ნარჩენების მართვის ეფექტიანობას აამაღლებს მისი მჭიდრო დაკავშირება ცირკულარული ეკონომიკის მიზნების განხორციელებასთან;

უნდა გამოვლინდეს კონკრეტული ნარჩენების ნაკადები, რომლებშიც შეიძლება მეტი მასალა აღდგეს გადამუშავებით;

ნარჩენების მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გასატარებლად მნიშვნელოვანია ნარჩენების წარმოქმნისა და მართვის სათანადო სტატისტიკის წარმოება;

ადგილობრივი მმართველობის დონეზე ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად პირველი რიგის ამოცანაა ინფორმირებულობის ამაღლება, ახსნა-განმარტებების მიცემა და მონიტორინგი;

ხელი უნდა შეეწყოს სათანადო სამეცნიერო კვლევებს და შედეგების გაზიარებას, გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის პოპულარიზაციას, ნარჩენების პრევენციის მონიტორინგს, ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას, სადაც ეს შესაძლებელია;

საქართველოში ნარჩენების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად, ევროკავშირის მსგავსად, სასარგებლო იქნება ღია პლატფორმის შექმნა წინადადებების წარსადგენად ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით - ხელისუფლება, მწარმოებლებისა და მწარმოებლების პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციები, ნარჩენების შემგროვებლები და გადამუშავებები, შინამეურნეობები და ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო ექსპერტები.

ბიბლიოგრაფია:

1. Decision (EU) 2022/591 of the European Parliament and of the Council of 6 April 2022 on a General Union Environment Action Programme to 2030. PE/83/2021/REV/1. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0591, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

2. Towards a circular economy – Waste management in the EU. EPRS | European Parliamentary Research Service Scientific Foresight Unit (STOA) PE 581.913. European Union, 2017. doi: 10.2861/978568;

3. მუნიციპალური ნარჩენების მართვა საქართველოში. ანგარიში 2020. მომზადებულია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრების მიერ პროექტი "დავიცვათ საქართველოს სისუფთავე» ფარგლებში შვედეთის ხელშეწყობით;

4. Pavliashvili S., Prasek D. Accelerating Transition to the Circular Economy in Georgia, Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol. 14, no. 3, 2020;

5. EU Waste Policy https://ec.europa.eu/eurostat/web/waste/policy-context, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

6. EU Environment action programme to 2030, https://environment.ec.europa.eu/strategy/environment-action-programme-2030_en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

7. Decision (EU) 2022/591 of the European Parliament and of the Council of 6 April 2022 on a General Union Environment Action Programme to 2030. PE/83/2021/REV/1. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32022D0591, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

8. ევროსტატის მონაცემები: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

9. EU Waste Framework Directive. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en#publications, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

10. 2023 WFD revision. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

framework-directive_en#ref-2023-wfd-revision, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

11. ევროსტატის მონაცემები: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

12. ევროსტატის მონაცემები: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

13. Waste prevention in Europe Waste prevention in Europe — European Environment Agency (europa.eu). EEA report: Progress towards preventing waste in Europe — the case of textile waste prevention, European Environment Agency, 2021, TH-AL-21-017-EN-N FINAL 10 12 21.pdf;

14. ევროსტატის მონაცემები: https://ec.europa.eu/eurostat/databrowser/view/env_wasgen/default/table?lang=en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

15. Environmental impact of waste management – revision of EU waste framework. Legislative proposal. Q2, 2023. European Commission. https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/13225-Environmental-impact-of-waste-management-revision-of-EU-waste-framework_en, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

16. 2023 WFD revision. https://environment.ec.europa.eu/topics/waste-and-recycling/waste-framework-directive_en#ref-2023-wfd-revision, ბოლო გადამოწმება 05.09.2022;

17. The European Green Deal COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS The European Green Deal, European Comission, Brussel, 11.12.2019. COM(2019) 640 final. resource.html (europa.eu);

18. Circular economy action plan, Circular economy action plan (europa.eu);

19. Environmental impact of waste management https://ec.europa.eu/info/law/better-regulation/have-your-say/initiatives/13225-Environmental-impact-of-waste-management-revision-of-EU-waste-framework_en;

20. Dri M., Canfora P., Antonopoulos I. S., Gaudillat P. Best Environmental Management Practice for the Waste Management Sector. Learning from frontrunners. Publications Office of the European Union, 2018. file:///C:/Users/Gcomp.ge/Downloads/WasteManagementBEMP.pdf;

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ეკონომიკის საფუძვლები

*გამოვიდა ახალი წიგნი „ეკონომიკის საფუძვლების“ ორტომეული, რომლის ავტორები არიან ეკონომიკის დოქტორი **კობა სოხაძე** და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **ლოიდ ქარჩავა.***

პირველ ტომში განხილულია: შესავალი ეკონომიკურ თეორიაში - ეკონომიკური თეორიის საგანი და მისი არსი, ძირითადი მიმართულებების ზოგადი დახასიათება, ეკონომიკური სისტემის არსი. ვრცლად და დეტალურადაა დახასიათებული მიკროეკონომიკის ძირითადი საკითხები - საბაზრო მექანიზმის არსი და მისი ძირითადი ელემენტები, სრულყოფილი და არასრულყოფილი კონკურენციის ბაზრის მექანიზმები, ბიზნესის ორგანიზაციული ფორმები, ფირმისა და წარმოების თეორია, შრომისა და კაპიტალის ბაზარი, მიწის რენტა, ხელფასი, მოგება, საბაზრო მექანიზმის უპირატესობა და ნაკლოვანებები.

მეორე ტომი ძირითადად მოიცავს მაკროეკონომიკურ საკითხებს, ეკონომიკური თეორიის საერთშორისო ასპექტებსა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორიულ პრობლემებს.

წიგნის შესავალში ყველასათვის გასაგებ ენაზე, მარტივად და ამავდროულად ყოვლისმომცველად გადმოცემულია ეკონომიკის არსი და მნიშვნელობა, თუ რატომ უნდა ვიცოდეთ ის საკითხები, რაზეც ამ წიგნში ვრცლადაა საუბარი. გთავაზობთ ციტატას:

„არ არსებობს ადამიანი დედამიწაზე, რომელსაც, გააზრებულად თუ ინსტიქტურად, ეკონომიკა არ აინტერესებდეს. შესაძლოა, ეკონმიკური ტერმინები არ ესმოდეთ არა-ეკონომისტებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ადამიანს არსებობისათვის სჭირდება საკვები, ტანსაცმელი, ბინა და სხვა ყოველდღიური არსებობისათვის საჭირო ნივთები. ეს ყველაფერი კი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. ვიღაცა აწარმოებს კონკრეტულ ნივთს, ხოლო ვიღაცა ყიდულობს და იყენებს მას შესაბამისი დანიშნულებისამებრ. ამ ნივთების მრავალფეროვნება გვაძლევს ბაზრის კონიუნქტურას. ეს უკანასკნელი იმდენად რთულია დღევანდელ პირობებში, რომ საჭიროა ვიცოდეთ ეკონომიკის გარკვეული კანონზომიერებები, რომელიც დღეისათვის ჩამოყალიბდა. ყოველივე ამ კანონზომიერებებს სწავლობს ეკონომიკური თეორია.

ეკონომიკური თეორიის ძირითად საკითხებში მაინც რომ ერკვეოდეს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მათი ცხოვრება უფრო უკეთესი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ეკონომიკის ცოდნა სჭირდებათ ოჯახის თითოეულ წევრს (ტერმინი „ეკონომიკა“ ხომ თავდაპირველად ოჯახის მართვას ნიშნავდა), მეწარმეებს, სახელმწიფო მოხელეებს, მით უფრო სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირებს. ქვეყანა რომ მართო, თავდაცვისუნარიანი იყო, გადაჭრა სოციალური პრობლემები, შეამცირო უმუშევრობა და ა. შ., საჭიროა ეკონომიკა.

როგორც ვხედავთ, ეკონომიკა მოიცავს

ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

ცხოვრების ყველა სფეროს. უფრო მეტიც, ეკონომიკის გარეშე ვერცერთი სხვა მიმართულება ვერ იარსებებდა. ეკონომიკა ასულდგმულებს ადამიანებს და სწორედ ეკონომიკისთვის იღწვიან ისინი, რათა ოჯახები არჩინონ და შექმნან მატერიალური უზრუნველყოფის პირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თეორიის ცოდნას თითოეული ადამიანისათვის. “

წიგნი განკუთვნილია ეკონომიკური თეორიით დაინტერესებული ადამიანებისათვის. ასევე, ის დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს.

ლაშა ტაბატაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

The New ECONOMIST ახალი ეკონომისტი

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of Sylfaen font 12, interval between lines - 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEG.

3. The article must have abstract in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in Sylfaen and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article will published in English, Russian, German and France languages. So, it is also our request to prepare reziume in Georgian, Egnlish and Raussian languages too.

The price of article's publication is- one page of journal 10 GEL (Lari) or 5 USD. And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 10 GEL (Lari) or 5 USD.

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. LOI's account: identification code – 204439296, the account number- GE33LB0113168905809000,, "liberty bank", central office, bank code LERTGE22.

Our coordinates:

e-mail: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
Tel: 299 05 76; 555 277 554; 558 944 800.
PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, Sylfaen-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა — 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად Sylfaen-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია იბეჭდება ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 10 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება — 10 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შეძენისა და/ან გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს "ლოი"-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE33LB0113168905809000, სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდია LERTGE22.

ელექტრონული ფოსტა: loidk@yahoo.com; www.neweconomist.com.ge; www.loi.com.ge
tel: 299-05-76; 555 277 554; 558 944 800.
PS. სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

www.neweconomist.com.ge
E-mail: editor@neweconomist.com.ge